FS 4.287 | ბაქრაძე, დიმიტრი

საქართველო...

# საქართველო

(ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა)

## I

*წინა-დროების ისტორიისა.—სად დამყარდა საფუძველი განათლობის წარმატებისა.—რა გვიცით ჩვენ ცოდნაზე ახალის გამოკვლევით.*

უკანასკნელის 20—30 წლის განმავლობაში უძველესი ტომებზე, იმათ შთამომავლობაზე და ყოფა-ცხოვრებაზე ევროპის მსწავლულნი სრულებით ახალს აზრს დაადგნენ. ამ ცვლილების საფუძვლად იმათ აქვთ ორი ახალი შტო მეცნიერებისა—ენათ შესწავლა ანუ შედარებითი ლინგვისტიკა და არხეოლოგია ისტორიის წინა-დროებისა. ენათ შესწავლის საგანია გამოკვლევა ენისა, იმისის ფესვებისა და გრამმატიკულის ფორმებისა, და გარდა ამისა შედარება ერთის ენისა მეორესთან, მესამესთან და სხ. აქამომდე შესწავლულია 800-მდე ენა და ამ შესწავლამ ცხადად გვიჩვენა იმათში რომელს რომელთანა აქვს ნათესაური კავშირი. ახლა ეს ენები დანაწილებულნი არიან მოდგმა-მოდგმად, ნათესავებად ანუ გვარებად, გრუპპებად და დიალექტებად. ენის თვისებისა

ანუ აგებულობისა მებრ ყველა მსოფლიო ენები, ძველნი და ახალნი, ამოწყვეტილნი და ცოცხალნი, დაიყოფებიან სამ მოდგმა ენებად: ერთ მოდგმას შეადგენენ ის ენები, რომელთ შორისაც ენის ფესვი ანუ ძირი შეადგენს სიტყვასა და უცვლელად შთება ურთიერთის დაკავშირე-ბაში—არსებითს სახელში, ზედ-შესრულში, ნაცვალ-სახელ-ში, ზმნაში, კანკლედობაში და სხვ. მეორე მოდგმის რთულ სიტყვებში, რომელნიც შემდგარნი არიან, გაიქვათ, ორის თუ მეტის ფესვიდამ, ერთი ანუ ორი ამ ფესვთა-განი უცვლელად რჩება. მესამე მოდგმის ენებში ფესვები ისე იცვლებიან, რომ ხშირად სრულებით ჰკარგვენ თავისს ხასიათს და მნიშვნელობას. პირველ მოდგმას (ОДНОСЛО-ЖНЫЕ) ეკუთვნიან: ჩინური, ტიბეტური და სხ.; მეორე მოდგმას (ПРИКЛЕЙШЫЕ): იაპონური, ავსტრალიური, ნეგრუ-ლი აფრიკაში, ამერიკის ენები, თურანული თავისის გრუპ-პებით—ფინურით, თურქულით, მონგოლურით, თუნგუ-ზურით, სამოედურით. მესამე მოდგმისანი (ФЛЕКТИВНЫЕ) არიან შემდეგნი ენანი: ა) სემიტური თავისის გრუპპე-ბით—არამეო-ასსირიულით (ქალდეური, სირიული და ასსირიული); ხანაანეურით (ებრაული და ფინიკიუ-რი) და არაბულით; ბ) ხამიტური მისის გრუპ-პებით—ეგვიპტურით, ლიბიურით და ეფიოპიურით;

გ) ინდო-ევროპული შემდეგის გრუპპებით—ირანულით (ზენდური, სპარსული, სომხური, ოსური, ქურთული, ავღანური), კელტურით, ელლინურით, იტალიურით, გერმანიულით (გოთური, სკანდინავური, ქვემო-გერმანიული, ზემო-გერმანიული), სლავიანურით და ლიტტურით. ამ ენების მოდგმათ აგებულობაში არსებობს ისეთი განსხვავება, რომ ზოგიერთნი მეცნიერნი,—მთელი ახალი შკოლა, რომელსაც ეკუთვნიან, მაგ., დარვინი და აგასისი,—ამტკიცებენ, ვითომც თვითოეული მოდგმა იყოს აღმოცენილი ცალ-ცალკე, სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა დროს. ამ საგანზე დიდი ბაასია და ვნახოთ მომავალი რა განაჩენს დასდებს; ეს კი შეძლებელია ახლავე, რომ ლინგვისტიკურმა შესწავლამ იქამდე მიაღწია, რომ არა თუ აღადგინა ის დედა-ენა, რომლიდამაც აღმოსცენდნენ ინდო-ევროპულის ნათესავის ენები [1]), არამედ ნათლად აღმოგვიჩინა ინდო-ევროპელთ უძველეს წინა-პართ პირველი ადგილ-სადგომი, ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრება, სარწმუნოებრივი მიდრეკილება, ურთი-ერთ-შორისი დამო-

---

[1]) Bibliothèque des sciences contemporaines— La Linquistique par Abel Hovelacque, Paris, 1876, 198—208.

კიდებულება და სხ.[2]) ერთის სიტყვით, განვითარებულის ლინგვისტის მაქს-მიულლერის თქმით ენა მიგვიძღვის დროების წყვდიადში, ბევრით შორს, ვიდრე ასსირიისა და ბაბილონის ლურსმებრივი ლიტერატურა, ვიდრე ეგვიპტის იეროგლიფური მწერლობა. ენა გვაკავშირებს შეუწყვეტელის სიტყვის ჯაჭვით კაცობრიობის წინაპართან და იქიდამ იწყობს თავის ცხოვრებას[3]).

იმავე საგანს, რომელსაც ჩვენ ზემოდ შევეხენით, ხელი დასდო თვით არხეოლოგიამაც. ამ სწავლის წყაროებს შეადგენენ დედა-მიწაში ჩამარხული გადაშენებული ტომთ კვალი, ძველ ნანგრევებში და სასაფლაოებში დაცული მისი სხვა და სხვა ნაშთი და ნაწარმოები. საუბედუროდ არხეოლოგია ჯერეთ შეზღუდულია უფრო ევროპის ნიადაგზე და ზოგიერთს აზიის ადგილებზე, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ აქამომდე შეკრებილის მასალების შეწყობით იმან უკვე გაარკვია ის ცხოვრება, რომელიც კაცობრიობას გაუვლია ბევრით ადრე ისტორიის დრომდე. ამ ცხოვრებას ის საზღვრავს სამ საუ-

---

[2]) François Lenormant, Manuel d' Histoire Ancienne de l' Orient, Paris, 1869, II, 278—287.

[3]) Лекціи по наукѣ о языкѣ, С.-Петербургъ, 1865, стр. 19,20.

კუნედ: პირველის საუკუნის (КАМЕННЫЙ ВѢКЪ) მომდინარეობაში ადამიანი დაბალ ხარისხზე დგას, ხმარობს მხოლოდ სამკაულს და ქვის იარაღს; მეორე საუკუნე (БРОНЗОВЫЙ ВѢКЪ) წარმატებაში შედის, ქვის მაგიერ ხმარობს თითბერს; მესამე საუკუნე (ЖЕЛѢЗНЫЙ ВѢКЪ) წარმოუდგენს ისტორიულთ ჟამთ დასაწყისს: ხმარებაში შედის და ვრცელდება რკინის იარაღი და სხვა და სხვა ყოფა-ცხოვრებისთვის საჭირო რკინეულობა. ოქრო და ვერცხლი ძველადვე იხმარებოდა. აქ უნდა მხედველობაში გქონიოთ, რომ თვითოეული ხსენებულთ საუკუნეთაგანი შეიცავს დიდს დროთა სივრცეს და არა ას-წლოვანს დროს, როგორც საზოგადოდ მიღებულია სიტყვა საუკუნე; რომ თითქმის ყველა ადამიანის მოდგმას და ნათესავს, რომელსაც კი ძველადვე უცხოვრია და წარმატება აღმოუჩენია, გაუვლია აქვს სამივე საუკუნე, თუმცა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ქვეყნის მხარეში, რომ უკანასკნელს საუკუნეს ბოლო მოუღო საბერძნეთში და იტალიაში ადრე, სამხრეთ-დასავლეთს ევროპაში მე-V—VII საუკ., და ჩრდილო-აღმოსავლეთს მხარეებში კი მე-X—XI საუკ., ესე იგი ქრისტეს სარწმუნოების მიღებით.

ამ გვარად, როგორათაც ენების და არხეოლოგიის შემოწმებით, აგრეთვე სხვა და სხვა ტომით მეხსიერება-

-ში დანერგულის გარდამოცემით ახალი სწავლა—მეცნიერება უხუცესის ქვეყნის მოდგმათ პირველ-დასაწყისს ადგილმამულს, რომელსაც შეადგენს ზემო აზია, ანუ ვრცელი ვაკე-მაღლობი, საიდამაც მომდინარებს დიდი მდინარე, ოთხ-მტოდ დაყოფილი. ეს ვაკე-მაღლობი არის ბოლორი ანუ ბელურტაგი; ეს ოთხნი მტონი არიან: ინდოსი, ჰელმენდი, ოქსუსი და იაქსარტი. ბოლორის ვაკე-მაღლობი ანუ ბაქტრიანი უწინარათ ინდო-ევროპელების წინაპარებს, არიელებს 4) და მათ მეზობლად სცხოვრებდნენ ხამიტნი, სემიტნი და თურანელნი. აქ არიელებს დედმამულში, ვიდრე ისინი ერთმანეთს დაშორებოდნენ ენით, იმათ ჰსცოდნიათ მიწის შემუშავება, ხვნა-თესვა, გზის კეთება, ქერქა-ქსოვა, სახლი-შენობა; ისინი სთვლიდნენ თურმე ასამდე; ხმარობდნენ სასარგებლო მეტალლებს და რკინის ცულებს შინ და გარეთ, აგრეთვე შინაურ პირუტყვებს—ძროხას, ცხვარს, ძაღლს, ცხენს; მისდევდნენ ნათესაობას და ქორწინებას; ჰმორჩილობდნენ თავიანთ უფროსებს და იხსენებდნენ უზენაესს არსებას, რომელსაც სხვა და სხვა სახელს უწოდდნენ.

4) როგორც ჰქონდათ არიის მონათესავე ტომებს დაყოფილი ერთმანეთში ადგილები ზემო აზიაში, ამაზე ერთი აზრია იხილე Lenorm., Man. d'Hist., II, 275—277.

შუა-აზიიდამ გაიბნა ადამიანის თესლი სხვა და სხვა მხარეს. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? „აქამომდე, ამბობს ამერიკის ისტორიკოსი დრეპერი, ამ მოძრაობის მიზეზად მიაჩნდათ ხალხის გამრავლება და მისი სურვილი ნაყოფიერის ქვეყნების დაპყრობისა. რასაკვირველია ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო; მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აზიიდამ ისეთის სისწრაფით იწყობოდა მოძრაობა, ეს მოძრაობა შეიცავდა ისეთს სიმრავლეს ხალხისას, რომ უმთავრესი მიზეზი იმისი სხვა რამ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვიცით, რომ უძველესის დროიდამ აზია შეუბრკოლებლივ იშრიტება. ამ აშრიტებას დიდი გავლენა აქვს ბუნებაზედაც და კაცზედაც: ჰავა იცვლება, ცივდება; მთელი მცენარეები შრება და სწყდება. ამ მოვლინებით აიხსნება ის შემთხვევა, რომ აზიის მოძრავნი მცხოვრებნი, შერყეულნი და შეშფოთებულნი, სტოვებდნენ თავიანთ ადგილ-სადგურებს და მიიწევდნენ იქითკენ, სადაც იმათ წინ ედვათ უკეთესი ადგილები, ვიდრე მათი მხარე“ 5). თავიანთ მოგზაურობაში იმათ თან გაჰქონდათ ძველი მამა-პაპური თქმულებანი, რომელნიც დატოვებულის ქვეყნის თვისებას ანუ მოვლენას რასმე მოასწავებდ-

5) Исторія умственнаго развитія Европы, С.-Петербургъ. 1865, I, 24—28.

ნენ, მაგ. თქმულება წარღვნაზე, რომელიც შემდეგ მარტო ებრაელებში არ იყო გავრცელებული; ამას გარდა ისინი იმ ჩვეულებასაც მისდევდნენ, რა ჩვეულებასაც მომავალში მისდევდნენ ელინები და სულ-ბოლოს ამერიკელნი: ისინი ახალ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და ადგილ-მამულებს, სადაც ბინადრობას სდებდნენ, დროით თუ სამუდამოდ, იმ სახელებს აძლევდნენ, რომელნიც ძველს ადგილებს მოაგონებდნენ. ამ გვარად ხშირად მოხდებოდა, რომ ერთი და იგივე სახელი მოგზაურობდა ერთის მხრიდამ მეორეში და მესამეში.

სულ ძველად გავიდნენ ზემო აზიიდამ ხამიტნი და დაბინავდნენ ზოგნი სპარსეთის ყურეს გარეშემო, ზოგნი ქალდეაში, ზოგნიც ნილოსის მდინარეზე. ხამიტებმა თითქმის ერთ დროს დააფუძნეს (4000 წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ბაბილონში და ეგვიპტეში. თითქმის იმავე დროს დაიძრნენ თურანელნი: ერთმა იმათმა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის ჩრდილო მხარე და მიჰმართა მცირე აზიას და ევროპას; დანაშთენმა ნაწილმა მიჰმართა სამხრეთისკენ, გადაიარა ინდოქუშის მთა და დასახლდა ინდოეთის საზღვრად—ატროპატენში (ადერბეიჯანში), არმენიაში და მცირე აზიაში. ამ დროს სემიტნი და არიელნი ბინადრობდნენ ჯერ

ისევ თავის სამშობლოში: იმათ ვპოულობთ იქვე 3000 წლით ქრისტეს წინად. სემიტნი მიჰყვნენ თავიანთის მონათესავე ხამიტების ნავალს და დაუკავშირდნენ იმათ, ბოლოს კი მძლავრეს და დაიმონავეს ანუ ამოსწყვიტეს იგინი ქალდეაში, ასსირიაში, პალესტინაში და არაბისტანში. არიელებით მონათესავეთა შორის პირველნი შეიძრნენ კელტნი: იმათი გზა იდო კასპიის სამხრეთით საქართველოზე და ალბანიაზე (დაღესტანზე), შავიზღვის ჩრდილო მხარისკენ და დუნაით ევროპისკენ; ირანიელნი გაემგზავრნენ ზოგნი ინდოეთისაკენ, ზოგნი მიდიისაკენ და სპარსეთისაკენ და 2500 წლით ქრისტეს წინად მათ დაამხვეს პირველი ბაბილონის იმპერია. ბოლოს გაკვლეულს გზას გაჰყვნენ ჯერ გერმანიელნი, მასუკან სლავიანნი. იმათ კაი-ხანი იბინადრეს სკვითების მხარეში ვიდრე ევროპისკენ გაიწევდნენ ტანაისით, თირასით და ისტერით ჰკიუსამდე. ეს უკანასკნელი მოძრაობა უნდა მომხდარიყო პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის წინ, „რადგანაც ალექსანდრე მაკედონელის დროს (356—324) მათ ეპყრათ დიდი სივრცე შავის ზღვიდამ მოკიდებული რეინამდე და ბალტიის ზღვამდე“.

თავდა-პირველად ცხოვრების წარმატების გზას და-ადგა ორი ქვეყანა: ეგვიპტე და ბაბილონი, ამ ქვეყნებში დამყარდა სახელმწიფო წესი და საზოგადო წყობილება; აღყვავდა სხვა და სხვა გვარი ხელოვნება და სწავლა-მეცნიერება, რომელიც იქიდამვე გავრცელდა ასირიაში, ფინიკიაში, მცირე-აზიაში და სხ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სულ პველად იხმარებოდა ორ-გვარი სამწერლო ნიშნები: იეროგლიფური ანუ იდეოგრაფიული და ლურსმებრივი. პირველი შეადგენდა მხატრობას, ესე იგი წარმოადგენდა იმ აზრებს ანუ საგნებს; რომელთ წარმოდგენა სურდათ, მაგალითად ☉ ნიშნავდა მზეს, ☽ მთვარეს. მერე თავისის ფორმით მიემსგავსებოდა ისარს ანუ ლურსმანს, ამისთვისაც ეწოდება იმას ლურსმებრივი წერა. ლურსმებრივი ნიშნები წარმოადგენდნენ მხოლოდ სიტყვის მარცვლებს, და არა ასოებს. იეროგლიფურს ნიშნებს ხმარობდნენ ეგვიპტელნი, ლურსმებრივს ბაბილონ-ასსირიელნი, მიდიელნი და სპარსელნი. ზოგი-ერთნი ამტკიცებენ, ვითომც ამ უკანასკნელის მოიგონეს იქვე თურანელნი, რომელთაც ის შემოუტანიათ ზემო-აზიიდამ ბაბილონში. სამწერლო ნიშნების წარმატებას მიაწერენ ქანანელთ, ესე იგი ფინიკიელთ, რომელნიც შემდეგ გადმოსახლებისა პირველად

სამშობლოდამ. თავიანთის მონათესავე ებრაელებითურთ ჯერ ბინადრობდნენ სპარსეთის ყურეს კიდეებშა, და შემდეგ დამკვიდრდნენ თვითონ საშუალო-ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ებრაელნი კი მესოპოტამიაში. ფინიკიელებმა გაავრცელეს ეს ნიშნები ყველგან, სადაც კი ისინი, როგორც ზღვათ-მავალნი, აღებ-მიცემობდნენ. ეს ნიშნები შეადგენენ ალფავიტს ანუ ჩვენებურად ანბანს, რომლის შეწყობითაც გამოიხატება ყოველივე ასო, უხმო თუ ხმოვანი [1]).

აქ, ჩვენის აზრით, უადგილო არ იქნება განვსაზღვროთ ის საგანი, რომლითაც განვითარდნენ ეგვიპტელი და ბაბილონნი და ამასთანავე ვუჩვენოთ ის ძალა, რომელიც ასწავლა მეცნიერებამ აღმოაჩინა იმათ გამოკვლევაში. აი რას ამბობს ამ საგანზე ჩვენის დროის მიმართულების ისტორიკოსთაგანი, ფრანსუა ლენორმანი. «ძველის ცივილიზაციის წარმომადგენელთ ტომებში ამ ნახევარის საუკუნის წინად უაღმატებულესად ღირს-სახსოვარ ხალხებად ჰსახავდნენ მხოლოდ ბერძნებს და რომაელებს არ ფიქრობდნენ, რომ გარეშე საბერძნეთისა და იტალიისა ყოფილიყო სხვა ვინმე ღირსი ისტორიის ყურად-

---

1) ამ საგანზე იხილე გრძელი და მშვენიერი თხზულება Alphabetum ფრანსუა ლენორმანისა—Dictionnaire des antiquités Grecques et Romains par Daremberg et Saglio, p. [illegible]88—2[illegible]8.

დებისა, თუმცა იცოდნენ, რომ იმ სივრცეზედ, რომე-
ლიც მდებარეობს ნილოსსა და ინდუსს შუა, დაარსე-
ბული იყო როგორათაც ფართო ბინა ცივილიზაციისა,
აგრეთვე სახელმწიფოები ისეთის სატახტო ქალაქებით,
რომელნიც სივრცით გადაემატებოდნენ ახლანდელს დედა-
ქალაქებს ევროპისას და ისეთის სამეუფო პალატებით
ანუ სასახლეებით, რომელნიც სიმდიდრით და შემკულო-
ბით არ დაუვარდებოდნენ ჩვენის დროების სასახლეებს.
იცოდნენ მოგზაურების შემწეობით, რომ იქ უდაბური
ადგილები და მდინარეების ნაპირები სავსეა დიდროვანის
ნანგრევებით, ესე იგი ტაძრებით, პირამიდებით, სხვა და
სხვა გვარის ძეგლებით და მათის უცნაურის წარწერებით,—
ეს ყველა იცოდნენ, მაგრამ იმათ თვალში მაინც ჯერ
წყვდიადით იყო გარემოცული.

„ახლა საქმე სხვა მდგომარეობაშია. ბოლოს დროს ევრო-
პის ცივილიზაცია და გავლენა თითქმის მთელს დედა-მიწა-
ზე გავრცელდა. ეს შემთხვევა იყო მიზეზი როგორათაც
სწავლის წარმატებისა საზოგადოდ, აგრეთვე ძველის და
უძველესის საუკუნოების გამოკვლევისა. უპირველესის
დროების, შესწავლა იწყეს ეგვიპტით; თავდა-პირველად
შამპოლიონმა (დიდის ნაპოლეონის დროს) აგლეჯა ის

ფარდა, რომელიც ჰფარავდა იეროგლიფურს მწერლობა ეგვიპტისას. მეცნიერებას გაეღო კარი ისტორიულის საუნჯისა. ნილოსის ჭალა-ღელეებს მთელს სივრცეზე გამოძიებულ იქმნა ძველი ძეგლები და ამ ძეგლებმა ცხადად დაგვანახვეს მოქმედებანი ფარაონებისა, რომელნიც წყვდიადის დროიდამ ჰმართავდნენ თავის ქვეყანას. ა წყვდიადიდამ გამოიკრიბნენ თითქმის 4000 წლის განმავლობის მოღვაწენი ეგვიპტისანი. ახლა ჩვენ ვიცით იმათის დროს ხელოვნება: საარხიტექტურო, სასკულპტურო და სამხატვრო; ვიცით, რომ გარდა პირუტყვი თაყვანისცემისა იქ სუფევდა სამეცნიერო აღსარება, რომელიც ქვეყნის შემოქმედად ჰსახავდა ერთ ღვთაებას. ახლა ნათარგმნია და ითარგმნება იმათი უმთავრესი ლიტერატურა, რომელიც თავისას აღნაქსით მიემსგავსება ებრაულს სამღთო მწერლობას. ერთის სიტყვით, ეგვიპტმა დაიჭირა შესაფერი ადგილი მსოფლიო ისტორიაში და ახლა ჩვენ შეგვიძლიან მოვუთხრათ მისი მატიან მისსავე ნამდვილსა და თანა-მედროვე წყაროებზე დამყარებული, მოვუთხრათ ისე, როგორც აწინდელის დრო ყოფა-ცხოვრება.

„ასსირიის ისტორიის აღდგენა უფრო გასაოცარი იყო. ნინევიამ და ბაბილონმა არ დასტოვეს დიდ-მიწის პირად, როგორათაც ფივაიდამ (ეგვიპტეში), დიდ-დიდის ძეგლის ნაშთები. იქ მოგზაური პოულობს მხოლოდ გორა-გორა გროვას ნანგრევებისას. ჰგონებდნენ, რომ საუკუნოდ დანთქმულია ყოველივე კვალი მესოპოტამიის ცივილიზაციისა; მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ, სამმა მეც-ნიერმა, ბოტტამ, ლეიარდმა და ლოიფთუსმა სრული ხა-თელი მოჰფინეს მშვენიერს სკულპტურას ქალდეასას და ასსირიისას. იმათ პალატთ ჩუქურთმებმა ხორცი შეის-ხეს: ისინი წარმოგვიდგენენ ასსირო-ქალდეის მეფეებს და იმათგან დატყვევებულთ ტომთ. აქ ვხედავთ იმ პირთ, რომელთაც საზარელს თვისებასს ცხოველად გამოჰხატვენ ებრაელთ წინასწარ-მეტყველნი. აქ ვხედავთ იმ ბჭეებს, რო-მელთ ქვეშაც, ერთის წინასწარმეტყველის თქმით, ტომთა გროვანი მიმდინარეობდნენ, როგორათაც მდინარენი. აი ის კერპებიც, მშვენიერის ხელოვნებისა, რომელნიც იზი-დავდნენ და აცდენდნენ იელოვას აღმსარებელს ისრაილს. აი თვით ყოფა-ცხოვრება ასსირიელებისა, მრავალ სუ-რათებად წარმოდგენილი: იმათი სასულიერო ცერემონიე-ბი, იმათი შინაური ჩვეულებები, იმათი სპილის მორ-

თუღლოზა და ძვირფასი გაზები; აი იმათი დაშქრობაც, ცის-სიმაგრეების იერიში და ზღუდე-კედლების დამარღვეველი მაშინები.

„მრავალი ბაბილონ-ასსირიის შესობა, რომლებიც კი ამოთხრილია მიწის გულიდამ, შემკულია მრავალ-გვარის წარწერებით. არ ეგონათ, რომ ეს მწერლობა, ლურსნაურის თვისებისა, ოდესმე გამოკვლეულიყო; მაგრამ იმასაც სძლია ახლანდელმა მეტოდმა მეცნიერებისამ. ლურსმებრივის მწერლობის გამოძიებას შეუდგნენ ინგლისელი როულინსონი, ნემეცი ჰინკი და ფრანციელი ოპპერტი და ახლა ჩვენ იმათის შემწეობით ვკითხულობთ ქალდეო-ასსირიის ხრონიკებს, რომელნიც წარწერილნი არიან მარმარილოებზე და შედუღებულის კირის ფილებზე და რომელნიც შეიცვენ მათმიერვე ნაამბობს ვრცელს მოთხრობებს იმათ გალაშქრებაზე და ქვეყნების დაპყრობაზე, აგრეთვე მათს უღმობელს ხასიათზე. ზოგიერთი ეს მწერლობა შეეხება იმ შემთხვევათაც, რომელთაც მოიხსენებს ბიბლია და იმათი შეთანასწორება ნამდვილ გვიმტკიცებს უეჭველს ჭეშმარიტებას სამღთო ისტორიისას. ასსირო-ბაბილონის დროს შესწავლამ მოჰფინა სხივი თვით ცივილიზაციის დასაწყისს და იმის

მიმდინარეობას. შეუძლებელი იყო, რომ ამ გვარი ბრწყინვალე კულტურა სამუდამოდ შეწყვეტილიყო მათს საზღვრებში მართლა და ცხადია, რომ მათი სწავლა-ხელოვნება მიჰყოლია მათის სამხედრო მსვლელობის კვალს და გავრცელებულა აღმოსავლეთად და ჩრდილოეთად, მიდიაში და სპარსეთში, სადაც შეუთვისებიათ ირანელებს ახემენიდების დროს. ამას წინად საბერძნეთის ხელოვნების წყაროდ მიაჩნდათ ეგვიპტი; მაგრამ არა: ახლა ამ წყაროდ უნდა ვხადიდეთ ნინევიას. ბაბილონო-ასსირიის გავლენა მოჰფენია სირიას, მცირე აზიას და საშუალო-ზღვის კუნძულებს; ბერძნების ქალაქებიდამ, რომელნიც შავი-ზღვის პირად ჰყვაოდნენ, ის შესულა თვით ელლინის ტომის სამფლობელოში, და ამ გვარად საბერძნეთის სკულპტორებს მაგალითად და ნიმუშად ჰქონიათ ბაბილონო-ასსირიელთ ნაწარმოები. მცირე აზიიდამ ეს ხელოვნება ლიდიის მცხოვრებთ შეუტანიათ იტალიაში, სადაც მას დაუდვია საფუძველი ეტრურიის ცივილიზაციისა, რომელზედაც შემდეგ აშენებულა რომის დიდება [1]."

---

[1] Lenorm., Man. d' Hist., I, I—XVI.

ზემოდ მოვიხსენეთ მცირე აზია. ეს მხარე მეტად ისე ყოფილა დაკავშირებული კავკაზზე და თვით საქართველოზე, რომ აქ საჭიროა იმას თვალი გადავავლოთ. მცირე აზია, რომელიც ახლა საზოგადოდ ცნობილია ა ნ ა ტ ო ლ ი ა დ, მე-X საუკუნის მწერლის კონსტანტინე პორფიროგენეტის თქმით—ანატოლიის თემად, le thème anatolique (Vivien de Saint-Martin, Nouveau Dictionnaire de Géographie Universelle, 1877, p 133.), შეადგენს ნახევარ კუნძულს და თითქმის ჩვენ საზღვრად მდებარებს. სამის მხრით ის შემოზღუდულია საშუალო-ქვეყნის ზღვით, ეგეის ზღვით ანუ არხიპელაგით, პროპონტიდით ანუ მარმარილოს ზღვით და პონტის ანუ შავის ზღვით. დანაშთენის მხრით ამას უძევს ხმელეთი: ნაწილი სომხეთისა ეფრატის სათავეებში და მესხეთის მთა. მცირე აზია იყოფა თავრს-აქეთ აზიად და თავრს-იქით აზიად. თავრის მთა მესხეთის მთის შუამავლობით უერთდება თვით ჩვენ. კავკაზს და მთელს სავრცეზე მოფენილია, როგორათაც ყველა ადგილები მცირე აზიისა, ვულკანებით, რომელნიც ჰმოწმობენ, რომ ის ცეცხლის მოქმედებით არის ამოხეთქილი დედა-მიწის გულიდამ. მცირე

აზიის ბუნების თვისებითა, ჰავით და ნაყოფიერებით დიდად მიემსგავსება კავკასიის მხარეებს. შესანიშნავნი იმის მდინარეთაგანნი არიან: უმთავრესი სიდიდით და ისტორიულის მნიშვნელობით ჰოლისი ანუ ახლანდელი ყიზილ-ირმაკი, თერმოდონი, ირისი და სანგარიოსი. მცირე აზიაში მკვიდრად დამყარებულა ორ-გვარი შთამომავლობა. ერთს შეადგენდა სემიტური გვარი, მეორეს არიული გვარი. სემიტნი დაბინავებულან ჩრდილო-დასავლეთის მხარეში; არიულნი კი აღმოსავლეთ-სამხრეთად.

აქ მოვიხსენებთ მხოლოდ იმ ტომებს, რომელნიც ჩვენ ტომთან მცირედ თუ მეტად დამოკიდებულნი ყოფილან.

სემიტები ანუ, უკეთ გთქვათ, არამიელები იქ ადგილ-ადგილ გაფანტულნი იყვნენ, ადგილ-ადგილ კი შეერთებულნი. სახელი ა რ ა მ ი, ა რ ა მ ი ე ლ ი წარმომდგარა ებრაულის ა რ ა მ-იდამ, რომელიც ჰნიშნავს მთას, მთიანს ადგილს. არამი უწოდეს დროსვე მისთვისებია მცირე-აზიის აღმოსავლეთ ნაწილს და საშუალო-ქვეყნის ზღვის მოსაზღვრე თემებს ევფრატამდე და ტიგრამდე. მცირე აზიის არამიელებში ღირს-სახსოვარნი არიან: კაპადოკიელნი, რომელნიც მკვიდრობდნენ ზღვის

ბირად, მთა ადგილებში და საშუალ ევფრატისა და ტიგრისა. ქრისტეს შობის წინ მერვე საუკუნეში კაპპადოკიელებში დაამყარა თავისი უფლება და ენა მათმავე მონათესავე ტომმა სირიელებმა. ეს ენა ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ განდევნა იქიდამ ბერძნულმა ენამ. შემდეგ ამ მხარეს უწოდდნენ: სპარსები კაპპადოკიად, რომაელები კი ზღვის პირ-მხარის პონტის კაპპადოკიად. მეორე სახელოვანს არამეულს ტომს მცირე აზიისას შეადგენდნენ კილიკიელები, რომელთაც კაპპადოკიის მხრივ თავრიკე ჰსაზღვრავდა და ასსირიელთ ბძანებლობას ქვეშ ორივე ეს ტომი ერთ თემად იყო შეერთებული. ახლა კილიკიაში უმთავრესობს სომხური ენა, რომელიც აქ ქრისტეს შობის შემდეგ მე-X საუკ. გავრცელდა. მესამე შესანიშნავ ტომად ირიცხებოდნენ კარიელნი, რომელნიც ბინადრობდნენ სამხრეთად მცირე აზიაში. კარია ძველად იწოდებოდა ფინიკად. თვით კარიელების ერთ ნაწილში ფინიკიელი ენა იყო გავრცელებული. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მცირე აზიაში ფინიკიელებმა თავისი კვალი სხვა და სხვა მხარეში დასტოვეს: ნაწილი ლიზიისა იწოდებოდა ფინიკად. როდოსი და სხვა საშუალო-ქვეყნის ზღვის კუნძულები იმათგან იყო კო-

ლონიებად დაფუძნებული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი ცნობები იმ ადგილებზე, სადაც ფინიკიელებს მსვლელობა და ალებ-მიცემობა ჰქონიათ, იმათგანვეა შეკრებილი.

არიელთ ტომთ რიცხვში მიზიელებს და ლიზიელებს ჰპყრათ წრდილო-აღმოსავლეთი მხარე. სტრაბონი ორსავე ამ ტომს ჰხადის ფრიგიელებად. საზოგადო ჩვეულებისამებრ ფრიგიელის ტომისა იმათ ჰქონდათ საერთო ტაძრები. პირველად იმათ მხარეშივე დაერქო ერთ ადგილს აზია, რომელიც იქიდამ ჯერ მთელს ანატოლიას მიეთვისა, მასუკან მთელს აზიას. თვით ფრიგიელებზე ეს უნდა ვთქვათ, რომ მთელს მცირე აზიაში ისინი უფრო მომეტებულად იყვნენ გავრცელებულნი, ვიდრე დანაშთენნი ტომნი. ფრიგიელები იყვნენ გაბნეულნი მცირე აზიის შუა-ადგილებში ჰალისის მდინარემდე და სახლობდნენ მჭიდროდ. იმათისავე ენით ჰმოწმობენ მათს ინდო-ევროპიულს შთამომავლობას: ამ ენის სიტყვები და გრამმატიკული აგებულობა მოგვაგონებენ ელლინურს, ძველ ლათინურს, ტევტონურს და სხ. ფრიგიელები განვითარებულან განათლების წარმატებით. სანგარიოსის სათავეებში უჩვე-

ნებენ ძველს სასაფლაოებს და სხვა და სხვა გვარ ძეგლებს ფრიგიულის წარწერაებით. თვით იმათი ალფავიტი, რომელიც ახლა თითქმის გარკვეულია, ელლინურს ალფავიტს ემსგავსება [8]). ფრიგიელების მონათესავედ ირიცხებიან სომეხნი. ამის საბუთად მოჰყავთ ჰეროდოტე, რომლის თქმითაც სომეხნი ფრიგიის კოლონიას შეადგენდნენ [9]). სომხურს ენაზე ახალმა გამოკვლევამ დასდო შემდეგი დასკვნა. მისი საძირკველი და გრამმატიკა ცხადად გვიჩვენებენ მისს ნათესავურს კავშირს ზენდურს ენასთან, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალ-გვარი კვალია იმისს ლექსიკონში როგორათაც სემიტურის ენისა, აგრეთვე ტურანულისა. მიზეზი ცხადია: დროთა განმავლობაში სომხებზე უმოქმედნია ისტორიულ გავლენას სემიტებისას და ტურანელებისას და ამისათვის შეუძლებელი იყო, რომ ამ გავლენას არ დაე-

8) Maspero, Histoire ancienne des peuples de l' Orient, Paris, 1876, p. 239—240, 604.

9) P. Giquet, Histoire d' Herodote, Paris, 1870, VII, 406.

ტოვებინა თავისი გვარი იმათ ენაში [10]. თვით სახელწოდება სომხეთისა ა რ მ ე ნ ი, ა რ მ ე ნ ი ა წარმომდგარია ა რ ა მ-იდამ, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ამტკიცებენ, რომ ვიდრე სომხები დაემყარებოდნენ ახლანდელს არმენიაში, ეს სახელი რქმევია იმ ტომს, რომელიც მათ წინად იქ სახლებულა და ამ უკანასკნელის სახელწოდება მიუთვისებიათ იმათაც [11].

რაღა თქმა უნდა, რომ მცირე აზიის ყველა ტომეში უმთავრესს ტომად უნდა ითვლებოდნენ პელაზგები. მართალია, ეს სახელი ძველადვე ამოიკვეთა, მაგრამ მათი მიფოლოგიური გარდამოცემა მათ შთამომავალ-ტომში ელლინებში დარჩა. ზოგიერთნი ამტკიცებენ, ვითომც პელაზგებს ზემო აზიიდამ ურალზე გამოუვლოთ და ვითომც პირველი ბინადრობა იმათ დაედგათ ჩვენის კავკაზის ჩრდილო-მხარეში. პელაზგების მიფი ანუ ზღა-

[10] Momsen, Histoire romaine, trad. franç., 1866, V, 263—Vivien de Saint-Mart. Nouveau Diction. de Géogr. Univer., p. 215.

[11] Victor Langlois, Collection des historiens anciens et moderns de l' Arménie, Paris, 1867, I, 22 n. 1.

პარ-თქმულება მათ წინაპარად უჩვენებს იაფეტს, რომელიც კავკასიაში თურმე ცხოვრობდა. იაფეტისა და აზიის შვილი პრომეთე კავკასიის ქედზე თურმე ყოფილა მიმსჭვალული. აქვე ცხოვრობდა პრომეთეს შვილი და ელლენის მამა დევკალიონი. ვიდრე პელაზგები ევროპაში მიიკრიბებოდნენ, იმათი მოგზაურობა უფრო პონტის ზღვის ჩრდილოეთად ყოფილა; ნაწილი მათი კი დაბინავებულა მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილებში დასავლეთის მხრით. პელაზგების მითი წარმოგვიდგენს ყოფა-ცხოვრებას და მოღვაწეობას ძველის გმირებისას, ბელლეროფონისას, თეზეისას, ჰერკულესისას და არგონავტებისას. ამ მითში მოხსენებულნი ღირს-სახსოვარნი არიან ამაზონები. მითი გვიჩვენებს იმათ მეომარ დედაკაცებად, რომელნიც თერმოდონის მთა-ღელეებში თურმე მკვიდრობდნენ და რომელთაც ჰქონდათ სამი ქალაქი: თემის-ყური, ლიკასტია და ხადესია. იმათგანვე თურმეა დაფუძნებული ეფესი თავისის ტაძრით, კუმესი და სმირნა. ზოგნი მეცნიერნი ფიქრობენ, ვითომც ამაზონები შეადგენდნენ ინდო-ევროპიულებს სკვითებს, ვითომც იმათ კავკასზე გამოვლოთ და მცირე აზიაში დაბინავებულიყვნენ, ვითომც ცხენოსნობაში და შვილდ ისრის ხმარებაში დიად.

დასხელოვნებულნი ყოფილიყვნენ, ლაშქრობაში თავიანთ ქმრებს არა ჩამორჩებოდნენ და კითომც აქედამ წარმოსდგა ზემოდ მოყვანილი თქმულება ამაზონებზე [12].

ამ სივრცეზე, რომელზედაც, მიფის თქმულებით, განრეულნი იყვნენ ამაზონები და თვით მათ მეზობლად მკვიდრობდნენ: ტიბარენნი, მაკრონნი, მოსხნი და კოლხნი. რადგანაც ამ ხალხებს თითქმის საზოგადოდ ქართველ ტომად ჩსადიან, ამისთვის აქ უნდა მკითხველს ვუჩვენოთ თუ რას მოგვითხრობენ იმათზე ძველესის დროს უცხო-ტომთ თქმულებანი და რა აზრს მიაწერენ ამ თქმულებაებს ჩვენს დროში. აქ უნდა ვთქვათ, რომ ძველის ცნობების შეწყობით ახლა კიდეც ადგენენ ისტორიულ ატლასებს ძველეს ნათესავთ გეოგრაფიულს მდებარეობაზე. ამ ატლასებში ხსენებულნი ტომნიც არ არიან დავიწყებულნი. ამ გვარი ატლასები ჩვენ ორი გვაქვს ხელად: ერთი ეკუთვნის ფრანსუა ლენორმანს, არხეოლოგიის პროფესსორს პარიჟში, მეორე მასპეროს, პროფესსორსავე ეგვიპტის ენისას და არხეოლოგიისასა.

---

12) Viv. des.—Mart. Histoire des découvertes géographiques, Paris, 1845, II, 157—250.

Collége de France-ში. პირველი შეადგენს დამატებას ლენორმანის შრომისას Manuel d' Histoire ancienne de l' Orient, რომელიც გამოიცა სამ წიგნად და თვითო შეიცავს XXIV კარტას. მეორე ატლასი, შემდგარი ცხრა კარტით, ჩართულია მასპეროსავე ისტორიაში Histoire ancienne des peuples de l' Orient. ორივე ატლასი ერთ-გვარ წყაროებზეა აშენებული და ერთი მეორეს ეთანხმება. იმათში უფრო სრულია ლენორმანის „Atlas d' Histoire ancienne de l' Orient anterieurement aux gueres médiques.“ ამას გარდა ამ შრომაში ავტორი თვითოეულის კარტის წყაროებსაც უჩვენებს და აღნიშნავს გზებს, რომლითაც ძველი ტომებს ჰქონიათ მსვლელობა. ჩვენის საგნის გასარკვევად საჭიროდ ვრაცხავ აქ ზოგიერთი ცნობები გამოვკრიბოთ ლენორმანის ატლასიდამ.

პირველი კარტა წარმოგვიდგენს ევროპას, აზიას და აფრიკას იმ დროს, როდესაც ქვეყნის პირს ჯერ აწინდელი გეოლოგიური მდგომარეობა არა ჰქონია მიღებული. ეს კარტა, დაფუძნებული გეოლოგიურს ცნობებზე, ამბობს ლენორმანი, გამოგვიხატავს ევროპას, აზიას და აფრიკას მაშინ, როდესაც პირველად აღმოჩენილა ადამიანის

კვალი დედა-მიწის გულში. საჰარის ზღვა, ვაკე-მინდვრები გერმანიისა ჯერ ისევ ოკეანით არის გარემოცული. დიდი ბასსეინი (მთა-დელეები) არალო-კასპიისა და შავი ზღვა შეერთებულნი არიან; სათავეები უმთავრესის მდინარეებისა არ შედგენილან; ევროპა და ამერიკა ერთი-მეორესთან არიან გადაბმულნი... ამავე კარტაზედ მოხაზული თვით ის ადგილები, სადაც ძველი გარდამოცემა უჩვენებს სხვა და სხვა ტომთ პირველ ადგილ-მამულს.

მეორე კარტა შეეხება იმ დროს, როდესაც, მგელისავე თქმულებით, ევროპა, წინა-აზია და ჩრდილო-ამერიკა მოიფენნენ ადამიანით; როდესაც არიელნი ჯერ ისევ ოქსუსის მთა-დელეებში მკვიდრობდნენ; როდესაც ხამიტებს და თურანელებს ეპყრათ სხვა და სხვა მხარე; შემდეგ არის ნათ[illegible] დაჭერილი; როდესაც სემიტები ჯერ არ იყვნენ სამხრეთის არაბეთში და როდესაც ეგვიპტის უძველესი ძეგლები გვიჩვენებენ მოშავო მოდგმას, კატარაქტებამდე გავრცელებულს. შავი ზღვა და კასპიის ზღვა იმ მდგომარეობაში იყვნენ, რა მდგომარეობაშიაც ახლა არიან. ჩრდილო და სამხრეთი მხარეები კავკასიისა ჯერ დასახლებულნი არ იყვნენ. ამ დროს უჩვენებენ 2500 წლის წინათ ქრისტეს შობამდე.

მესამე კარტა შეიცავს ეთნოგრაფიას დაბადებისას. (მე-X თავი: ნოეს შთამომავლობა). აქ მოსოხს უპყრია მთელი ის სივრცე, რომელიც მიჰყვება შავი-ზღვის პირს ჰალისის მდინარით ვიდრე თობელის საზღვრამდე. თობელს უჭირავს აღმოსავლეთი პირი იმავე ზღვისა და ის ადგილები, რომელნიც მტკვარსა და რახს ანუ არაქს შუა მდებარებენ. მოსოხის მოსაზღვრეა აგრეთვე თორღამა და ამის სამფლობელოს შეადგენენ ტიგრის სათავე და არაქსის მარჯვენა მხარე. თუმცა ამ კარტის საფუძვლად ლენორმანი უჩვენებს მხოლოდ მე-X თავს „დაბადებისას," რომელიც მოსეს შეუდგენია მე-XVI საუკ. ქრისტეს წინ, (მეფსლი 2 და 3: ძენი იაფეთისნი ღამერ და მაგოგ, და მადაიმ, და იოვან, და თობელ და მოსოხ, და თირას და ძენი ღამერისნი ასქანაზ და რიფათ და თორღამა), მაგრამ იმისვე წყაროდ უნდა მიგვაჩნდეს აგრეთვე წინასწარ-მეტყველი ეზეკიელი (მე-VI საუკუნეში). იხილე თავი XXVII. მუხ 14; XXXVIII, 3; XXXIX, 1.

მეშვიდე კარტა ანუ ეგვიპტის გეოგრაფია თუთმეს მე-III-ს დროს (1600 წ.) გვაცნობს ნომენკლატურას (სახელებს) თემებისას, რომელიც ამოიკითხვის იეროგლიფურს მწერლობაში ამუშაკე დაადებას

მოსოხი, და რუმენე ანუ არმენი." ორსავე ამ ნათესავს აქაც იგივე გეოგრაფიული მდებარება აქვს, როგორც წინა კარტაში: აქ, ლენორმანის აზრით, მეშანე შეადგენს მოთეთრო ნათესავს (არიელებს), რუმენე კი მოშავო ფერს ნათესავს (ეფიოპელნი, კუშიტნი და ნეგრნი) და, როგორც სჩანს ლენორმანის ფაკტით, რუმენების მხარე მგელად უკეთ ისევ სემიტის გვარს უჭირავს და არა არიელ ტომს ანუ ფრიგიელების მონათესავე სომხებს.

მეთერთმეტე კარტა მოგვხაზავს გეოგრაფიას ასსირიის მეფეებისას. „ამ კარტის ნომენკლატურაც ის არის, როგორც გამოსთქვამდნენ ასსირიელები. აქ ნაჩვენებია სამ-რიგი საზღვრები ასსირიისა: ა) ბინლისუსისა და სამურამათის დროს (905—828), ნინევიის პირველ დარღვევამდე; ბ) თიგლათფალასარ მე-II დროს (780—821), როდესაც დაფუძნდა, უფრო მჭიდროდ ვიდრე წინათ, მეორე მონარხია ნინევიისა; გ) ესარ-ხადდონის დროს (681—617), როდესაც სარგონიდების მონარხია ადვი-და უმაღლესს წერტილზე. ამ კარტაზედაც შავი-ზღვის სამხრეთით თაბალი, თაბალს შემდეგ მასნაკი, რომელსაც უჭირავს ჭოროხის მთა-ღელეები, შემდეგ მუსკაია, სადაც ახლა ქართლ-კახეთია; გიმირა (კიმრნი), კავკასის

ვალთებში საქართველოს მხრით; ილლიბი ალაზან-ვალმა მთებში (Illibi, Illipi ოპპერტის გამოკვლევით არის ალბანია ანუ შემდეგ დაღისტანი. Maspero, Hist., 457 n. 1); ურარტი იწყობა იქ, სადაც ევფრატი და ტიგრი ერთდებიან (Ourarti, Ararti არის არარატი დასადება-სა და ალაროდიანი ჰეროდოტესი (VII,407—Maspero, Hist., 399 n. 2). ახლა ზოგიერთნი ევროპის არხეოლოგნი, იმათ შორის ლენორმანი. ამტკიცებენ, ვითომც ალაროდიანნი იყვნენ ქართველნი, რადგანაც ალაროდიანების ენა ლურსმნებრივს წარწერაებში გარეშე ვანისა წარმოგვიდგენს ქართულის ენის ფორმებს, Lenorm., Lettres Assyriologiques. 1-re série, I, 124—129.

მეცამეტე კარტა გვიჩვენებს იმ სივრცეს, რომელიც უპყრია ორს მონარხიას ქალდეო-მიდიისას ნაბუხოდოროსსორის (ნაბუქუდონოსორის) დროს (604—561). აქ მიდიელთ და არიანელთ (არიანა) თემების ნომენკლატურა გამოწერილია ბელისტუნის წარწერადამ; ქალდეველის თემებისა კი ასსირიისა და ბაბილონის მწერლობიდამ. აქ ტიბარენი, ეს უკანასკნელი ტომა დასავლეთის მხრივ, კარგა წინ არის წაწეული ჰალისის მარ-

ჭკუნა პირიდამ. იმასნი მოსაზღვრენი თავრის მხარისკენ არიან ხალიბნი. ტიბარენებს წინ არიან ზღვის პირად მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი და კოლხნი. იბერნი და ალბანიელნი ცხოვრობენ იქვე, სადაც ამას წინად მოგიხსენეთ. არმენია შეიცავს ევფრატისა და ტიგრის სათავეებს.

მეჩვიდმეტე კარტა წარმოადგენს სპარსეთის იმპერიას დარიოსის მეფობაში, რაც სასტრაპოდ დაყოფილს (521—490). ეს კარტა აშენებულია ჰეროდოტის თქმულებაზე, მაშასადამე მისი ნომენკლატურა ეკუთვნის კლასსიკურს გეოგრაფიას. აქ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარებს ჭალისის მარჯვენა ნაპირსა და ტიბარენების საზღვარს შორის, ახლა უჭირავს პონტის კაპპადოკიას. აქ ტიბარენნი, მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი, კოლხნი, იბერნი, ალბანნი, ისევ ისე არიან ნაჩვენებნი, როგორათაც ამას წინად. ხალიბებს უჭირავთ ჭალისის სათავე, ბასიანებს ევფრატის- მდინარის სათავე და მათ შემდეგ ამ მდინარეს მასდევენ ალაროდიანნი.

ჩვენის აზრით, ხსენებულთ ტომთ საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ უცხო-ტომთ ძველი ცნობები ერთსა და იმავე ტომს სხვა და სხვა სახელს აძლევენ და ამ რიგად იმათ წარმოგვიდგენენ სხვა და სხვა ტომებად. ამ გვარ შეცდომას უცხო-ტომთ მხრივ ხშირად ვხედავთ ძველ დროშიაც და შემდეგაც. ის კი ეჭვ გარეთ უნდა გვქონდეს, რომ ხსენებულთ ხალხთ ნამდვილად ეჭირათ თითქმის მთელი სივრცე ჭალისის მდინარიდამ მოყოლებული ვიდრე კავკასის მთამდე. ამაში იმიტომ არ უნდა ვეჭვნეულობდეთ, რომ, როგორათაც სხვა და სხვა გვარი გამოკვლევა ჰმოწმობს, ეგვიპტელნი, ქალდეო-ასსირიელნი და ებრაელნი იმათთან თურმე დაიარებოდნენ და აღებ-მიცემობდნენ, იმათის მადნებით სარგებლობდნენ და იმათ ქალ-ვაჟებს სავაჭროდ ეტანებოდნენ; მაშასადამე დიად კარგად იცოდნენ მდებარება იმათის ქვეყნისა.

თუ ჩვენ აქ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გასაოცარს ჟამთა სივრცეს, რომლის მომდინარეობაშიაც მათ უცხო ტომნი ხსენებულს ადგილებში უჩვენებენ და თუ ამასთანავე იმათ ქართველ ტომად გაღვიარებთ, მაშინ

ზემოხსენებული უცხო-ტომთ ცნობები ძვირ-ფას ცნობებად უნდა მივაჩნდეს. ახლა იმათ ქართულ შთამომავლობაში თითქმის არ აქცნეულობენ. ეს საგანი შესწავლულია რამდენთამე სწავლულთაგან, მაგრამ იმათ შორის ისე საფუძვლიანათ არავის არ გამოუკვლევია, როგორც ფრანცუზს დიუბუა დე მონპერეს, რომლის მოგზაურობა Uoyage autour du Caucase გამოიცა ექვს წიგნად პარიჟში 1839—1843 წ. თუმცა დიუბუას დროს ახალი არხეოლოგია ჯერეთ არ არსებობდა, მაგრამ ამ ევროპიელმა, განვითარებულმა მეცნიერების მრავალ შტოებში, სხვა და სხვა ტომთ მითოლოგიურისა და ისტორიულის ცნობების შედარებით ისე გამოიძია დასკვნილი საგანი, რომ აწინდელს არხეოლოგიურს გამოძიებას ჯერეთ იმაზე წინ არ წაუდგამს ფეხი. ესეც უნდა გთქვათ, რომ დიუბუას „მოგზაურობა“ აქამომდე მთელს ევროპაში მიღებულია უკეთესს სახელმძღვანელოდ სამოგზაოდ ქავკაზზე. აი რას ამბობს დიუბუა, როდესაც ის აგვიწერს საქართველოს სომხეთის მადნებს;

რკინა ითხრება აქ ბოლნისში, ახტალაში, გარდაშერდში, „ქარაგლისში, ყულდვში და სხვ. ყულდვის მადანი ცნობილია. ძველადვე და მე ვნახე არა მაქვს, რომ ყულდვი

უნდა იყოს ხალიბი ჰომერისა, ჰეროდოტისა და სტრაბონისა. რამდენჯერმე შემინიშნავს კიდეც თუ როგორ იყო განთქმული საქართველო თავისის რკინით და სპილენძით და შეიძლება დაჯეშმარიტებით ითქვას, რომ თობელი, ანუ თუბალი „დაბადებისა" ჰნიშნავს ახლანდელს საქართველოს; იოსებ ფლავიოსი იბერიად სთარგმნის იმ ძველ სახელს, რომელსაც ბერძენნი მასთვისებდნენ ქართველებს.

„იავან, თობელ და მოსოხ გაჭრა შენდა, რომელთა ამრავლეს ალებ-მიცემობა თვისი გაჭრობითა კაცთაჲთა და ჭურჭლითა რვალისაჲთა" (რვალი სპილენძია), იტყვის ეზეკიელი ქალაქის ტვიროს ალებ-მიცემობის მშვენიერს აღწერაში (თავი, XXVII. მუხლი 13) [13].

„მარტო სპილენძი არ ყოფილა საგნად ალებ-მიცემისა, რომელიც ამდიდრებდა თობელის გაჭრობას. ნუ

---

13) ეს მუხლი თითქმის ერთ-გვარად როგორაც ფრანცუზულს ბიბლიაში, აგრეთვე ნემეცურში და ლათინურში. მხოლოდ ამ უკანასკნელში იავანის მაგიერ იხმარება Graecia; ქართულ ბიბლიაში კი შეცვლილია ისე, როგორც სლავიანურში. ქართულში: „ელლადა ყოველი და განმგრძობელნი მისნი, გაჭრობდეს შენ შორის სულებსა კაცთასა, და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა." სლავიანურში: «Еллада вся, и ближніи твои продаяху въ тебѣ души человѣчи: и сосуды мѣдны даша куплю твою.»

თუ თობელს არ წარმოგვიდგენს მჭედლის-მჭედლად „დაბადება:“ ხოლო სელა შვა თობელ: ესე იყო კვერით ხურო მჭედელი რვალისა და რკინისა?“ (IV, 22).

„იქ, სადაც ებრაელნი უჩვენებენ თავიანთ თობელს, ბერძენნი ჰპოვებენ ხალიბებს, რომელთ სახელი ჰნიშნავ-და ფოლადს და თვით ხალხს, რკინეულობის ჭედის მცოდნეს.

„თავდა პირველად ამ საგანს შეეხება ჰომერი. ის ახსენებს ილიადის მეორე თავში: „ოდიოსი და ახოვანი ეპისტროფუსი წინამძღოლობენ ჰალიზონის მსედრობას, მომავალს შორი-ქვეყნით ჰალიბით, სადაც ვერცხლი იშოვება.“ შემდეგ ჰომერისა სხვა მწერლებიც ხშირად მოიხსენებენ ხალიბების რკინას. სტრაბონი, განმარტავს რა ზემოად მოყვანილს სიტყვას ჰომერისას, არღვევს იმ მწერალთ აზრს, რომელნიც ხალიბებს ასახლებენ მცირე აზიის წინა ადგილებში; თვით სტრაბონი იმათ უჩვენებს სომხეთში. მართლადაც, ყულფი (გოლფი) არის სომხური სიტყვა და მე ვიცი სომხეთში სამი ადგილი, სახელ-დებული ყულფად და სამნივე იგინი განთქმულნი ყოფილან მადნებით. ერთი მათგანია ყარსის ფაშალიკში; მეორე, რომელიც მე განვიხილე, დიდ-არმენიაშია, მაგ-

რამ ორსავე ამ ყულფში ითხრება მხოლოდ მარილი. მე-სამეს შეადგენს ის ყულფი, რომელიც რკინის მადნით არის მდიდარი და რომლის სახელით ორი-ათასის წლის წინად იგულისხმებოდა ერთი გუგარის უმთავრესთა თემ-თაგანი, ესე იგი ხეობა ყულფისა, ანუ გოლფა-ფორისა. იმ დროს ეს ყულფი შეადგენდა არმენიის ნაწილს (Saint-Martin, Mémoires sur l' Arménie, II, 367).

„ახლა თუ თქვენ დარწმუნდით, რომ ყულფის ძვე-ლი ხალიბი, მაშ ისიც ცხადი უნდა იყოს თქვენთვის, თუ რისთვის უწოდს ჰომერი ჰალიზონებად ყულფიდამ მომა-ვალს მხედრობას: გადით მტკვარს, რომელიც პირის-პირ ყულფისა მიმდინარეობს, და თქვენ შეხვალთ მშვე-ნიერს ალაზნის ხეობაში, რომლის სახელი ისე ძველია, როგორც თვით ქართველი ერი (Strabon, livre XI, p. 382).

„ბიბლია კიდევაც წარმოგვიდგენს ერთს ადგილს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიაქცია და რომელიც ცხა-დად გვიმტკიცებს, რომ ყულფი, გოლფი, თობელი და მოსოხი ერთი და იგივეა. ეზეკიელის წიგნში ვკითხუ-ლობთ: „ძე კაცისაო განიმტკიცე პირი შენი გოგსა

ზედა, და ქჳეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს, მოსოხს და თობელსა, და წჳლე მის ზედა (XXXVIII და XXXIX)“. თუ მკითხავთ, რა მსგავსება აქვთ ერთმანეთში ფულდფსა და გოლჯსა, მე გეტყვით ამაზე: ფულდფი ითქმის ქართულად; სომხები კი ამ სიტყვას გამოსთქმენ გოლფად, რადგანაც მათ ენაში ლ იცვლება ღ-ად, ასე მაგალ., სომხები იტყვიან ალბანის მაგიერ აღვანი, ლაზარეს მაგიერ ღაზარი, თრიალეთის მაგიერ თრეღ, და სხვა.“ [14]).

სხვა ადგილს იგივე დიუბუა ამბობს: „მესეხი, მოსოხი, მოსოხის ტომი, წარმომდგარი პირველთ ფრიგიელთაგან (?) ანუ თარგამოსიანთაგან და მიდიელთაგან, რომელთაც იგი დაუყენებიათ წარმატების გზაზე და ხალხოსნობის მძლიერ საფუძველზე, ბინადრობდა კოლხიდასა და საქართველოს შორის: იმას ეპყრა მთელი მხარე ეგრისის სათავიდამ (ფაზი. ძველთა მწერალთა) ვიდრე მტკვრის სათავემდე. თვით ფარსისა და ახალციხის ფაშალიკები უნდა ყოფილიყვნენ მოსოხის შუა-გულად.

---

[14]) Voyage autour du Caucase, IV, 136—141.

„ერთი და იგივე არ ყოფილა ყოველთვის მოსოხის საზღვრები: ხან ვრცელი თურმე იყო, ხან შეზღუდული. მოსოხს საზღვრავდნენ რამდენიმე სამეფონი, რომელნიც მას მძლავრობდნენ და სტაცებდნენ უხვად მანიჭებულს ველე-მინდვრებს. სტრაბონის დროს, მისისავე სიტყვით, იგი დაყოფილი ჰქონდათ კოლხიდას, იბერიას და არმენიას.

„მე აღარ განვიმეორებ, რაც რომ ზემოდ ვსთქვი მესხეთზე (II, 17 და 71; III, 171). აქ მხოლოდ შევნიშნავ, რომ თვით საქართველოს მწერალნი მესხებად ისხენიებენ მესხეთის მცხოვრებთ, რომელნიც ამ სახელითვე ცნობილნი არიან ბიბლიაში, სტრაბონისაგან და პრო-კოპისაგან. თუმცა ისინი აქამომდე ისევ მესხებად იწოდებიან, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათის მხარისა ზემო-ქართლად არის შეცვლილი. ეს გარემოება ჩვენ გვიმტკიცებს დიდს ნათესავურს დამოკიდებულებას მესხებისას და ქართველებისას; ამასვე გვიმტკიცებენ მათი ენა, ხასიათი და ცხოვრების ჩვეულებანი, რომელნიც ყოველთვის ერთნი და იგინივე ყოფილან. მოსხნი და თობელნი-ქართველნი—ძველის-ძველადგანვე არიან ხმობილნი, როგორც თვით სამღვთო-წერილში, აგრეთვე ჰეროდოტისაგან. ჰე-

როდოტის სიტყვით ოარნიკე, მოსხნი და ტიბარენნი, ერთად სწევენ სარკს სპარსეთისთვის (Hérodote, III, 94), ერთ-გვარ არიან შეიარაღებულნი და ერთს სარდალს ექვემდებარებიან ქსერქსის მხედრობაში (VII, 78) [15].

რომ თობელნი თუ თუბალნი არიან ქართველნი ეს ცხადია: იოსებ ფლავიოსი ნამდვილად ამბობს, რომ თუბალებად იგულისხმებოდნენო იმის დროს იბერნი ანუ იბერნი პლინისა, სტრაბონისა და პროკოპისა, ესე იგი აწინდელნი ქართველნი. ტუბალი, იბერი და ჰეროდოტის ტიბერნი ერთი და იგივეა, თუმცა თვით ქართველნი ამ სახელს არ უწოდებენ თავიანთ ქვეყანას. აქამომდე შერჩენია ეს სახელი მხოლოდ მათ სატახტო ქალაქს ტბილისს, რომელიც ძველად დიდად განთქმული ყოფილა თავისის აბანოებით. მე კიდეც გამოვიკვლიე მნიშვნელობა ტუბალისა და მოსოხის გაჭრობისა, რომელიც განვი-

15) ვივიენ დე სენ-მარტენის მენიშვნით, იმათ ერთ-გვარტომობასვე ამტკიცებს თვით სტრაბონი, რომელიც იმათ სამთავროდ აღსენიებს ტიბარენის ტომებად. Recherches sur les populations primitives du Caucase, Paris, 1847, p 57—58. იხილე აგრეთვე Géographi de Strabou par Tardieu, Paris, 1867, II, 210.

თარდებოდა ადამიანისა და სპილენძეულობის ალებ-მიცემობით. მე ვამტკიცებ, რომ რვალი ტუბალისა გამოჰქონდათ საქართველოს სომხეთიდამ და თვით რკინა ხალიბებისა მზადდებოდა მის მახლობლად ყულფის და სხვა ადგილების მრავალს ქარხნებში. რა დიდის ხნისანი არიან ეს ქარხნები, ამას გვიმტკიცებს „დაბადების" თქმულება წარღვნის წინა-დროის ტუბალ-კაინზე, რომელმაც პირველად თურმე შემოიღო ყოველ-გვარი იარაღი რკინისა და სპილენძისა." 16)

აქ შენიშვნაში დიუბუა თავისის აზრის შესამოწმებლად ხალიბების მდებარეობაზე მოიყვანს სკილაქს (522 წ. ქრისტეს წინ), რომლის თქმითაც შემდეგ მოსინექებისა სცხოვრობდნენ ტიბარენნი და მასუკან ხალიბნი. ცხადიაო, რომ სკილაქსი აღნიშნავსო ხალიბებს ტიბილისის მახლობლად. „მე ვფიქრობო, განაგრძობს დიუბუა, რომ მოსინექნი მოსხნი არიანო, თუმცა ჰეროდოტი განსხვავებას ჰპოვებსო მათ შორის."

აქ უნდა დავუმატოთ, რომ გამოჩენილი ახლანდელთ მეცნიერთა შორის ერნესტ რენანი ხალიბებს ეძებს ძველს გორდიანში, რომელიც, იმის აზრით, არის ქალდეა ანუ აწინდელი ქურთების ადგილ-სადგომი 17). ჩვენის ფიქ-

16) Dubois, Voyage, IV, 336—339.

17) Ernest Renan, Histoire Générale des langues sémitiques, Paris, 1863, p. 65—66.

რით, თუ ამ შემთხვევაში შეცდარია დიუბუა, შემცდარი უნდა იყოს აგრეთვე რიჩანი. ერთი ეს, რომ სტრაბონი, რომელსაც ჩვენის მხარის ტომთ მდებარება და ვითარებანი კარგათ სცოდნია, უჩვენებს ხალიბებს, რომელნიც, იმის სიტყვით, „ჩვენ დროში ქალდიებად იწოდებიან,“ ტიბარენებსა და ჭანებს შორის. ჭანებს ის ძველ მაკრონებად ჰხადის [18]. მეორე ეს, რომ რომაელებისა და ბიზანტიელების დროს ხსენებული ქალდეა ჭოროხის ქალდეად იწოდებოდა. მაშ სჩანს, რომ ის ზღვის პირი მხარე ყოფილა. აი რას ამბობს ამაზე სახელოვანი ჟან სენ-მარტენი: „ძველნი და საშუალო საუკუნოთა მწერალნი ქალდეად უწოდდნენ იმ ადგილს, რომელიც მდებარებს ტრაპიზონსა და კოლხიდას შუა და რომელიც მიებჯინება იმ მთას, საიდამაც ჩამომდინარებენ ევფრატი, არაქსი, მტკვარი და აკამფსისი ანუ ახლანდელი ჭოროხი. ქრისტეს შემდეგ მე-X საუკ. დამდეგს ეს სახელი დაერქვა ერთს კონსტანტინეპოლის სამხედრო თემთაგანს, რომლის სატახტო ქალაქად ირიცხებოდა ტრაპიზონი“ [19].

---

[18]) Strab n, XII, 497, 499.

[19]) J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie, Paris, 1818, I, 327. n 1. – Lebeau, Histoire du Bas-Empire, Paris, 1825, III, 366 n. 3.

# II

კავკაზი.—მისი დამოკიდებულობა უძველესის დროის ისტორიულ ცოდნებთან.—ელლინელთ კოლონიები შავის ზღვის პირად.—ძველი ცნობები კავკაზზე.—სტრაბონი.

როგორათაც გეოლოგია გვარწმუნებს, აწინდელი კავკაზის არე-მარე არის სამისა თუ ოთხის ეპოხის ნაწარმოები. ძველის-ძველად ამ მხარეს ვრცელი ოკეანი თურმე ჰფარავდა. მომხდარა ცვლილება; ამოსკეთქილა ვიწრო და გრძელი მთის ზურგი, რომელიც ათას ფუტამდე აბურთებულა. შემდეგ ამისა დამყარებულა ხანგრძლივი მშვიდობიანობა; ჩრდილოეთით სამხრეთად კავკაზს წყლის ზვირთნი თურმე სცემდნენ. როდესაც ბუნება მეორედ შეარყეულა კავკაზის ზურგის სამხრეთად წყლის გულიდამ თავი ამოუყვია ახალციხისა და გურიის ქედს. ბუნება ისევ დაწყნარებულა; მაგრამ ოკეანი ისევ თურმე ავრცელებდა თავის მფლობელობას როგორათაც კავკაზის ჩრდილოეთ მხარეზე, აგრეთვე მის სამხრეთად. აქ ყოფილა ვრცელი სრუტე, რომელსაც ჰსჭრია ამიერისა და იმიერ-საქართველოს დელე-მისიდგრები. ბუნება ისევ

შერყეულა და იმ სივრცეზე რომელიც ჩვენ დროს ჰყოფს შავსა და კასპიის ზღვებს, ცეცხლის მოძრაობას ქვესკნე-ლით დაუწყვია მოქმედება. აჭარის ქედის სამხრეთად გა-ჩენილა აწინდელი ახალციხის ბასსეინი, გარე-მოცულა ციხის-ფუგარისა და წილდირის კრატერებით (crater დიდი მთის ჯამი, საიდამაც გალხობილი და გამდნარი მიწა ამოიდინარებს). ამართულან დიდ-მშვენიერნი ვაკე-მინდვრე-ბი მურაგელისა, ჯავახეთისა, ლორისა და მაღალი მთე-ბი ყარაბაღისა, ალმაგანისა, ალაგეზისა და არარატისა; მაგრამ ლელე-მინდვრები რიონისა, მტკვრისა და არაქ-სისა ჯერ ისევ წყალში წოლილან. კავკაზი და კავკაზს აქეთი მხარე ორ განცალკევებულ კუნძულებად ამოი-ყურყუმალნენ. უკანასკნელი ეპოხა ყოფილა უზომოდ აშფოთებული. მაშინ მისცემია კავკაზს ის სიმაღლე და ის ხასიათი, რომელსაც ახლა ის ჩვენ წარმოგვიდგენს. ამ დროს ოკეანს უკან დაუწევია. იმერეთი, ქართლ-კახეთი და ყველა ვაკე-მინდვრები გარეშე ზღვებისა, შავისა და კასპიისა, როგორათაც თვით ყირიმის ნახევარ-კუნ-ძული ხმელეთად გადაქცეულან. გასხნილა ვულკანე-ბი კავკაზის შუაგულში და აგრეთვე იმის სამხრეთად. იქ სადაც მათი კრატერები ყოფილა, ამართულან

ელბრუსი, ფასის-მთა, ყაზბეგი და სხვანი. ახლა ყველა ვულკანები დაშრულია, მაგრამ ცეცხლის მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა. ამას გვიმტკიცებენ ერთის მხრით დენა მიწის გულიდამ ცხელის წყლისა და ცეცხლისა ბაქოს გუბერნიაში, მეორეს მხრით თვით მიწის ძრვა, რომელიც დროითი დრო არყევს ჩვენს დედა-მიწას და რომელმაც სხვათა შორის 1840 წელს არარატის კრატერი გახსნა და მდიდარი სოფელი ახური ხრულებით ჩანთქა და 1859 წ შამახია დაანგრია. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელს ცვლილებას დაუდვია დასაწყისი განცალკევებისა ურთიერთშორის ზღვათა, შავის, კასპიისა და აზოვისა. რომ იგინი შეერთებულნი ყოფილან, ამისი ნიშნები ახლაც ჩანს. ასტრახნისა და კავკაზის ვრცელი ველები წარმოადგენენ შემშრალს ზღვის ძირს. აქ პოულობენ იმ მოდგმის ლოკოკინებს, რომელნიც აწინდელს კასპიის ლოკოკინებში არ განსხვავდებიან. გარეშემო ადგილები კასპიის მხარისა აქამომდე ცვლილებაშია: როგორათაც ბალხანის ყურეს, აგრეთვე მთელს აღმოსავლეთს ნაპირს ასტრაბადამდე ისე აუწევია, რომ ამუდარია ანუ ოქსუსი, რომელიც ბალხანის ყურეს უერთდებოდა თურქმენის ველის აბურთებით აღმოსავლე-

თისკენ მიმართულა და არალის ზღვაში. შედის, ბაქოს მახლობლად ქვიტკირის შენობაები, რომელნიც ოდესმე ზღვის ნაპირად მდგარან, ახლა ისე ღრმად არიან ჩაწოლილნი შიგ ზღვაში, რომ მხოლოდ მოწმენდილს დარში იხილვებიან. წარჩინებულის გეოლოგის მურჩი-სონის თქმით, სრული განცალცალკევება აწინდელის სამის ზღვისა, კასპიისა, შავისა და არალისა, მომხდარა ისტორიულის დროების დასაწყისში 1)

კავკასია, რომელიც ძველადვე შეადგენდა საზღვარს ევროპისას და აზიისას, მიემართება შავის ზღვის პი-რით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ კასპიის ზღვის პირად. იმისი სიგრძე არის 1420 ვერსი. კავკასია წარმოადგენს ორგვარს სისტემას: ერთია ზემო კავკასია ანუ უმთავრესი მთის ზურგი; მეორეა ქვემო ანუ მცირე კავკასია, რო-მელიც როგორათაც გთქვით გიდევს, პირველთან შეკავ-შირებულია მესხეთის მთით და სურამის მთით. ზემო კავკასიის ზურგში უმაღლეს ქედებად ირიცხებიან: ელბრუსი

---

1) Bullet. de la Société Géologique de France, 1837, t. VIII.—Щуровскаго, Геологическіе очерки Кавказа, „Русскій Вѣстникъ" 1862 г.. февраль 459—468 и апрѣль, 707—709.

(18,526 ფუტი ზღვის პირის მაღლად), კაშთან—თაუ (17,091ფ.), დიხთაუ (16,925ფ.), უაზბეგი (16,546 ფ.) და ადაი-ხოხი (15,244 ფ.). მცირე-კავკაზს უერთდება ზემოდ მოხსენებული თავრის მთა, რომელიც თვით უკავშირდება გიმალაის მთას ინდოეთში. ზემო კავკაზის გაყოლებაზე თითქმის მეხუთედი ნაწილი (296 ვერსი) ყოველთვის დაგვირგვინებულია თოვლის გვირგვინით: აქ სამუდამო თოვლის წრე სამხრეთის (საქართველოს) მხრივ არის 9,600 ფ.; შუაგულს ადგილს 10,500 ფ.; აღმოსავლეთად კი 12,200 ფ. ჩრდილო-მხარე, სამხრეთის წრეს შედარებით, 1,000—1,500 ფუტით მაღლა ადის.[2]) საზოგადოდ კავკაზი უხვად არის მინიჭებული მდინარე წყლებით. მათ შორის ზოგნი მიმდინარებენ შავ-ზღვაში, ზოგნიც კასპიის ზღვაში. შავ-ზღვას ერთვიან: კავკაზის ჩრდილოეთად—ბასსეინი ყუბანისა თავისის ნაკადულით, ლაბით; სამხრეთად—ხოპი, ენგური, კოდორი და რიონი მათის შტოებით. კასპიის ზღვას ერთვიან: ჩრდილოეთად თერგი, სუნჯა, კოი-სუ, სამური და კუმა; სამხრეთად—

---

[2]) Стебницкаго, Замѣтки о распространеніи ледниковъ на Кавказѣ въ „Извѣстіяхъ Кавк. Отд. Геог Общ.," 1877 г., т. V, № 1.

მტკვარი და არაქსი მათის მტოებით. კავკასზი შეიცავს მრავალ ტბებს, თუმცა ისე მრავალს არა, როგორც უცხო ქვეყნების დიდი მთები. უმთავრეს ტბად აქ ირიცხება გოგჩა ანუ სევანგი ერევნის გუბერნიაში (80 ვერსამდე სიგძით), შემდეგ ხოზაპინი, თოფარავანი და ტბის-ური ახალციხის მაზრაში. ევროპის მეცნიერნი, რომელთაც კავკასზი მიმოუვლიათ, განცვიფრებულნი არიან მისის ალბეჭდილებით. მორიც ვაგნერის თქმით, არც ალპი შვეიცარიისა, არც თავრი, არც ატლასი, არც ბალკანი და არც აპენინი ანუ რომელიმე ევროპის მთა არ წარმოგვიდგენენ ამ გვარ კლდე-ზღუდეებს და მრავალ-გვარად დაგლეჯილს თოვლის სივრცეს და ისე კადნიერად აღმართულს დიდებულს მთის წვერებს, როგორსაც წარმოგვიდგენს საშუალო კავკასზის ზურგი." „ერთისავე შეხედვით თქვენ გრძნობთ, ამბობს ბესსი, ამ მთის უპირატესობას ევროპის მთებზე. ეს გაყოლება კავკასზისა, მაღალი და გრძელი, რომელიც დასცქერის გრძელსავე კუმისის ვაკე-მინდორს, მართლა და გასაოცარი რამ არის." ბოტანიკი კოხი სწერს: „რაც რომ ჩემის სიყმაწვილობითვე შეადგენდა ჩემს გულის წადილს და საგანს ჩემის შესწავლისას, ყოველივე ეს ასლა ჩემ

თვალ-წინ მდებარეობს, უსაზღვროდ გამშვენიერებული"[3]). კავკაზის მხარეზე ბუნებას უხვად მოუფენია მრავალ ნაირი სიმდიდრე: ცხელისა და ცივის ქვეყნების ჰავა ანუ, უკედ გვსთქვათ, კლიმატი; ყოველგვარი მცენარე. აქა-იქ ხუთი-ექვსის საათის სავალზე ბარიდამ მოუღლებით მთის ქედამდე, გვპოულობთ ყველა ბუნების ნაწარმოებს, შენობაში საჭირო ხე-ტყეს და ხე-ხილს, რომელნიც კი ქვეყნის პირად არიან გაბნეულნი. გარდა ამისა კავკაზი განსხვავდება ცხოვრებისთვის სხვა და სხვა სახმარის ქვებით: ალებასტრით, მარმარილოებით, გიშრით, ქვისა და ტბის მარილით; მინერალებით ანუ საბანო წყაროებით, შაბით, ჭვარცილით, თეისით, ნავთით; მეტალლებით: ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, კალით და სხვ. აკადემიკის აბიხის თქმით, „საქართველო—სომხეთის მეტალლებში რკინას და სპილენძს აქვთ დიდი მნიშვნელობა, და უნდა ვთქვათ, ძველი თქმულება ივერიის მადნებზე დაფუძნებულია თვით იმაზე, რომ დიდ გავრცელებული ყოფილა აქაური რკინა და სპილენძი. სამხრეთად კავკაზისა რკინა იპოება უფრო ქართლში, იმერეთში და სა-

[3]) Schnitzler, L' Empire des Tsars au point actuel de la Science, Paris, 1862, I, 210, 214.

მეგრელოში. მჟავალი გროვა რკინის წიდისა, აქა-იქ გაბნეული იმერეთისა და სამეგრელოს ტყეებში, ჰმოწმობენ, რომ უძველესის დროიდამვე ადგილობრივნი მცხოვრებნი შეჩვეულნი ყოფილან მათ შემუშავებაში. კარგი რკინის ლითონი არის აგრეთვე ახალციხო-იმერეთის და თრიალეთის მთებში და თვით სუჯუსის დელეჟში, სადაც ძველის ქარხნების კვალი აქამომდე ჯერ არ აღმოუჩენიათ. განსაკუთრებით ისეთს მდიდარს რკინის მადნებს წარმოგვიდგენენ ლალვარის მთები სომხეთში, რომ სიმართლე მოითხოვს მათ ვუწოდოთ საქართველოს მადნების მთებად (Erzgebirge)“ ⁴).

შეჭველია, ამ გვარ მხარეს ამ გვარის მდებარეობისას უნდა აღეძრა ყურადღება იმ ტომთა, რომელნიც კი ისტორიულს ასპარეზზე იღვწოდნენ. ასეც იყო. სულ ძველად ქალდეო-ასსირიელნი, ეგვიპტელნი და ფინიკიელნი, შემდეგ მიდო-სპარსნი და ბერძენნი ანუ ელლინნი ყოველთვის ევლტოდნენ კავკასზს. იმათ მიაჩნდათ ის სიმდიდრის წყაროდ. ფინიკიელნი, რომელნიც იმ ხანებში ყველაზე მეტად განვითარდნენ აღებ-მიცემობაში და თა-

⁴) Prodromus einer Geologie der Kaukasichen Länder, S-Petersb., 1858, 63—65.

ვისი გავლენა ვრცლად მოჰფინეს დედა-მიწაზე, მე-XVII-XIV საუკ. ქრისტეს წინ, ფასპედვით ცურავდნენ—მოგვყავს ლენორმანის სიტყვები—უბრალო ნავებით შუა-თიანსა და შეუწყნარებელს შავ ზღვაში, რომელიც ჩვენის დროს მენავეთათვისაც კი დიდად საშიშარია. ისინი მოგზაურობდნენ ნაპირ-ნაპირ, მცირე-აზიის ჩრდილო მხარეებში, ადებ-მაცემობდნენ ადგილობრივთ მცხოვრებთ შორის და შედიოდნენ კოლხიდაში, საიდამაც ბრუნდებოდნენ, დატკირთულნი მადნეულობით: ოქროთი, რომლისაც კოლხიდელნი პოულობდნენ თავიანთ მდინარე წყლებში და რომელიც ქარვანებს შემოჰქონდათ იქ ურალის მთიდამ და არიმასპის ქვეყნიდამ; კალით, რომელიც საჭირო იყო თითბრის შესამუშავებლად და რომელსაც იბერნი და ალბანელნი სთხრიდნენ კავკაზის მთებში; ტყვით და ვერცხლით, რომელიც აღმოიპოვებოდა იმავე მხარის სხვა ადგილებში; ხელონაქნარის ლითონებით, რომელთაც სჭედავდნენ ხალიბნი თავიან მთებში და რომელნიც სახელ-განთქმულნი იყვნენ მთელს ქვეყანას პირზე. ეს ლითონებია: უკეთესის ღირსების სპილენძი, წმინდად დათლილი რკინა და ნამეტნავად ისეთი ფოლადი, როგორსაც ვერც ერთი უცხო-ტომთაგანნი ვერ იმუ-

შაკებდა.“ 5) ფინიკიელებს ჰქონდათ გაბმული საკუთარი ციხე-სიმაგრეები, ბოსფორით კოლხიდამდე იქ, სადაც შემდეგ ბერძნების დროს აღყვავდა კოლონიები. ფინიკიელებმავე შეკრიბეს კავკასიის მხარეზე პირველი ცნობები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, თუმცა მათ მოიხსენებენ ელლანთ მწერალნი.

ფინიკიელებს თავიანთი სავაჭროები ჰქონდათ ეგვიპტეში და ქალდეო-ასსირიაში, თუმცა ამ უკანასკნელთ თავის-თავადაც ჰქონდათ დამოკიდებულობა კავკასითან. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იმათში ეგვიპტე მოშორებით იმყოფებოდა და ამისთვის იმისი დამოკიდებულობა ჩვენ მხარესთან უფრო სუსტი იყო, ვიდრე ქალდეო-ასსირიისა. ერთი ღირს-სახსოვარი ფაქტი, ეგვიპტელთაგან დატოვებული ჰეროდოტის ისტორიაში, არის შემდეგი. ჰეროდოტი სცხოვრებდა მე-V საუკ. ქრისტეს წინ. მისის თქმით, ეგვიპტის განთქმული მეფე სეზოსტრისი, რომელიც ახლა ცნობილია რამზეს მეორედ და რომელიც ჰყვაოდა მე-XIV საუკუნეში, აზიისა და ევროპის დაპყრობის შემდეგ მისდგომია ფაზის მდინარეს და აქ დაუსახლებია

5) Man. d' Hist., III, 34—35.

თავისი კოლონია. „მე გამოვკითხე ამ საგანზე, ამბობს ჰეროდოტი, კოლხიდელებსაც და ეგვიპტელებსაც და ორნივე ერთის აზრისანი არიან. ეგვიპტელნი იტყვიან, რომ კოლხიდელნი შეადგენენ სეზოსტრისის მხედრობის ნაწილს. ამ აზრს ჰმოწმობსო იმათივე მოშავო ფერი, ხუჭუჭი თმა და წინადაცვეთა, რომელიც ჩვეულებად აქვთ ორსავე ტომს და რომელიც კოლხიდელებთაგან მიუთვისებიათო თვით იმათ მეზობლებს მაკრონებს. გარდა ამისა ეგვიპტელნი და კოლხიდნი ერთ-ნაირად მისდევენო სელის შემუშავებას და თვით ყოფა-ცხოვრება და ენა ორსავე ტომისა ერთი და იგივეაო.“ ეს გარდამოცემა ჰეროდოტისა ანუ, ჩვენის ფიქრით, მითი, მიუღიათ ნამდვილ შემთხვევად შემდეგის საუკუნოების მწერლებს და ამ გვარად გავრცელებულა ჩვენ დრომდე. 200 წლით ქრისტეს წინად აპოლონ როდოსელი სწერს: „პირველი ადამიანის სამშობლოდამ, ეგვიპტიდამ, გავიდა მრავალრიცხვის მხედრობით წარჩინებული მეომარი (სეზოსტრისი), რომელმაც ყველა ადგილებში მრავალი ქალაქი დააფუძნა. იმათ შორის ზოგი გაუქმებულია და ზოგი კი ახლაც ჰყვავის. ამ უკანასკნელთაგანია ეა კოლხიდაში. კოლხიდელნი შთამომავლობენ იმ მხედართაგან,

რომელნიც აქ დაუმჟავრებია ეგვიპტის გმირს. ისინი ხმარობენ თავიანთ წინა-პართაგან მიღებულს ფიცრებს, რომლებზედაც ნაჩვენებია ხმელეთისა და ზღვის საზღვრები, შარა-გზები და ბილიკები." დიოდორეც (I საუკ. ქრისტეს წინ) ამბობს: „სეზოსტრისმა განვლო მდინარე განგი და მიაღწია აღმოსავლეთ ოკეანემდე. მასუკან, როდესაც ჩრდილოეთით უკუიქცა, იმან დაიმონავა სკვითია ტანაისის მდინარემდე, რომელიც ჰსაზღვრავს აზიასა და ევროპას. იტყვიან, ვითომც იმ ეგვიპტელთაგან, რომელნიც სეზოსტრისს დაუსახლებია მეოტიდის ტბის გარეშემო, წარმომდგარან კოლხიდის ტომნი. ამის შესამოწმებლად მოჰყავთ წინა-დაცვეთა მამობრითის სქესის ყმაწვილთა, რომელიც ჩვეულებად არის როგორათაც ეგვიპტეში, აგრეთვე იმის კოლონიებში და ურიებში" [6]).

როგორც მოვიხსენიეთ, ქალდეო-ასსირიის დამოკიდებულობა ჩვენ მხარესთან უფრო ხშირი ყოფილა. მათი შარა-გზები ბაბილონიდამ მიემართებოდნენ—ერთი მიდიის ქალაქისკენ, ეკბატანისკენ, და შემდეგ კასპიის პი-

---

[6]) Histoire d' Hérodote, II, 122—123. Moreau de Jonnés, Éthnogénie Caucasienne, Paris, 1827, p. 126, 130, 157.

რის შესავლით ჰირკანიისკენ; მეორე მესოპოტამიით ეფრატზე და კილიკიით კაპპადოკიაში. ეფრატი იყო ბუნებითი გზა, რომლითაც ქალდეო-ასსირიის მოვაჭრენი ალებ-მიცემობდნენ არმენიაში და კავკაზში. საზოგადოდ ხსენებულ გზებზე აქა-იქ გამართული თურმე იყო ქარვასლები საქონლის დასაწყობად. ჰეროდოტის თქმით, ეფრატზე საგაჭროები გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ნავტიკებით, რომელნიც ახლაც თურმე იხმარებიან ტიგრის მდინარეზე. ამ გზით ქალდეო-ასსირიაში შედიოდა არმენიიდამ ღვინოები, ჩვენის მხრიდამ სხვა და სხვა მადნეულობა და აგრეთვე ყმაწვილნი ქალ-ვაჟნი, რომელნიც ფასობდნენ მათის სიტურფის გამო. ეს ჩვეულება შემდეგშიაც არ ამოჰკვეთილა. „თვით ჩემს დროსაც, ამბობს ჰეროდოტი (მე-V საუკ.), კოლხიდელთ და მათ მოსაზღვრე მცხოვრებთ ხარკათ ედოთ, რომ ყოველს ხუთ წელიწადს ას-ასი, ვაჟი და ქალწული ქალი; ეძლიათო სპარსეთისათვის“ [7]). ახლად გარკვეული ლურსმებრივი მწერლობა ჰმოწმობს, რომ იშვიათი არ ყოფილა ქალდეო-ასსირიელებთაგან გალაშქრება ურარტუში ანუ ახლანდელს არმენიაში, ილლიბში (ალბანია ანუ დაღისტა-

---

Hérod., III, 195.

ნი) და ტუბალ-მოსხეთში. ამ საგანზე და თვით მოსხო-ტუბალის გვარ-ტომობაზე მოგვყავს ერთი ახალი აზრი ყოფილ სურისა,—აზრი, რომელიც დაფუძნებულია მცირე-აზიის უკანასკნელს არხეოლოგიურს შესწავლაზე, 1861 წელს, საფრანგეთის მართებლობის მინდობილობით, გამოგზავნილის არხეოლოგის ჟორჟ პეროს მიერ. ვინ იყვნენ, ჰკითხავს თავის-თავს სური, ტუბალი და მოსოხი ანუ ტიბარენნი და მოსხნი, რომელთაც ტიროს ქალაქში შეჰქონდათ სპილენძის ჭურჭლეულობა და რომელნიც ყოველთვის შეერთებით არიან ხსენებულნი ბიბლიაში და თვით ჰეროდოტის მიერ? მოსხნი იყვნენ პირველნი მცხოვრებნი კაპადოკიისა, რომლითაც ასსირიის გავლენა მოეფინა მცირე-აზიაში. უეჭველია, რომ ძველი მაზაკი, მდებარე დათოვლილის მთის არგეს ძირად, ჴალისზე, შეადგენდა ცენტრს სამფლობელოს ტურანელებისას. ბევრით შემდეგ, სტრაბონის დროს, როდესაც კაპადოკიაში ბინადრობდნენ სემიტნი, „მოსხეთი“ შეიცავდა კოლხიდას, იბერიას და ნაწილს არმენიისას. რაც კი შეეხება ტუბალს ბიბლიისას, ტაბალს ლურსმებრივის მწერლობისას ანუ ტიბარენებს ჰეროდოტისას, ეს ტურანელი სალხი გავრცელებულა შავი-ზღვის პი-

რამდე, ტრაპეზონის და სინოპს შუა. უძველესი ნათესავური დამოკიდებულება მოსხო-ტიბარენთა მიდიის ტურანელებთან [8]. უძველესი აგრეთვე მათი ერთ-გვარტომობა ძველ ქალდეველებთან, რომელთაც დაუმხვიათ მესოპოტამიაში ქუშიტნი და ევფრატო-ტიგრის ქვემო ნაპირზე დაუფუძნებიათ ქალდეა [9] ამათგან მიუღიათ,— დაჭმატების სუფი—სემიტებს და სემიტებთაგან არიელებს პირველ-დაწყება სწავლა-ხელოვნებისა; ამათვე შეუტანიათ ლურსმნებრივი მწერლობა როგორათაც მესოპოტამიაში, აგრეთვე არმენიაში და თვით სუზიანში. სულ ძველისძველად მოსხნი, ტიბარენნი და ქალდეველნი პირველნი განვითარებულან მადნებისა და მეტალეულების შემუშავება-

---

[8]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა არხეოლოგია ჩვენ ცოდნას ცურანულებით ქრავის, მაგრამ ლინგვისტიკას ეჭვი აქვს. რა საბუთები მოჰყავთ ერთსაც და მეორესაც, ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

[9]) ამ საგანს სხვა მწერლებიც შეეხებიან. ამათ შორის ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც მესოპოტამიის ქალდეველნი გამოსულიყვნენ გორდიენიდამ, აწინდელის ქურთისტანიდამ (Renan, Hist. de lang semit, 60, 66, 68); ზოგნი მათ პირველ საცხოვრებელს უჩვენებენ პონტის ქალდეაში (Leanglois, Collection des hist r. armén., I, 3, 44)

ში.—მე-XII საუკუნეში ქრისტეს წინად მეფემ თიგლათ-ფალასარ I-მა ორჯელ თურმე სძლია მოსხებს და მათ ხუთ მეფეს, რომელთაც სჭერიათ უმეტესი ნაწილი კაპპადოკიის და პონტოსა. როგორც სჩანს, მოსხეთის ადმოსავლეთად ტიბარენებს ჰქონიათ დიდი სამფლობელო, რადგანაც სალმანასარ II-ის წარწერით, „ჩემის მეფობის ოც და მეორე წელს მე ოც-და-ერთსელ გავედი ევფრატს გაღმა, შევედი ტაბალის ქვეყანაში და ოც-და-ოთხს მეფეს ამ ქვეყნისას ხარკი დავდეო“ [10].

ამტკიცებენ, ვითომც მიდიის მეფეს კიაქსარს (635—595 წ.) ევფრატის სათავეებიდამ შეერთებოს პონტისა და კავკაზის მხარეში ის ნაწილი ქართველის ტომისა, რომელიც იქ თურმე ცხოვრობდა, და მათ ადგილში დაუსახლებინოს ფრიგიელი ტომი ჰაიკანელნი და ირანელი ტომი კატპატუკა [11]. მის დროსვე სკვითნი, ქართლის-ცხოვრების ხაზარნი, კავკაზისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთად მცხოვრებნი, კავკაზით დასხმიან მიდიას;

---

[10]) Revue de Deux Mondes, 15 oct. 1873, Asie Mineure d' aprés les nouvelles découvertes archéologiques, 909—910.

[11]) Maspero, Hist, 398—399, 478.

სადაც უმფლობელნიათ და უმძლავრნიათ 28 წელიწადი. სპარსეთის მეფეს კიროსს (559—529 წ.) დაუმონავებია ალბანელნი და იბერნი, კოლხიდელნი და მაკრონნი, ხალიბნი და ტიბარენნი, რომელნიც იმის შემდეგაც სპარსეთის მფლობელობაში დაშთენილან. მეფეს დარიოსს (522—506) მთელს თავისს ვრცელს იმპერიაში ახალი სახელმწიფო წესი დაუმყარებია და სასატრაპოები ანუ, ჩვენებურად, საერისთავოები დაუარსებია; იმათ შორის, ჰეროდოტის თქმით, მეთვრამეტე სასატრაპოს შეადგენდა არაქსსა და კავკაზს შუა მდებარე იბერია და ალბანია, რომელთაც ხარკად სდებიათ 200 ტალანტი; მეცხრამეტე სასატრაპოც უფილა პონტო და მისნი მცხოვრებნი-მოშიანნი, ტიბარენნი, მაკრონნი და მოსინეკნი; იმათი ხარკი ყოფილა 300 ტალანტი [12].

სპარსეთის პოლიტიკური ძალა და გავლენა ძლიერ ისევ მოქმედებდა, როდესაც ევროპაში და მცირე-აზიაში აღყვავდა მის მოწინააღმდეგე ელლინელი ტომი, რომელმაც მცირე ხანში ის შეარყია და დაამხო. მთელი შავი-ზღვის პირი და უმეტესი ნაწილი საშუალო-ქვეყნის

[12]) Hérodote, III, 194.

ზღვის კიდისა ელლინების კოლონიებით მოიფინა. იმათ შორის ყველაზე მეტად განვითარდნენ ფოკეა და მილეტი. ჩვენის მხრით განსაკუთრებით ღირს-სახსოვარია მილეტი, რომელიც მდებარებდა კარის დასავლეთად, ლათმიკის ნავთ-სადგურის მახლობლად. მილეტში დამყარდა ბინა ელლინების წარმატებისა. მილეტელთაგანი იყვნენ: ფილოსოფოსნი-ფალესი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენი; ისტორიკოსნი-ჰეკატე და კადმი; ორატორები-ესხინი, ასპაზია და არისტიდი. მილეტს ჰქონდა ასამდე სამხედრო გემი; მილეტმა გაიჩინა მრავალი ცხვრის ფარები და თავისი მშვენიერი ხალები და ქსოვილები მთელს მაშინდელს ხმელეთზე გაავრცელა. მილეტი ალებ-მიცემობდა ერთის მხრით აზიის შუაგულამდე, მეორეს მხრით გიბრალტარის ბოლაზამდე. უმთავრესი ასპარეზი იმისის ვაჭრობისა იყო შავი-ზღვის პირი, სადაც იმან მოჰფინა საკუთარი კოლონიები, ერთი მეორესთან დაკავშირებული. იმისი კოლონიები გაშენებული იყო უმთავრესის მდინარეების შესართავებში, ზღვის მოხერხებულს ყურეებზე და ხეობაების შესავალში. იმათ შორის ოლბია მდებარებდა დნეპრისა და ბუღის შესართავში და სცვლიდა სკვითების მდიდარ სამკალზე საბერძნეთის ღვინოს და ნავთოფს; ტანა-

ისი იყო გაშენებული დონის შესართავში, აქ, სადაც ციმბირის ქარავნები იკრიბებოდნენ. ტანაისის ვაჭრობა იყო ციმბირის ბეწვეულობა, ინდოეთის ფარჩეულობა და სურნელ-სუნელობა. ფანაგორია იყო დაფუძნებული ყუბანის შესართავში. და იმისი ნავთ-სადგური დასცქეროდა პონტს და ბოსფორს კიმმერიისას. აქ იკრიბებოდნენ აზიელნი ბოსფორიელნი, მეოტნი და ჩრდილო-კავკასიის ტომნი. შემდეგ ტანაისმა და ფანაგორიამ თავის მეტროპოლიად ანუ დედა-ქალაქად აღიარეს პანტიკაპეა. ტორიკოსი და ბატა მდებარებდნენ გელენჯიკის და სუჯუკ-კალეს ყურეზე; დიოსკურია მდებარებდა აფხაზეთის შუა-გულში. დიოსკურიას შეჰქონდა კავკასიის მთიულებში პანტიკაპეის მარილი და ნაცვლად კავკასიიდამ გამოჰქონდა ტყავი და სხვა იმისი ნაწარმოები. ფაზი ანუ შემდეგ ფოთი შეადგენდა სავაჭრო ქალაქს კოლხიდისას, რომლისაც გაჰქონდა სელი, კანაფი, წმინდა სანთელი, ფისი, ტილო, ხე-ტყე და თაფლი.[13]);

საზოგადოდ მცირე-აზიის ელლინებმა შეჰკრიბეს, და გადმოგვცეს თავიანთი ცნობები თვით კავკაზზე... აქ ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ კავკაზს აქამომდე სხვა

---

[13]) Dubois, Voyage, I; 56—58.

და სხვა ტომნი სხვა და სხვა სახელს მისთვისებენ. იმას უწოდებენ-თურქნი გაფ-თაგად, სპარსნი იალბუზად, ქართველნი იალბუზის მთად. უკანასკნელნი თვით კავკაზსადაც სახელ-სდებენ. ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც იალბუზი ანუ ელბრუსი ძველს სპარსულს ენაზე ჰნიშნავდეს მაღალ ტანს, სიმაღლეს და ვითომც აქამომდე სპარსნი ელბრუსად უწოდდნენ მაღალ მთას ჯიბრაილის მაზრისას სპარსეთში. კლაპროტის აზრით გაფი უდრის ძველს მიდიურს სიტყვას გაფსპს, გასპს და გასპიის ზღვისა და თვით კასპიელების სახელ-წოდება ამ მთიდამ არის წარმომდგარი, რადგანაც ერატოსთენის მოწმობით, რომელიც მოჰყავს სტრაბონს, კავკაზიელნი კავკაზს კასპიის მთად უწოდდნენ [14]. ზოგნი კავკაზს ეძებენ არიელთ უპირველესს საცხოვრებელში, საიდამაც მრავალი გეოგრაფიული სახელ-წოდება გავრცელებულა სხვა და სხვა მხარეში. ზემო-აზიაში ძველად კავკაზად თურმე უწოდდნენ იმ თოვლით დაბურულს მთა-ადგილს, რომელიც მდებარეობს სამხრეთად გიმალაისა, ბაკტრიანსა და არიანს შორის. ვივიენ სენ-მარტენის აზრით, იქ, სადაც ინ-

[14]) Voyage au Mont Caucase, Paris, 1823, I, 132—137.

დუსს აქვს სათავე, ცხოვრობდა და ცხოვრობს გავრცელებული ტომი ქაზ-აზნი. იმათ მთებს სანსკრიტნი უწოდნენ ქაზა-გირს (გირი სანსკრიტულად არის მთა, ქართული გორა); ეს სიტყვა მიდო-სპარსულს ენაზე გადაქცეულა კოხ-კაზად, რადგანაც ამ ენაზე კოხი მთასვე ჰნიშნავს. ამ სახელ-წოდების შემოტანაზე ჩვენში გივია-ნე დე-სენ-მარტენი ამბობს: „უძველესნი ელლინთ მწერალთაგანნი არიან ჰორფეი და ჰომერი, რომელნიც ჰყვავოდნენ მე-IX საუკუნეში ქრისტეს წინად. ამათ სახელ-წოდება კავკაზი არა ჰსცოდნიათ. ესეც უნდა ითქვას, რომ ჰომერისაგან არ არის მოხსენებული არც აზია, არც კოლხიდა, არც პონტი და არც ფაზი. კოლხიდას ეს აღნიშნავს აეტის სამფლობელოდ; მხოლოდ ორფეი უჩვენებს ფაზს. მართალი, ორფეის არგონავტიკაში, რომელიც წარმოგვიდგენს (მე-XIV საუკ.) — არგონავტების მოგზაურობას კოლხიდაში, მოხსენებულია კავკაზი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არგონავტიკა შემდეგში შეცვლილი და დამატებული. ნამდვილი გეოგრაფიული ცნობა ჩვენ მხარეზე ელლინებში იმ დროიდამ ვრცელდება, როდესაც მილეტელებს დაუფუძნებიათ კოლონიები შავი-ზღვის პირად. პირველად კავკაზს და

კოლხიდას იხსენიებენ ქსხიდი, ფერესიდი და მინდარი, რომელნიც 550—500 წ. ცხოვრობდნენ.* ვისგან და რა დროს დარქმევია კავკასს ეს სახელი, აი ამაზე რას ამბობს სენ-მარტენი: ძველის თქმულებით ჩრდილოეთად კავკაზისა და გარეშემო აზოვის ზღვისა მკვიდრობდნენ კიმმერიელნი, რომელნიც ხსენებულნი არიან თვით მოსე წინასწარ-მეტყველისაგან და რომელთ სახელი, კიმმერიის ბოსფორი, მისთვისებია აზოვის ზღვის შესავალს. კიმმერიელნი ამ ადგილიდამ შეუძრავთ და განუდევნიათ, ჰეროდოტის ცნობით, მე-VII საუკუნის გასულს, მათთავე მოსაზღვრე სკვითთა. ამასთანავე სკვითნი დაჰსხმიან ირანის ტომს მიდიაში და აქედამ იმათ გადაუსახლებიათ ჩრდილოეთად კავკაზისა მიდიის მცხოვრებნი, რომელნიც ქართლის-ცხოვრებაში ცნობილნი არიან ოსებად, უცხოტომთ მწერალთაგან კი აზებად. მართლა და მიდიური შთამომდინარეობა ოსებისა უეჭველი ფაქტია. იმათი ენა ირანული ენაა; ისინი აქამომდე თვით თავის ტომს ირონებად ჰხადიან. აზიებად ისახელწოდებოდნენო იგინი, იტყვის სენ-მარტენი, იმ ჰაზ-აზიზების სახელით, რომელნიც ინდოეთში სცხოვრობდნენო და ეჭვი არ უნდა გვქონდესო, რომ იმათგან არისო პირველად სახელ-წოდე-

ბული კავკასის ჩრდილოეთი მხარე აზიად და თვით უმ-თავრესი ზურგი კავკასიისა კავკასად [15]).

მილეტელების დროის შესანიშნავნი ელლინელნი მწერალნი, რომელნიც ჩვენ მხარეს შეეხებიან, არიან: სკი-ლაქსი, ჰეროდოტი და სტრაბონი. სამნივე ეკუთვნიან მცირე-აზიას. სკილაქსი დაბადებულა კარიის ქალაქში კა-რიანდაში, მაგრამ რა დროს ცხოვრობდა დაჭეშმარი-ტებით არ ვიცით, თუმცა საზოგადოდ იხსენიება მე-V საუკუნეში, როდესაც ჰყვაოდა ჰეროდოტი,(486—406წ.) შობილი ჰალიკარნასში. სტრაბონი დაბადებულა პონტის ქალაქში ამასიაში, ცხოვრობდა უკანასკნელს საუკუნეში ქრისტეს წინად და იყო თანა-მედროვე რომის იმპერა-ტორებისა, აგვისტოისა და ტიბერისა. სკილაქსისაგან არის დატოვებული აღწერა საშუალო ზღვისა, პროპონ-ტიდისა, ევქსინის პონტოისა ანუ შავის-ზღვისა და მეო-ტიდის ტბისა. ჰეროდოტს შეუდგენია ცხრა ისტორიუ-ლი წიგნი, რომელშიაც მოხსენებულნი არიან პონტის მხარე და, როგორც ზემოდ ვთქვით, თვით ჩვენი ტო-მიც. სტრაბონს დაუწერია ორ-გვარი თხზულება—ის-ტორიული, საუბედუროდ, დაკარგული და გეოგრაფიუ-

---

15) Recherche, 6—13, 145, 151—152, 189.

ლი, რომელიც ნათარგმნია თითქმის ყველა ევროპიულ ენაზე. აქ საჭიროდ ვხადით შევდგეთ მხოლოდ სტრაბონზე, რადგანაც რა ცნობებიც კი შემოუკრებიათ ჩვენ მხარეზე სკილაქს, ჰეროდოტს და სხვა ელლინელთ მწერალთ, თითქმის ყოველივე ნართულია სტრაბონის „გეოგრაფიაში“.

სტრაბონს მიმოუვლია სირია, ეგვიპეტი, საბერძნეთი, იტალია და თვით ჩვენი მხარე, როგორათაც ჰეროდოტს კოლხიდა [16]). თუმცა სტრაბონი თავის მოგზაურობაზე ჩვენში არას ამბობს, მაგრამ ეს ცხადად იგულისხმება მისის წიგნის კითხვის დროს. შეუძლებელიც იყო, ამისთანა ცნობის მოყვარე კაცს არ ესარგებლა შემთხვევით: იმისი დედის ბიძა მოაფერნესი ყოფილა მიტრიდატის დროს, როგორათაც თვითონვე გვიამბობს, გამგე კოლხიდისა [17]). სტრაბონის „გეოგრაფიაში,“ რომელიც დაყოფილია 27 წიგნად, სამი (მე-X, მე-XI და მე-XII) წარმოგვიდგენს მცირე-აზიის აღწერას და იმათ შორის მე-XI და მე-XII შეიცავს თვით ი

---

[16]) Hérodote, Introduct. de Quiquet, p. II livre II, p. 122.

[17]) Strabon, XI, 401; XII, 513.

ცნობებს, რომელნიც ჩვენის მხარის სურათს გამოგვი-
ხატვენ, თუმცა ზოგიერთნი მათგანნი აქა-იქაც მთელს
თხზულებაში გაბნეულნი არიან. სტრაბონი არის სწავლა-
მეცნიერებაში დიდად განვითარებული. თავის გამოკვლევა-
ში ის ადგა კრიტიკულ მეთოდს: ერთ ავტორს მეორეს
უთანასწორებს, ერთს მეორით ჰმოწმობს ან არღვევს; რაც
სტრაბონს დასაჯერებელი არა ჰგონია, იმას ის მკაცრად სჯის
და ჰკიცხავს; რაც საეჭვოდ მიაჩნია, იმას სიფრთხილით
იხსენიებს. სტრაბონის წყაროებია—ზეპირ-გადმოცემა,
მითები, ძველი და თანამედროვე მწერლები და თვით მის
მიერ გაგონილი და ნახული. კავკაზის შესწავლის მასა-
ლებად ის ჰსადის უფრო მიტრიდატისა და რომაელების
დროს შეკრებილს ფაქტებს. ერთ ადგილს ის ამბობს:
„რაც კი შეეხება იმ ქვეყნებს, რომელნიც მეოტიდით
კიდემდე მდებარებენ და რომელნიც კოლხიდას ჰსაზღ-
ვრავენ, იმ ქვეყნებზე ცნობანი გარდმოცემული გვაქვს
მიტრიდატ ევპატორისაგან და იმის მოადგილეთაგან" [18].
ამ მოადგილეთაგანი იყო თვით სტრაბონის დედის ბიძა.
გარდა იმისა ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ცნობა კავ-
კაზზე ეკუთვნის „პომპეის ისტორიკოსს" პოსიდონიოსს.

---

18) Strabon I, 22.

შენიშნეთო, იტყვის სტრაბონი, რომ პოსიდონიოსი იყო მეგობარი პომპეისა, რომელმაც კოლხიდის ზღვის კიდით კასპიის ზღვის კიდემდე გაიარა და თავისი მხედრობა იბერიელებში და ალბანიელებში შეიყვანაო (66—62 წ. ქ.) [19]. სტრაბონი აფუძნებს აგრეთვე თავისს აღწერას როგორათაც თეოფანეზე, რომელიც მისისავე სიტყვით, „პომპეის თურმე დაჰყვებოდა და თვით ყოფილა ალბანიაში," აგრეთვე მეტროდორე სკეპსისზე და ჰიფსიკრატეზე, რომელთაც ჩინებულად იცოდნენო მთელი ეს მხარე" [20]. მაშასადამე, სტრაბონს დაწვრილებით უნდა გამოეკვლია კავკასია. ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სტრაბონისაგან აღნიშნული მიმართულება მთებისა და მდინარეებისა თითქმის სრულებით ეთანხმება ახლანდელს ტოპოგრაფიულს გამოკვლევას და თვით იმათი ნომენკლატურა, სტრაბონისაგან დატოვებული, ჩვენ დროს მიღებულია ისტორიულს კარტოგრაფიაში.—ამ შრომაში ჩვენ ვსარგებლობთ უკანასკნელის ფრანცუზულის თარგმანით Géographie de Strabon par Amedée Tardieu, რო-

[19]) Ibid., XI, 389.

[20]) Ibid., XI, 411—412.

შელმაც აქამომდე, 1867—1873 წ., გამოსცა პარიჟში მხოლოდ XII წიგნი: რადგანაც ქვემოდ გამოკრებილი ფაკტები გაბნეულია, როგორც გთქვით, აქა-იქ სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ ჩვენ იმათი ციტატები არ მოგვყავს, რომ სტატიის სტრიქონები არ აჭრელდეს.

სტრაბონის თქმით, კავკაზი არის გრძელი ზურგი, რომელსაც უწოდებენო ხან კავკაზად, ხან მთის ქედად, და ადგილობრივნი მცხოვრებნი კი, ერათოსფენის მოწმობით, სახელ-სდებენო კასპიუსად. ეს უკანასკნელი სახელი მისცემია, როგორც სჩანსო, იმ კასპიელთაგან, რომელნიც კასპიის სამხრეთად თურმე ბინადრობდნენ. კავკაზის ზურგი განაწილდებოდა რამდენსამე შტოებად, რომელნიც ერთის მხრით ესაზღვრავდნენ იბერიას და ალბანიას, მეორეს მხრით უკავშირდებოდნენ მესხეთის მთას, შემდეგ იმის გაყოლებას სკიდისესს და ფარიადრეს, ჩვენის დროის ზანეთის მთას. თვით ეს ორი ქედი უერთდებოდა თავრს, რომელიც შეადგენდა სამხრეთ ნაწილს არმენიისას. გარდა ამისა კავკაზს ესაზღვრავდნენ პონტოისა და კასპიის ზღვები. პონტოს ზღვას ძველად თურმე ერქვა Pontos Axeinos ანუ, გადმოთარგმანებით, სტუმართ შეუწყნარებელი ზღვა მისის შფოთიანის

თვისების გამო, როგორათაც პირ-ქუშობის გამო ზღვის პირის მცხოვრებთა, სკვითთა, რომელნიც, როგორც იტყვიანო, უცხოთელებს ჰხოცავდნენ, იმათ ლეშს სჭამდნენ და იმათ თავის სარქველს სასასმელო ჭურჭლის ნაცვლად ხმარობდნენ. პონტოს აქსეინოსს დაჰრქმევია Pontos Euxeinos ანუ სტუმართ შემწყნარებელი მაშინ, როდესაც გარეშემო იმისა დაფუძნებულა ელლინთ კოლონიები. კასპიის ზღვა, რომელიც სივრცით მცირედ თურმე განსხვავდებოდა ევქსინის პონტზე, იწოდებოდა აგრეთვე ჰირკანიის ზღვად ჰირკანიელებთა გამო, რომელნიც იმის სამხრეთად ცხოვრობდნენ. კავკაზი მდიდარი იყო ყოველ-გვარის ტყით, მეტადრე სანავო ხე-ტყით. იმისი უმაღლესი ადგილები ზამთრობით დახშული თურმე იყო, ზაფხულში კი გახსნილი. თოვლისა და ყინულის გამო მთიულნი ასასვლელად ხმარობდნენ ერთ-გვარ ქალამნებს გამოუქნელის ხარის ტყავისას, განიერს, როგორც დოლის ტყავი. ჩვენის ფიქრით ეს უნდა იყოს ახლანდელი თხელამური. ჩასასვლელად სხდებოდნენ შირუტკის ტყავზე, გვერდით ჰქონდათ ბარგი, და ამ გვარად ცურავდნენ მაღლიდამ დაბლა. ეს ჩვეულება ახლაც არის, მხოლოდ ტყავის მაგიერ იხმარება დაგო-

გოლებული ნაბადი, რომლითაც შეყინულს თოვლზე დაეშვებიან ხოლმე მთის კალთებზე. ხმარობდნენ აგრეთვე ხან და ხან წვეტიანს ფიცარს მგვალს და მოკლეს, რომელიც ფეხ-საცმელზე თურმე იყო მიბმული. სტრაბონი მოიხსენებს კავკაზში მრავალ-რიცხვს ენებს: მარტო ალბანიაში თურმე უწვენებდნენ 26-მდე სხვა და სხვა ენას. მომეტებული ენები ყოფილა დასავლეთს მხარეს. დიოსკურიის ქალაქში დროითი დრო თურმე ჩამოიკრიბებოდა სხვა და სხვა ხალხი, სხვა და სხვა ენების მოსაუბრე; 300 კი არაო, როგორც ზოგიერთნი მწერალნი ამტკიცებენო, არამედ 70-ით. სტრაბონი კავკაზიელთ ჴსადის ველურ ტომებად: ისინი ყოფა-ცხოვრებაში ერთი-ერთმორის დაშორებულნი ყოფილან და ეს თურმე იყო მიზეზი, რომ თვით ენები დაიგლიჯნენ და ერთი მეორეს დაჭშორდნენ.

სტრაბონის ჩვენებით ტანაისიდამ (დონიდამ) ვიდრე ფაზამდე მკვიდრობდნენ: ა) ტანაისის პირად სავრომატნი; ბ) მეოტიდის, ანუ აზოვის ზღვის ნაპირზე: მაეტნი; გ) ტამანის ნახევარ კუნძულზე და პონტის პირ: ანაპამდე სინტნი; დ) ანაპის სამხრეთად გელენჯიკამდე კერკეტნი, ახლანდელნი ჩერქეზნი; ამათში იყო გაშენე-

ბული, დიუბუას გამოკვლევით, ელინების ქალაქი ტორიკოსი, რომელმაც თავისი სახელი გადასცა თვით ზღვის ყურეს, ან გელენჯიკს; ე) გელენჯიკის სამხრეთ-აღმოსავლეთად ყოფილან ახიელნი, ანუ „ელლინნი, რომელნიც ტროადიდამ მიმოვალან და ზღვის ღელვას შეუტაცნია ხსენებულს ადგილს;" ვ) ასიელების მომიჯნავენი და დიოსკურიის მოსაზღვრენი ჭენიოხნი, „ლიკონიის კოლონია, რომელიც კასტორს და პოლლუქს მოჰყოლია;" ზ) დიოსკურიის დამცქერნი მთის ქედიდამ სოანნი ანუ სვანნი; ჱ) ჭენიოხების მოსაზღვრენი კოლხნი: ამათ სჭერიათ მთელი პონტოს პირი ტრაპეზონამდე, რომელიც შეადგენდა საზღვარს კოლხებისას და ტიბარენებისას; თ) ტრაპიზონს იქით ტიბარენნი კაპპადოკიის საზღვრამდე; ი) ტრაპიზონისა და ფარნაკის ზემოდ ტიბარენნივე, მაკრონნი ანუ სონნი (ცანნი, ჭანნი); ქალდეველნი, ანუ მკელნი, ხალიბნი ფარნაკიის ფასლოესად. კავკასის აღმოსავლეთ-სამხრეთად, მკვიდრობდნენ, გარდა იბერიელთა, ლეგნი, ალბანნი, კასპიელნი, კადუსიელნი და გელნი.

აქ სტრაბონის შესამოწმებლად და შესავსებლად შემოგვაქვს აღწერა სკილაქსისა (მე-V საუკ.) სკილაქ-

სის აღწერას მივყვევართ კიმმერიის ბოსფორის შესავლით მეოტიდის· ტბისკენ და აქედამ კოლხიდაში. სკილაქსი სწერს: „შემდეგ კოლხებისა შეხვდებით ბუზერებს და მდინარეებს-დარაანონს და არიონონს. ბუზერებს მისდევენ ეკეხეირნი და მდინარენი პორდანისი და არხანისი [21]); შემდეგ არის ქალაქი ლიმნე და ელლინელთ ქალაქი ოდეინიოსი [22]). ეკეხეირთ შემდეგ არიან ბეხეირნი ბეხეირის ნავ-სადგურით და ელლინურის ქალაქით ბეხეირისით. ბეხეირთ იქით არიან მაკროკეფალნი [23]) ნავსადგურით პსოროონით; შემდეგ ელლინური ქალაქი ტრაპეზუსი [24]); მაკროკეფალთ შემდეგ შეხვდებით მოსუნექებს ნავ-სადგურით ზეფირიოსით, ელლინურის ქალაქით ჭოირადესით და კუნძულით არესით ანუ მარესით; ესენი ცხოვრობენ მთებში [25]). მოსუნექებს მიჰყვებიან ტიბა-

---

21) ვივიენ სენ-მარტენის აზრით არხავე.

22) ამისვე ფიქრით აწ ათინე.

23) ჰეკატე თანა-მედროვე სკილაქსისა და ჰეროდოტესისა, როგორათაც შემდეგნი მწერალნი ამ ხალხს უწოდებენ მაკრონებად. მაკროკეფალი ბერძნულად ჰნიშნავს გრძელ-თავას.

24) ჰეკატე ტრაპეზუნტის მაზრაში იხსენიებს ქალაქს ჰერმონასას.

რენნი [26]); ტიბარენებს ხალუბნი (ხალიბნი) მაგარის ნავსადგურით ჭენეტესით, ელლინ. ქალაქით ამენეიათი და ელლინელთავე ციხე-სიმაგრით ასინეათი [27]). ხალიბებს ჭსაზღვრავენ ასსირია, მდინარე თერმოდონი, ელლინების ქალაქი თემის-ყური და მდინარე ლიკასტოსი ელლინურის ქალაქით ლიკასტოსითვე, შემდეგ მდინარე ჭალისი და ელლინების ქალაქი ჭარმენე ნავ-სადგურით და ელლინელებისავე ქალაქით ტეტრაკისით [28]) (Viv. de S-Mart., Hist. de Découv. géogr., II, 280—281. Dubois Voyage, I, 58-67, 309).

სტრაბონის გეოგრაფიაში ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის ადგილები, რომელნიც შეეხებიან კოლხიდას, იბერიას და ალბანიას, ამისთვის უნდა იმათზე შევდგეთ.

---

[25]) ქსენოფონტე უჩვენებს მოსუნეკებს და მათ ქალაქს კოირადებს; გარდა- ამისა ის აღნიშნავს მოსუნეკების საზღვრად მარებს რომელთაც უწოდს მგელ მაკრებად მოსუნის სამფლობელოს მომიჯნავედ.

[26]) ქსენოფონტე იქვე უჩვენებს ტიბარენებს.

[27]) ქსენოფონტე ხალუბების ქალაქს უწოდს სცამენედ, რომელიც არის იგივე ამენეია.

[28]) ასსირიის მაგიერ ქსენოფონ მოიხსენებს ლევკო-სირიას და იმის ქალაქს ცირიას. ქსენოფონს სცოდნია აგრეთვე ქალაქი ამისოსი.

სტრაბონის კოლხიდა იწყობოდა, როგორც ვთქვით, ტრაპიზონიდამ. იმისი ნიადაგი დაბლობებში ყოფილა ქვიშიანი და ნოტიო. კოლხიდას რწყავდა დიდი მდინარე ფაზი (რიონი), რომელსაც უერთდებოდნენ მთებიდამ ჩამომდინარე ჰიპპუსი (ცხენის-წყალი) და გლავკუსი (ყვირილა). აქ მრავალი თურმე იყო ყოველ-გვარი ჩინებულის თვისების საკვები, ხე-ხილი და აგრეთვე მომწარე თაფლი, რომელიც ათრობდა კიდეც თურმე. კოლხიდაში უხვად იზდებოდა შენობის ხე-ტყე, სელი, კანაფი, წმინდა სანთელი და ფისი. განთქმული თურმე იყო იქაური ტილო, რომელსაც კოლხიდელნი თვითონვე აკეთებდნენ და რომელიც იმათ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ. „ეს აქვთო საბუთად ზოგიერთ მწერლებს, როდესაც იგინი ამტკიცებენო კოლხიდელების ერთ-ტომობას ეგვიპტელებთან.“ „თვით მიფები მოგვითხრობენო, თუ რა რიგად ყოფილა ეს მხარე განთქმული ძველ დროებში: მიფები გვიამბობენო მოგზაურობას იაზონისას და იაზონზე უწინ ფრიქსის გამხედრებას კოლხადაში და თუ ჩვენ წარმოვიდგენთო კოლხიდის მდიდარ მადნებს, ოქროსას, ვერცხლისას და რკინისას, მაშინ მივხვდებითო, თუ რა მნიშვნელობა უნდა მივაწე-

როთო არგონავტების შესვლას კოლხიდაში." კოლხი-დელ მეფეებს დაუყვიათო ეს მხარე მძლავრ მებატონეებ-თა შორის (skeptoukhies) და ამ გვარად თავისი ძალა შესუსტებიათო."

კოლხიდაში უმთავრეს ადგილებად ირიცხებოდნენ დიოსკურია და ფაზისი. დიოსკურია იყო ზღვის ყურე და მდებარებდა პონტის პირზე. დიოსკურიმდე ვრცელ-დებოდა ზღვით მსვლელობა. ჩვენ დროს გეოგრაფიული მდებარება იმისი დაჭეშმარიტებით არ იციან. როტტიე-რი, კისვალდი და დიუბუა იმას ჰქებენ მდინარე კოდო-რის მახლობლად, იქ, სადაც ახლა არის ნავ-სადგური ისკურია ანუ ცხუზამელა თუ მარმარა; გამბა კი უჩვენებს ახლანდელს სუხუმში. დისკურიას ძველად რქმევია აგ-რეთვე სებასტოპოლი [29]. დიოსკურია ითვლებოდა იმ რესპუბლიკის მეტროპოლიად ანუ დედა-ქალაქად, რომე-ლიც ყოფილა მოფენილი კოდორის მდინარიდამ ინგუ-რის მდინარემდე. დიუსკურიის გარდა აქ სხვა კოლო-ნიებიც იყო: გვენოსი ან ტკვანოსი მარკურიაზე, ილორი,

[29]) Dubois de Montpereux, Voyage I, 306—307.—Эйхвальда, Страбоновы извѣстія въ „Библіотекѣ для чтенія," т. XXX, стр. III.

ბედია, ჭყრაკლეა ანუ ანაკლია. ამ კოლონიების საჳლებ-მიცემო გზა კავკაზში მისდევდა მდინარე კოდორს და ტებერდის ქედით ჩადიოდა მარუხისა და ზელენჩუკის ხეობებში, აქედამაც ჭიმანის მდინარეზე ანუ ყუბანზე. ეს უმოკლესი გზა, რომლითაც ელინებს შეჰქონდათ ჩრდილო მხარეებში განათლება და ვაჭრობა, ახლაც მოფენილია ძველის ნანგრევებით [30]. „სჩანს, ამბობს დიუბუა, დიოსკურიას კაი-ხანი დაუცვია თავისი შეძლეობა და გავლენა; ამას გვიმტკიცებს ქართლის-ცხოვრების თქმულება. როდესაც ფარნაოზ მეფემ 299 წ. აზონი განდევნა საქართველოდამ და მთელი მხარე დაიპყრა, მაშინ იმან ვერ შესძლო დაჭერა ინგურისა, ესე იგი იმ მხარისა, რომელიც ფაზით კოდორამდე მდებარეობდა და რომელიც დარჩა ბერძენებისავე მფლობელობაში“ [31]. რა მტკიცედ ყოფილან დამყარებულნი ამ მხარეში ელინნი ამას ჰმოწმობს ზოგიერთი ბერძნული მანათები, რომელნიც, როგორც ამტკიცებენ, თვით კოლ-

---

[30] Dubois, Voyage, I, 321—326.—Lebeau. Hist. du B.—E., X, 69—71.

[31] Dubois, Voyage, I, 308—309.—Brosset, Histoire de la Géorgie, I, 40.

ხიდამივე იჭედებოდნენ. ორს ამ გვარ მანათებზე წარწერილია ბერძნულად: „კოლხიდა, დიოსკურია“ [32]). ამასვე ჰმოწმობს მრავალი ძველი ნაშთი: მთელი აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი და გურია ახლაც სავსეა სასახლებისა და ციხე-სიმაგრეების ნანგრევებით; იმათში შესანიშნავია ერთი გრძელი ქვით-კირის ზღუდე, რომელიც იწყობა ზღვის პირად, მახლობლად სუხუმისა, ახლანდელს კელასურში, მიემართება კოდორის მხრივ, აფხაზეთის შუაგულში ჰზღუდავს ზემო-ხეობაებს მარკულოსას და გალიზგისას და გადადის ბედიის ზემოდ. იმისი სიგძე, როგორც ამბობენ, 160 ვერსამდე ყოფილა. ადგილ-ადგილ იმას აქვს კოშკები. ქრისტეს შემდეგ მე-II საუკ. ამ ზღუდეს პტოლომე უწოდს Karteron teïkhos-„მაგარ კედლად.“ მე-VI საუკ. სტეფანე ბიზანტიელი იმას იხსენიებს კორაქსიელების ზღუდედ. როდის უნდა იყოს ის აშენებული არ ვიცით. მაგრამ უეჭველია, ის აუშენებიათ ელლინებს კავკაზიელთ შესაკავებლად [33]).

---

[32]) Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris, 1850, p. 13.
[33]) Dubois, Voyage, I, 309—312.

დიოსკურია, როგორც მოვიხსენეთ, იყო სააღებ-მიცემო ცენტრი ყველა გარეშემო ტომთათვის. იმათ შორის, რომელნიც აქ ჩამოიკრიბებოდნენ, ცნობილნი იყვნენ სოანნი ანუ სვანნი, რომელნიც გრცელდებოდნენ დიოსკურიის მაღლობებამდე და მუქარით დასცქეროდნენ დიოსკურიას თავისის მთებიდამ. სტრაბონის დროს იმათ მეფე თურმე ჰყვანდათ და საგამგეო კრება, შემდგარი 300 მხედრისაგან სვანნი იყვნენ კარგნი მეომარნი. იმათ შეეძლოთ, როგორც გვარწმუნებენო, 200,000 მეომარის გამოყვანა. სვანნი ხმარობდნენ დაშხამულ წვერიანს ისრებს; მარტო ამ საწამლავის სული თურმე ბნედავდა დაკოდილებს. ეიხვალდი ამბობს, ეს დასაჯერებელიაო და თავისის აზრის შესამოწმებლათ უჩვენებს გამზადალებს, რომელნიც ისრის წვერის დასაშხამავად ხმარობენ მცენარეს aconiti napelli ისე, რომ თუ დაჭრილი ადგილი იმ წამსვე არ გამოიწოვა, სიკვდილი აუცილებელიაო. ამ გვარი საწამლავი მცენარე უმაღლესს კავკასიის მთებში მრავალი თურმეა [34]). ამტკიცებენო, განაგრძობს სტრაბონი, კითომც სვანეთში იყოს ოქრო-

[34]) Страбоновы извѣстія, 115.

ქვიშიანი წყლის ნაკადულები და გითომც ბარბაროსნი სვანნი ოქროს-ქვიშას აგროვებდნენ დაწნვლეტილის ფიწალისა და გძელ ბალნიანის მატყლის შემწეობით. ამ-შემთხვევაში დაბადა მითი ოქროს რუნზე.

ჩვენ მხარეში ფაზისად უწოდებენ რამდენსამე მდინარეს, ესე იგი არაქსს, ჭოროხს, თვით რიონს და კუბანს [95]) და ამისგამო ზოგიერთნი მწერალნი, ძველნი და ახალნი, იმათ შორის სტრაბონიც, ირევიან და სცდებიან. სტრაბონი ფაზის (რიონის) სათავეს უჩვენებს არმენიაში და ამასთანავე ამ სახელით იხსენიებს ქუთაისის ზემოდ ახლანდელ ყვირილას. სტრაბონის სიტყვით, ფაზზე მდებარეობდა ქალაქი ფაზისი, რომელსაც ერთის მხრით „მფარველობდა" მდინარე, მეორეს მხრით ტბა და მესამეს მხრით ზღვა. ეს ქალაქი იყო ცენტრი კოლხიდის ალებ-მიცემობისა. აქედამ გადიოდა ორი გზა,—ერთი, რომელიც ამისუსამდე და სინოპამდე ჭაობების გამო ზღვის პირად 7—8 დღე უნდებოდა; მეორე მისდევდა მდინარით ფაზით სარაპანამდე (ახლანდელი შორაპანი), რომელსაც შეადგენდა მტკიცე სიმაგრე და შეეძლო მოეთავსებინა მთელი ქალაქის მცხოვრებნი. სარაპანში თავდებოდა წყლით მსვლელობა და იწყობოდა მშვენიერი

[95]) Torbiger, Handbouch der alter Geographie; Leipzig, 1844, II, 97, 521, 598. სკილაქსი რიონს უწოდს აგრეთვე Rhis: Mannert, Geographie der Griechen und Römer, 1795, p. 408. ეს სიტყვა უნდა უდრიდეს ჩვენ რიონს.

საურმე, გზა მტკვრის (Cyrus) პირამდე აქ სარაპანიდამ მოყოლებით ფაზი (ყვირილა) შეიარაღებული იყო მდინა-რის სიმკვირცხლისა და ძალის გამო, 120 ხიდით; მთელი არე-მარე დაგლეჯილი იყო ნიაღვრებით და ნაგა-დულებით. ეს გზა არისო კოლხიდიდამ იბერიაში შესა-ვალი გზა, მთლად აღჭურვილი ციხე-სიმაგრეებით და უფსკრულში ჩამომჩქეფარე მდინარეებით. ამ გზასვე შეე-ხება სტრაბონი, როდესაც აგვიწერს ოქსუსის მდინა-რეს, რომელიც აღმოსავლეთით კასპიის ზღვაში ჩა-დიოდა. არისტობული ამბობსო და იმას ერატოსთენეც ეთანხმება პატროკლეს მოწმობით, რომ ოქსუსი ნავთ-სასიარულო არისო, რომ ამ მდინარით შემოაქვთო სა-ვაჭროები ინდოეთიდამ ჰირკანიის ზღვაში, აქედამ მტკვარ-ში და მტკვრით შავი-ზღვისკენ. გარდა ამისა სტრაბონი უჩვენებს სხვა გზასაც ინდოეთიდამ ბაბილონზე, მიდია-ზე და არმენიაზე. ამ გზაზე სავაჭროები დაჰქონდათ აქლემებით კასპიელებს, რომელნიც ისე თურმე დამდიდრ-დნენ ამ ხელობით, რომ თვითოეულს მათგანს ტან-საცმელი ოქროთი ჰქონდა შემკობილი. სტრაბონის გარ-და სხვანი შემდეგნი მწერალნიც შეეხებიან ხსენებულ გზებს. იგინი გვიამბობენ, რომ შემდეგ მიტრიდატის

ძლევისა რომის მხედართ-მთავრის პომპეის მიერ, ამ უკანასკნელმა მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება ფაზას ალებ-მიცემობას: იმის ბძანებით შეკრიბეს ცნობები და აღმოჩნდა, რომ მოვაჭრენი შვიდი დღე უნდებოდნენ ინდოეთიდამ ბაქტრიანამდე, რომელიც ოქსუსს უერთდებოდა; ოქსუსიდამ შედიოდნენ კასპიის ზღვაში და კასპიის ზღვით მტკვრის შესართავში; აქედამ საქონელი მიჰქონდათ ნავებით მტკვარ-მტკვარ ხუთ დღეს სურიუმამდე ანუ სურამამდე, საიდამაც აქლემებით და ცხენებით გადაჰქონდათ სარაპანამდე; სარაპანიდამაც ნავებით ჩაჰქონდათ ფაზის ქალაქში. პლინი უმცროსი (იშვა 61—62 წ. ქრისტეს შემდეგ), რომელიც ერთ დროს თვით იყო ბითინიისა და პონტის პროკონსული ანუ მმართველი, ჰმოწმობს, რომ რომის მოვაჭრენი ალებ-მიცემობით სარაპანაში 100 სარგებელს იგებდნენო, მაგრამ ეს ვაჭრობა აღარიბებდათ მეტალლებით ევროპას, რადგანაც ყოველ-წლივ სარაპანში შედიოდაო ასი მილიონი სესტერცი ($22\frac{1}{2}$ მილიონი ფრანკი). მაშინდელი ალებ-მიცემობის საგანი ყოფილა განსაკუთრებით დამარილებული თევზი, ინდოეთისა და ჩინეთის აბრეშუმის ფარჩეულობა და აგრეთვე ფოლადი. პლინი ამტკიცებს, რომ ეს

ფოლადი იმდენად უკეთესი იყო დასავლეთის ქვეყნების ფოლადზე და თვით იმ ფოლადზე, რომელსაც ამზადებდნენ პონტის ქალდეველნი, ცნობილნი სალიბებად, რომ არა რა ფოლადის ნაწარმოები არ მიაჩნდათო საუკეთესოდ, თუ იმაში პირველი არ ერიაო.—აქ უნდა დავურთოთ თქმულება ფაზის ქალაქზე ბერძნის ისტორიკოსის არრიანისა, რომელიც იშვა 105 წელს ქრისტეს შემდეგ. არრიანი დიდად აქებს ამ ქალაქს, როგორათაც სიმდიდრით და შემკულობით, აგრეთვე მშვენიერის სასახლეებით და მაღაზიებით, რომელნიც ორსავე მდინარის მხარეს იყვნენ გაბნეულნი. იმის თქმით, კოლხიდის სავაჭრო ქალაქები იყვნენ აგრეთვე ცირცეუმი, ქა, სადაც კოლხიდის მეფენი ისხდნენ, ტინდარიდა, ციგნი და ცითა ანუ ქითა, შემდეგ ქუთაისი [35].

იბერიაზე სტრაბონი სწერს შემდეგს: „ზოგიერთნი მწერალნი ჰგვარწმუნებენ, ვითომც კავკაზის იბერიის იმისთვის დაჰრქმევიაო ეს სახელი, რომ როგორათაც ამ

---

[35]) Броневскаго, Новѣйшія извѣстія о Кавказѣ, Москва, 1823, I, стр. 236—242.—Dubois, Voyage, II, 71—72.—Klaproth, Tableau du Caucase, 167.—Страбоновы извѣстія, 112—113.

მხარეში, აგრეთვე დასავლეთის ევროპის იბერიაში (ის-
პანიაში) იპოვებოდა ოქროს მადნეები. ამასაც იტყვიან,
ვითომც პაირენი იყვნენ გამოსულნი მეორე ქვეყნიდამ."
„იბერიის საზღვრად აღმოსავლეთით უჩვენებს არმენიის
მხრით არაქსს" თვით სტრაბონი ასე ჰსაზღვრავს იბერიას
და არმენიას: „ჩრდილოეთის კოლხიდისა და მოსხეთის
მთის ქედი ტრაპიზონისას სამფლობელომდე; დასავლეთით
ტიბარენების სამფლობელო, შემდეგ სკიდისესი და ფა-
რიადრესი." აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც მოვიხ-
სენეთ, სკიდისესი შეადგენდა მესხეთის მთის გაყოლებას,
სადაც ჰქონდათ სათავე ერთის მხრით ევფრატს, მეორეს
მხრით ჭოროხს, ხოლო ფარიადრესი იყო ახლანდელი
ჯანეთის ქედი. სტრაბონის თქმით, „ისტორია გვასწა-
ვლის, რომ არმენია, თავდაპირველად მცირე მხარე, გავრ-
ცელებულა მძლავრობით. არმენიელებს გამოუკვლევიათ
მოსაზღვრე ტომთაგან: მიდიელთაგან კასპიანე, იბერთა-
გან ის ადგილები, რომელნიც ფარიადრესის იქით მდე-
ბარეობდნენ ხორზენითურთ და აგრეთვე მტკვრის მხრით
გოგარენი; ხალიბთაგან და მოსინეხთაგან კარენითიდი და
დერქსენი, რომელნიც აწ მცირე-არმენიის საზღვარს შე-
ადგენენ" — „იბერია თითქმის მთლად შემოზღუდულია

კავკასიის მთის შტოებით. იმათ საშუალ მდინარეების ვრცელი ვაკე-მინდორი, რომელსაც რწყვენ მრავალნი მდინარენი; ამ მდინარეთა შორის უდიდესია კიროსი (მტკვარი). მტკვარი იწყობა არმენიაში და ჩამომდინარეობს სეხეულს ვაკე-მინდორში. აქ იმას ერთვიან არაგუსი, კავკასიიდამ ჩამომდინარე და სხვა მდინარეები. შემდეგ მტკვარი შედის ალბანიაში ვიწრო ხეობით, რომელიც შეადგენს საზღვარს ალბანიისას და არმენიისას. ალბანიასა და არმენიისას. ალბანიასა და არმენიას შორის მტკვარი არის გაშლილი, რწყავს პოხიერს საძოვრებს და იერთებს მრავალ მდინარეებს, ესე იგი ალაზონიუსს, სანდობანესს რეტაკეს და ხანესს.» კისვალდის ფიქრით, სანდობანესი, რეტაკესი და ხანესი უნდა იყვნენ ახლანდელი ასსტაფა და ქცია ანუ ხრამი დებედით და მუშავერით და იქნება თვით ალგეთიც [36]).

სტრაბონი აგვიწერს იბერიაში შესავალს ოთხ გზას. პირველია კოლხიდის გზა, რომელიც ზემოდ ვსწერეთ. მეორეა კავკასიის შუა-გულის გზა, რომელიც ახლა მიემართება ყაზბეგის ძირში და კობზე. აქ მგზავრნი,

[36]) Страбон. извѣстія, 117, 118.

ჩრდილოეთით მომავალნი, დიდის გაჭირვებით ადიან, სამის დღის განმავლობაში, მთის ვიწრო ქედზე, რომელიც დასცქერის მდინარეს არაგუსს და სადაც თვითო-თვითოთხი დღე მაინც უნდა იარონ. ამ გზას იცავს მაგარი ზღუდე» ეს გზა ის გზა არის, რომელსაც ქართლის ცხოვრება ასახელებს დარიალად, დარიალანად და სხვის გარად, ოსები დაირანად, რომაელნი Pylae Caucasicae, Porta Alanorum, არაბნი ბაბ-ალლანად, რომელიც პლინის სიტყვით, არის ვრცელი ბუნების ნაწარმოები, სადაც მთანი უეცრად განიპობიან, სადაც კარნი, რკინით შეჭედილის ხის ძელებით შეზღუდულნი არიან და იმათ ქვეშ მიიდტვის მდინარე დირი-ოდორისი, სადაც მაღლობელ კლდეზე აღიმართება ციხე-სიმაგრე კუმანია, აშენებული აურაცხელთ მხედართ შესაკავებლად» 37). პლინის დირი-ოდორისი, ჟან სენ-მარტენის მოწმობით, არის თერგი, ხოლო კუმანია-დარიალის სიმაგრე. პლინის აღწერას და სტრაბონის მაგარ ზღუდეს ეთანხმება თვით ვახუშტისაგან მოხსენებული მეფის მირვანის მიერ აშენე-

---

57) Klaproth. Voyage, I, 302—304, 462 — Lebeau, Hist du B—E., III, 379, VII, 397.— Hist de la G., I, 154—155.

ბული დარიალი, რომელსაც მირვანმა „შეაბაო კარი და ჰქმნაო სიმაგრე ხაზართა და ოსთათვის, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენო." [38]) მესამე გზას სტრაბონი უჩვენებს არევით. ის ამბობს: „ალბანიიდამ მთით ჯერ გადის კლდეში გამოჭრილი გზა; მასუკან მიემართება ტბით, რომელსაც შეადგენს ალაზონიუსი, შემდეგ ჩამოვარდნისა კავკასიის მთით." თუ, ეიხვალდის აზრით, ალბანიას დაღესტანში დავასახელებთ და ალბანიას შევუერთებთ ყუბის მაზრას შამახიის ჩრდილო-ნაწილითურთ, მაშინ სტრაბონის გზა ალბანიიდამ იბერიაში უნდა მოვძებნოთ ყუბის სამხრეთად, იქ, სადაც გზა ყუბის მაზრიდამ გადადის შამახიის მაზრაში. იქნება ის უფრო აღმოსავლეთად მდებარებდა, ყურთბულაყის მახლობლად. აქ მთები ძრიად მაღალნი არ არიან და ხეობა მოგზაურისათვის ადვილი სასიარულო. ორისავე გზით დაიარებიან ახლაც შირვანიდამ დაღისტანში. იქ ტბა არ იპოვება. შესაძლებელია, რომ სტრაბონი უჩვენებდეს სამურს და ხეობა იმას გადაჰქონდეს უფრო ჩრდილოეთად, დერბენდის-

---

38) Saint-Mart., Mém. sur l' Arm., II, 193, 194.—ვახუშტის გეოგრაფიული აღწერ. საქართველოსა 1842, გვ 228.

გენ,“—მეოთხე გზას შეადგენს ორ-გვარი ვიწრო ხეობა კიროსისა და არაგვისისა, რომელიც იბერიიდამ მიემართება სომხეთისკენ. ორნივე მდინარენი, კიროსი და არაგვისი, ვიდრე შეერთდებოდნენ, მიმდინარებენ ორის გამაგრებულის ქალაქის პირში, რომელნიც კლდეზე არიან ამართულნი და ერთი მეორეს 16 სტადიით შორავს. კიროსს დასცქერის ჰარმოზიკე, არაგვისს სევსამორა.“ იქ, სადაც არაგვი მტკვარს უერთდება, სადაც სტრაბონი ასახელებს ჰარმოზიკეს და სევსამორს, აქამომდე ძევს ძველი საქართველოს დედა-ქალაქი მცხეთა და იმის არე-მარეში გაბნეულნი არიან აქა-იქ მრავალნი ნანგრევნი, რომელნიც ჰმოწმობენ სტრაბონის თქმულებას. სტრაბონის ჰარმოზიკე, პლინის ჰარმასტიზი და პტოლომეს არმაკტიკა არის ქართლის-ცხოვრების არმაზის-ციხე, არმაზი, რომელიც ქალაქად ისახელებოდა და, ვახუშტის სიტყვით, გავრცელებული იყო ახლანდელს ნაქულბაქევამდე [39]). სევსამორა მოგვაგონებს წიწამურს ჩვენის დროისას.

სტრაბონი გვიჩვენებს თვით შინაგანს იბერიის წყობილებას. იმის ჰაზრით იბერიაში დამყარებულა სახელ-

39) გეოგრაф. აღწერ., გვ. 194.—Hist. de la G., I, 65.

მწყობრი წესი და უფრო-ცხოვრება წარმატებაში შესულა. «იბერია დაყოფილია, ამბობს სტრაბონი, ოთხ წოდებად. პირველს და უმთავრესს წოდებას ეკუთვნიან მეფენი, რომელნიც ამ წოდების წევრთაგანვე აღმოირჩევიან. ის უნდა იყოს როგორღაც უხუცესი წლოვანობით, აგრეთვე უახლოესი ნათესაობით მიცვლილის მეფისა. იმის მომდევნო ხნიერობით ეკუთვნის სამსაჯულო-გამგეობა და მხედართმთავრობა. მეორე წოდებას შეადგენენ სამღვდელონი ამათი მოვალეობაა, გარდა სასულიერო წესის აღსრულებისა, გარკვევა ხალხის დავა-განხეთქილებისა. მესამე წოდება შეიცავს მხედართა და მუშაკთა. მეოთხეც—დაბალ ხალხს, სამეფო ყმებს, რომელთაც ვალად სძევთ ნივთიერი მზრუნველობა. აქ უნდა დავუმატოთ, განაგრძობს სტრაბონი, რომ თვითოეულის სახლის საცხოვრებელი შეადგენსო თანასწორ კუთვნილობას ყველა სახლის წევრებისას და ამასთანავე უხუცესნი მათ შორის ბძანებლობენ და განაგებენო სახლსა.» — იბერია ალბანიაზე უაღრესად განვითარდება სიმდიდრით და უფრო მჭიდროდ მოფენილია ხალხით. ამას გვიმტკიცებენ იმისი ქალაქები და სოფლები კრამიტოვანის სახლებით, ხელოვნური შენობაები, ბაზრები და საზოგადო სასახლეები. ის ნაწილი

იბერიელთა, რომელიც სახლობს ბარად, განსაკუთრებით მიწის შემუშავებას მიჰყვება და ამასთანავე უფრო მშვიდობის მოყვარეა. ბარის იბერთ ძველადვე მიუთვისებიათ ტანსაცმელი და ზნეობა არმენიული და მიდიური, თუმცა მომეტებული ნაწილი მათგანი ცხოვრობს მთებში, მსგავსად მათისავე მოსაზღვრე სკვითებისა და სარმატებისა, რომელნიც ერთის მხრით მისნი მონათესავენიც არიან, თუმცა ამ გვარი ყოფა-ცხოვრება (სტრაბონის აზრით სკვითნი და სარმატნი იყვნენ ჩვეულებით მომრავნი ანუ ნომადნი) არ ასუსტებდა იმათ ლტოლვილებას მიწის მუშაკობისადმი. მთიელნი იბერნი იყვნენ უფრო მეომარნი და სკვითურისა და სარმატულის ჩვეულების გამო იმათ შეეძლოთ პირველსავე სამხედრო ხმაზე ფეხზე დაეყენებინათ შეერთებით თვის შორის და გაკელთ იბერიელებში რამდენიმე ათი-ათასი მხედარი.» ამ სურათს აპპიანი და დიონ კასსიუსი პომპეის დროს დაურთვენ, რომ იბერიელთ სამხედრო იარაღი იყოო ხელ-შუბი და შურდული; როდესაც იბერიელნი იბრძოდნენო, მტერს ტყეში შეიტყუებდნენო და მაღალის ხეებიდამ აუტეხდნენო ბრძოლას [40]. აქ უნდა დაუმატოთ, რომ პომპეის

---

[40]) Hist. de la G., II, 2-me livr.—Introduct., p. XX.—Dubois, Voyage, II, 49—50.

დროდამ ჩვენი მხარე და თვით მთელი შავი-ზღვის პი-რი ეჭირათ რომაელებს და მათ მიერ დაწესებულს მთავრებს ექვემდებარებოდნენ ასე, რომ, სტრაბონის თქმით, „არმენიაში, იბერიაში და ალბანიაში იმათ საერთგულოდ საჭირო იყო მხოლოდ ადგილობრივი ყოფნა რომის წარმომადგენელისა ანუ ლეგატისა."

სტრაბონის აზრით, „ალბანიას ესაზღვრავს აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით—იბერია, ჩრდილოეთით—კავკასიის ზურგი კერაუნის გაკე-მინდვრებამდე, სამხრეთით—ვაკე-მინდვრიანი და მთიანი არმენია. იქ, სადაც არმენია, იბერია და ალბანია ერთმანეთს შეჰხვდებიან, მდებარეობს გამსმარი და უწყლო მხარე კამბიზენა. იბერიიდამ ალბანიაში გზა მისდევს ხეობით მთელს კამბიზენას და ალაზონზე დაეშვება." ეს ადგილი, ეიხვალდის ფიქრით, უნდა უდრიდეს ახლანდელს უფადარს და ყარასოეს, სადაც მხოლოდ ორი მიმდინარეობს. შესანიშნავი ალბანიის ნაწილი, რომელსაც სტრაბონი შხორად იხსენიებს, არის „კასპიის ხეობა ანუ კარი, „Pyles Caspiennes," რომელიც მიდიელებისა და სომხების ხელში იყო.» სტრაბონი უჩვენებს კასპიის გასავლის გეოლოგიურს ცვლილებას: «მიწის-ძვრის გამო კასპიის კარის

გარეშემო დედა-მიწა დაირღვაო, მრავალი ქალაქი და
სოფელი დაინგრაო და მრავალმა მდინარემ მიმართულება
იცვალაო.“ სტრაბონის აღწერიდამ სჩანს, რომ ალბანიას
შეადგენდა, ჯერ სენ-მარტენის აზრით, სომხების ალუანი
ანუ . ის მხარე, რომელიც კასპიის ზღვის დასავლეთად
მდებარეობს და რომელიც იწყება იქ, სადაც მტკვარი
ერთვის ზღვას ვიდრე კასპიის ხეობამდე, რომელიც ას-
და წოდებულია დერბენდის ხეობად; ერთის სიტყვით
შირვანი და დაღესტანი 40). ბროსსეს აზრით, ალბანია
შეიცავდა იმ ქვეყნებს, რომელნიც მდებარეობენ კასპიის
ზღვით იორის მდინარემდე კახეთში, და დერბენდით
მტკვრისა და არაქსის შესართავამდე 41). როგორც სჩანს,
ძველად დიდი ყურადღება ყოფილა მიქცეული კასპიის შე-
სავალზე: იქ დერბენდიდამ იწყობა გრძელი ზღუდე, რომ-
ლის კვალი ჯერ არის ჩაწოლილი წყალ ქვეშ კასპიის
ზღვაში, შემდეგ მიემართება მთა-მთა ყაზი-ყუმუხის ქვე-
ყანაში და კუმან-დაღის მაღალში, სწვდება კავკაზის ჩრდი-
ლო-კალთეში და დასასრულ ჩნდება მუხახის ხეობის პირის-

40) Lebeau. Hist. du B—E., III, 379 n 2.

41) Stéphanos Orbélian, Hist. de la Siounie, S-pétersb., 1866, II, 137 n. 2.

პირ, სოფლის კატეხის მთელს სივრცეზე. ამტკიცებენ, კითომც ამ ზღუდის სიგრძე იყოს 360 ვერსი [42]).

ალბანიაში მიმდინარეობს კიროსი (მტკვარი), რომელიც სხვა მდინარეების შეერთებით ვრცელდება და მიწის ნიადაგს დიდად აპოხიერებს. მტკვრის ლამი, რომელსაც იმას თავის შესართავში შეაქვს, ცოტ-ცოტად ავსებს ახლო-ახლო მდებარე კუნძულების სივრცეს და ამ გვარად კუნძულებს ერთი-ერთს უერთებს. ამისთვის აქ მსვლელობა საშიშია, მეტადრე საშიშია იმით, რომ ზღვის ზვირთნი ამ ადგილს სცემენ. ამბობენ, კითომც კიროსი თორმეტ შესართავად იყოს დაყოფილი; იმათში ზოგი ლამით ივსება, ზოგი თუმცა ღრმაა, მაგრამ ნავსადგურად უვარგისია. ეს ნაპირი ზღვით და მდინარეებით იფინება უმეტეს 60 სტადიაზე; აქ მდინარეობის მოძრაობას 500 სტადიამდე შეაქვს ზღვაში ლამი, რომელიც ნაპირზე ქვიშის გორაკებს აღმართავს. მახლობლად მტკვრის შესართავისა ზღვაში ჩადის არაქსი, რომელიც დიდის სისწრაფით ჩამომდინარეობს არმენიის მთე-

---

42) Lebeau, Hist. du B—E., III, 270 n. I, VII, 397—398.—Кн. Баратова, Исторія Грузіи. Спб., 1865, I, 36—37.

ბიდამ.“ ეს სურათი, ეიხვალდის განმარტებით, ახლაც ეთანხმება ადგილობრივს მდებარეობას. მართალია, რომ მხოლოდ მტკვარი თავის შტოებით მთელ მაზრას რწყავს და აპოხიერებსო; მართალია, რომ ყველა იმისი სართავები ისეა შემცირებული, რომ მძლივსღა შედიანო მტკვარში არა თუ ხომალდები, თვით დიდი ნავებიც, ისეთი ნავები, როგორსაც ხმარობენ სპარსელები კასპიის ზღვაზე. ამისთვის სტრაბონი შემცდარი არ არისო, როდესაც ამბობს, რომ იქ კარგი ნავ-სადგური არ არისო. სართავები აქამომდე უფრო და უფრო მცირდებაო: ლამი როგორც მდინარეს შეაქვს, ისე ზღვის ზვირთებს გააქვსო. ეჭვი არ არისო, რომ სტრაბონის დროდამ მთელი ნაპირი, მთელი ნაყოფიერი დელტა მტკვრისა დიდად შეცვლილაო. შესაძლებელიაო, რომ ზოგიერთი მტკვრის შესართავი სრულებით დაიხშო ლამით და მაშ სადამე გასაკვირველი არ უნდა იყოსო, რომ აქ სტრაბონი 12 სართავს აღრიცხავს, როდესაც ახლა ექვსსაც აღარ იხსენებენო [43].

სტრაბონი შეეხება თვით ალბანიის ბუნებითს ისტორიას. ის მოიხსენებს აქ მორიელებს და ფალანგებს.

---

[43]) Страбон. извѣстія, 122—124.

„აქ არისო ისეთი ფალანგები, რომ იმათგან დაშხამული ზოგი სიცილით კვდებაო, ზოგიც ცრემლით და გაებით." მართლა და მორიელი ახლაც მრავალია ვრცელს ალბანიის ვაკე-მინდვრებში, თუმცა ისე საშიში და ისე შხამიანი არ არის, როგორც სტრაბონი ფიქრობს, თუ რომ ნაკბენს ადგილს თავის დროს ზეითუნის ზეთი მიასწრით...„ აქ ბუნება ისე უხვია, რომ ალბანელნი არც კი საჭიროებენ ზღვის ალებ-მიცემობაში. დედა-მიწას აქ გამოაქვს ყოველ-გვარი ნაყოფი, რომელიც აღმომცენარებს უხნავად, როგორც ამას ამტკიცებენ რომაელნი, რომელნიც სამხედრო სამსახურის გამო იქ ყოფილან. რომაელნი იტყვიან, რომ იქ მრავალს ადგილს ერთხელ ნათესული თესლი იძლევა ორ-სამ სამკალს და პირველ სამკალში ერთი მარცვალი არა ნაკლებ 50 მარცვლისა. ალბანელნი სასწაულად ხმარობენ ხის გუთანს და არა რკინისას. იქ საძოვარი ბალახი ყოფიერია; ვაზი ისხლება ხუთ წელიწადში ერთხელ." ალბანელნი არიან მშვენიერნი და ტანოვანნი; არა ხმარობენ ფულს და უცხო-ქვეყნიდამ შემოტანილს სავაჭროში სცვლიან მხოლოდ თავიანთ ნაწარმოებს; არ იციან არც ზომა, არც წონა.„ „ალბანელებს გამოჰყავდა მომეტებული მხედრობა, ვიდრე იბერიელებს:

60,000-მდე ქვეითი ჯარი და 12,000-მდე ცხენოსანი. ამოდენა წყობით იმათ იბრძოდეს პომპეისთან. როდესაც იგინი მტრის დაცემას მოელიან, იმათ შეწყობას აძლევენ ნომადნი ისე, როგორც თვითონ ამ გვარ გაჭირებაში იბერიელებს; გარეშე ამისა ნომადნი ყოველთვის მტრობენ ორსავე ამ ტომს, ალბანელთ და იბერიელებთ. ალბანელნი ხმარობენ, იბერიელების მსგავსად, შუბს და ისარს, ფარს და ჩაბალახს."

„ალბანია დასახლებულია მრავალთ პატარ-პატარა ტომთაგან, რომელთაც არა აქვთ ერთმანეთში დამოკიდებულობა. იმათ შორის არიან გელები და ლეგები." გელებად ჰსადიან გილანელებს, ლეგებად ლეკებს." ალბანიასვე ეკუთვნიან კასპნი ანუ კასპიელნი, რომელთაც თავისი სახელი გადასცეს თვით ზღვასაც. აქ, როგორა-თაც იბერიაში, ის წოდება, რომელსაც ეკუთვნიან მეფენი, შეადგენენ უმაღლეს წოდებას. თვითოეულს ალბანიის ტომს ჰყავს საკუთარი მეფე. ერთი იმათგანი ბრძანებლობს დანარჩენთა. ალბანელნი საუბრობენ სხვა და სხვა ენით, რომლის რიცხვი 26-მდეა." „ალბანელნი თაყვან-სცემენ მზეს, იუპიტერს და მთვარეს. მთვარის ტაძარი დგას მახლობლად იბერიის საზღვრისა. ალბანიის

მღვდელ-მთავარი შემდეგ მეფისა ყველაზე მეტად არის პატივ-ცემული და განაგებს ვრცელს და მჭიდროდ დასახლებულს ტაძრის მაზრას. ამ ტაძარს ჰყავს თავისნი ქადაგნი. იმათ შორის ვინც მომეტებულად აღივსება ზენარის-მადლით, ის იწყებს ტყეში ტარტალს. ამ დროს მღვდელ-მთავრის ბძანებით იმას სტაცებენ ხელს და სამღვთო ჯაჭვით შეჰკრავენ. წლის განმავლობაში იმას უხვად აძლევენ საჭმელს; ბოლოს მთვარის დღეობაში იმას სცხებენ ზეთს და მიიყვანენ ტაძრად, რომ მსხვერპლად შესწირონ. ერთი კაცი, აღჭურვილი სამღვთო ისრით. რომელიც მხოლოდ ადამიანის მსხვერპლ-საკლავად იხმარება, ამ ისარს დასცემს იმას მკერდში. როდესაც მსხვერპლი დაეცემა, ის იმის შინაგანიდამ ამოიღებს საქადაგო ნიშანს და ხალხს დაანახვებს; მასუკან გვამს წაიღებენ დაწყესებულს ადგილს, სადაც თვითოეული იმას გადააბჯენს ცოდვის განსაწმენდელად." დიუბუა ამავე ჩვეულობას პოულობს ტავრის ტომში და აგრეთვე ჩუდო-ფინხებში, რომელნიც ბალტიის ზღვის პირად სახლობენ და რომელთაც, იმის ფიქრით, ოდესმე ჰქონიათ დამოკიდებულება კავკაზ-ტავრიდაში შეხიზნულ ფინნებთან [44].

---

[44]) Voyage, VI, 13—15.

# III

*საქართველოს ისტორიის წყაროები: საჭიროა ამ ქვეყნის არხეოლოგიური გამოკვლევა.—ქართლის ცხოვრება და ძველი ცნობები სომხეთისა.—ქართლის ცხოვრების გადმოცემა ჩვენის ტომის დასაწყისზედ, საზღვრებზედ, ოსებზე და თურქების გოლიათზე.*

როგორც წინა სტატიებით ვსცანით, ჩვენნი წინაპარნი ძველის-ძველად მოკრებილან პონტო-კავკაზის მხარეში სამხრეთ-აღმოსავლეთით და სხვა და სხვა თქმულება ქალდეო-ასსირიულა, ებრაული და თვით ელლინური მათ მეშკანავე ნაწილით უჩვენებს ევფრატის სათავეებში და ჭალდისის ღელე-მინდვრებში. თუმცა ეს თქმულება ამათ მისთვისებს სხვა და სხვა სახელ-წოდებას, მაგრამ ამასთანავე უკეთესნი ჩვენის ტომის მცოდნენი, ძველნივე მწერალნი, სახელდობრ ჰეროდოტი და სტრაბონი ჰმოწმობენ, რომ ისინი შეადგენდნენ ერთს მონათესავე გრუპპას, რომელიც შეიცავდა სამს უმთავრესს შტოს, დაგლეჯილს რამდენსამე მცირე ნაწილებად. ეს შტონი არიან—კოლხნი, მესკაი, მოსხნი (შემდეგ მესხნი), ტაბალნი, ტუბალნი, ტიბარენნი: ამ სახელ-წოდებიდამ წარმომდგარა იბერი. აქ უნდა შევნიშ-

ნოთ, რომ უცხო-ქვეყნების ძველი მიფები და გარდამოცემანი არ გამოჰხატვენ ნამდვილს ხასიათს და სვეს ჩვენის ტომისას. ჩვენის აზრით, ეს ნაკლულევანება უნდა შეამსოს მომავალმა არხეოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოსავლეთის ქვეყნებისამ და განსაკუთრებით ჩვენის მხარისამ. აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ აწინდელის ევროპის არხეოლოგნი კავკაზის მხარეს ჰხადიან არხეოლოგიის წარმატების საფუძვლად. 1874 წ. სტოკჰოლმის არხეოლოგიურს კრებაში, როდესაც მეცნიერნი პირველის საუკუნის (КАМЕННЫЙ ВѢКЪ) განხილვაში შევიდნენ, ზოგიერთთა მათ შორის წარმოსთქვეს, რომ კავკაზის შესწავლაზედა დამოკიდებული იმისი ნამდვილი გარკვევა. გარდა ამისა სახელოვანი საფრანგეთის არხეოლოგი ბერტრანი მეორე საუკუნის (БРОНЗОВЫЙ ВѢКЪ) შესახებ გვარწმუნებს, რომ უმთავრესი ცენტრი ამ საუკუნის კულტურის მოძრაობისა იტალიაში და საბერძნეთში კი არა ძევსო, არამედ კავკაზის ძირად, საიდამაც იმან მიჰმართაო დნეპრის ვაკე-მინდვრებით კიმმერიის ნახევარ კუნძულს და დუნაის ბასსეინით ალპის მთას. [1])

---

[1]) Дм. Бакрадзе, О до-исторической археологіи вообще и кавказской въ особенности, Тифлисъ, 1877 г., стр. 18—19.

ის მდგომარეობაში, რომელშიაც ახლანდელი ცოდნა იმყოფება, ქართულის ისტორიის საფუძვლიანი შედგენა შეუძლებელი საქმეა. ჩვენ ჯერ არა გვაქვს შეგროვილი ის წყაროები, რომლებზედაც უნდა დაემყარდეს საქართველოს ისტორია. ბევრი დრო და შრომაა საჭირო იმათ შემოკრებისათვის. ეს წყარონი არიან ორ-გვარნი— „ნივთიერნი“, რომელნიც ისტორიის წინა-ჟამს შეეხებიან, და სიტყვიერნი ანუ „ხელ-ნაწერნი“, რომელნიც ისტორიულ დროებს წარმოადგენენ. ნივთიერნი ნაშთნი არიან ჩამარხულნი ძველს ნანგრევებში და სასაფლაოებში. მხოლოდ რამდენიმე წელიწადია, რაც შეუდგნენ ზოგიერთის ძველის ჩვენის სასაფლაოების თხრას. 1870 წელს, როდესაც მცხეთაში გაჰყავდათ შოსსე—გზა, უბრალო შემთხვევამ აღმოაჩინა სამთავროს გვერდით რამდენიმე ძველი აკლდამა დიდროვანის ქვის და დიდროვანის კრამიტის გვერდებით. ამ შემთხვევას მაშინვე მიაქცია ყურადღება: თბილისში შესდგა „არხეოლოგიური საზოგადოება“, რომელმაც ხელი დასდო ამ საქმეს. გაითხარა სასაფლაოები სამთავროში, სართაჭალაში, დუშეთში და დილიჟანში. იმათ შორის მომეტებული არხეოლოგიური სიმდიდრე ამოიღეს სამთავროში; ახლა ყველა ნაშოვნი

ნივთიერობა გროვდება თვით არხეოლოგიურის საზოგადოების მუზეუმში*). ეს ნივთიერობა, თითქმის მთლად ეკუთვნის ისტორიის წინა დროებს და ცხადად ჰმოწმობს ზემოხსენებულს გავლენას ჩვენ მხარეზე ქალდეო-ასსირიელებისას, ეგვიპტელებისას, ებრაელებისას, ელლინებისას და თვით რომაელებისას*). უეჭველია, რომ მომავალში მრავალი ძველი ნივთიერობა უნდა აღმოჩნდეს ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავის ზღვის პირად. როგორც ვიცით, ამ გვარი ნივთიერობა, შემთხვევით ნაპოვნი, გაფანტულია სხვა და სხვა კერძო სახლებში, რომელთაც არ ესმით იმისი მნიშვნელობა და ამ მიზეზით ეს ძვირფასი არხეოლოგიური საუნჯე ისტორიისთვის იკარგება.

თითქმის ამ გვარივე უბედურება სდევნის ჩვენ ძველ ხელ-ნაწერებს. ამ ხელ-ნაწერებს შეადგენენ როგორათაც წარწერანი ეკკლესიებისა, ხატებისა, სამკაულებისა და ძველის წიგნებისა, აგრეთვე ადგილობრივნი მატიანენი, გუჯრები და სიგელები, რომელთზედაც უშრომნიათ ჩვენ წინაპართ და რომელნიც გადმოუციათ ჩვენთვის. განათლებულ ქვეყნებში, სადაც ამ გვარს ძველადგან დაშთენილს წყაროებ-

---

*) Тамъ же, стр. 21 – 37.

ზე მიქცეულია დიდი ყურადღება, ეს მასალა, აქა-იქ გაბნეული, დედა-ქალაქების ბიბლიოთეკებში და მუზეუმებში ერთად გროვდება იმ აზრით, რომ ვისაც სურს იმათით ისარგებლოს. ჩვენ ქვეყანაში საქართველოს ისტორიის წყაროებისთვის ყურადღება მიუქცევიათ მხოლოდ უცხო-ტომთ მეცნიერთ. უფ. ბროსსემ თავისს „არხეოლოგიურს მოგზაურობაში“ (Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, éxecuté en 1847—1848. S-pétersb., 1849.) გადმოსწერა ზოგიერთი საქართველოს წარწერაები და გაარკვია საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ბუჯრები, და თუმცა მისმა „მოგზაურობამ“ ნათელი მოჰფინა ქართლის ცხოვრებას, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ თითქმის ამ შრომით დასრულდა საქართველოს არხეოლოგიური შესწავლა. თვით ჩვენ იმათთვის არას ვფიქრობთ. ჩვენ იმათ ვალპობთ კერძო სახლებში, ვფანტავთ აქა-იქ, გაგვაქვს იგინი, როგორათაც უბრალო ნივთეულობა, უცხო-ქვეყნებში, სადაც უსარგებლოდ იღუპებიან. ამ გვარად გვაქვს დაკარგული მრავალი ძვირფასი ისტორიის მასალა. საჭიროა ჩვენს უზრუნველობას ბოლო მოვუღოთ. საჭიროა, თვითოეულმა ჩვენგანმა

იგრძნოს, რომ ყველა ძველადგან დაშთენილი გუჯარი, თუ სიგელი, თუ წიგნი. შეადგენს საზოგადო საკუთრებას, რომ ვიდრე ყველა ამ მასალას ერთად არ შემოვკრებთ და არ შევისწავლით, ჩვენი ისტორია, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, არ შესდგება.—ამ ცოტა ხანში შემთხვევამ ჩაგვიგდო ხელად ერთი ათონის მთის ივერიის მონასტრით მოტანილი, ეტრატზე ნაწერი მე-X—XI საუკუნის წიგნი, რომელიც გარდა ხრონიკისა, სავსეა წარწერაებით და ეს წარწერაები შეიცვენ ნამდვილს სურათს მე-X—XI საუკ. საქართველოს გვართა და პირთა, რომელთაც ქართლის ცხოვრება ან ყრუდ იხსენიებს, ანუ სრულებით არ იხსენიებს. ვინ იცის, რამდენი ამ გვარი ძველი წიგნი ან სამუდამოდ დაკარგულა, ან კიდევაც იმალება საქართველოში, სხვა და სხვა კერძო პირთ სახლებში?

ვიდრე იმ დროს მოვესწრობოდეთ, როდესაც ზემოხსენებული წყაროები მთლად ხელში ჩაგვიცვივა, ჩვენ უნდა ვიკმაროთ იმ შრომით, რომელსაც შეიცავს ქართლის ცხოვრება და უცხო ტომთ ცნობანი. ქართლის ცხოვრება ეკუთვნის ვახტანგ მე-VI, რომელიც იყო ქართლის მეფის ლეონის შვილი და ცხოვრობდა მე-XVII საუკ.

გასულს ქ. შ. XVIII საუკ. დამდეგს. ვახტანგი იმითაა ცნობი-ლი, რომ სხვათა შორის იმან პირველად დაარსა საქართვე-ლოში სტამბა და შეადგინა სჯულის კანონი, რომელიც ამ უკანასკნელს დრომდე სახელმძღვანელოდ იყო ჩვენში მი-ღებული. ზოგიერთნი ფიქრობენ, ვითომც ქართლის ცხოვ-რება იყოს შეთხზული ვახტანგისაგან. ეს აზრი ცრუ აზრია. თვით ამ თხზულების წინა-სიტყვაობა გვიმოწმობს, რომ ვახტანგმა ამხოლოდ შეჰკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიყვნა სხვა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა და კვალად გუ-ჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალნი ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელი გარყვნილ იყო განმართეს“. აქედამ ცხადად იგულისხმება, რომ ეს შრომა არის ძველი შრომა და მაშასადამე ღირსი ყუ-რადღებისა.

ქართლის ცხოვრების თქმულება საქართველოს და-საწყისზე არის შემდეგი, რომელიც შემოგვაქვს შემოკლე-ბით. იმის გამოკვლევით არმენნი ანუ სომეხნი, ქართველნი, რანელნი და მოვაკანელნი, ჰერნი და ლეკნი, მეგრელ-ნი და კავკაზელნი არიან ერთის შტოდამ წარმომდგარნი. იმათი წინა-პარი ყოფილა თარგამოსი, შვილი თარშისა, და შეადგენდა მეოთხე თაობას იაფეტისას და მეხუთეს

ნოესას. თარგამოსის ვაჟი-შვილებში განსაკუთრებით სახელ-განთქმულან—ჰაოსი ანუ ჰაიკი, სომხების მამა-მთავარი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასი და ეგროსი. პირველი ადგილ-სადგომი თარგამოსისა ყოფილა ბაბილონი. შემდეგ გოდოლის აშენების ბაბილონში ნებროთის დროს და შემდეგ ენების შერევისა თარგამოსი თავის შთამომავლობით დასახლებულა „ორთა მთათა შორის, კაცთა შეუვალსა არარატსა და მასისსა". აქ იმისი სახლობა ვერ მოთავსებულა და ამის გამო გავრცელებულა იმ ადგილებში, რომელთაც საზღვრად ჰქონიათ: „აღმოსავლეთით—ზღვა გურგანისა, რომელსაც აწ გილანის ზღვად სახელ-სდებენ, დასავლეთით—ზღვა პონტოსა, რომელს აწ შავ-ზღვად სახელ-სდებენ. სამხრით—მთა, რომელ არს ქურთთა ქვეყანასა, პირის-პირ მიდიისა, ჩრდილოეთით—მთა კავკასია, რომელსა სპარსნი იალბუზს უწოდებენ". უფროსი თარგამოსის შვილებში ყოფილა ჰაოსი და როდესაც იგინი მამას გაუყვია, თავისი „სამეფოველი უმჯობესი ქვეყანისა თავისასა", არარატი და მასისი მიუცია ჰაოსისთვის [1]), დანაშთენნი ძმანი გაუყვანია „ჩრდილოთ კერძო

[1]) ჰაოსი, ჰაიკი [illegible] დიდს, სახელ-[illegible] გმირს (S-Mart., Recherches, 79 n. 1)

და განუყვნია ქვეყანანი ღირსებისაებრ მათისა". ყველა რვა ძმას ბძანებლობდა გმირი ნებროთი, რომელიც მოსე წინასწარმეტყველის თქმით იყო ქამის (სამის) შთამომავალი, ქალდეველის მატიანის აზრით ბელი ანუ ბელუსი, ასსირიის სამეფოს დამყარებელი, ქართლის ცხოვრების თქმულებით წინაპარი სპარსთა და პირველი მეფე ყოვლისა ქვეყნის [4]). ჯერეთ თარგამოსელნი მსახურებდნენ და ჰმონებდნენ ნებროთს; შემდეგ, როდესაც ისინი გამრავლდნენ და გაძლიერდნენ, ჰაოსის რჩევით იმათ ნებროთს აუტეხეს ბრძოლა და სძლიეს.

ამით ასრულებს ქართლის ცხოვრება რვა ძმათ ამბავს და შემდეგ მიჰყოფს ხელს განსაკუთრებით ქართველთ ცხოვრებას. შემდეგ ქართლოსიანთ გასვლისა არარატით და მასისით, იმათის ადგილ-სადგომის საზღვრები შეიცავდა მთელს სივრცეს შავის ზღვით მტკვრისა და არაქსის შესართავამდე. ჩრდილო ნაწილი კავკასიისა კაიხანი უდაბური ყოფილა. გაყრის დროს თარგამოსს ეს მხარე დაუმკვიდრებია კავკასოსისთვის და ლეკოსისთვის;

---

[4]) დაბადებ. X, 6—8. ქართლის ცხოვრება, სპბ., 1849, 17,23.—Langlois, Collect. des historiens anciens et modernes de l' Arménie, I, 16.

იმათი შვილები შემდეგ დასახლებულან უმაღლეს ადგი-ლებში, რომელთაც დაერქმევა მერმეკეთი და ხოზანი-ქეთი. ჯერ ოსები და ჩერქეზები არ ისხენებიან. კავკა-ზის მხრით საქართველოს გზად ყოფილა კარი ზღვისა ანუ დარუბანდისა და კარი არაგვისა ანუ დარიალისა. სა-ქართველო თავის ნაწილებით შეიცავდა: კახეთს, ჰერეთს, ჯავახეთს, ქართლს, რომელიც არაგვითგან და სამზით-გან ვიდრე ტასის-კართამდე იწოდებოდა შუა-სოფლად, რომელსაც აწ ჰქვიან შიდა-ქართლი, ხოლო ზემო-ქარ-თლი არს ტასის-კარს ზემო სამცხე და კლარჯეთი.“ უმთავრეს მდინარეებზე და მაგარ ადგილებში აშენებუ-ლა ქალაქები: არმაზი, მცხეთა, უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, ჰერეთი, ხორანთა, ორბის ციხე. ბოსტან-ქალაქი, წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსაც მაშინ ერქვა ქაჯ-თა-ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური ». ქართლსა და ეგ-რისს შუა სამხედრად ყოფილა მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლიხი ». ეგრისი მდინარე-ენგურს ქვემო სპერიათ ბერძნებს ასე, რომ შემდეგ თვით ფარნაოზ მეფის დროს ადგილობრივთ მცხოვრებთ უარი უთქვამთ ბერძნების წი-ნააღმდ გოსაზე. თარგამოსის შთამომავალნი ყოფილან გმირნი და მრავალ ჟამ ცოცხლობდნენ. თვით თარგა-

მოსს უცოცხლიას 600 წელი. უფროსი ქართლოსიანებში დანაშთენთ თურმე ბძანებლობდა, იწოდებოდა მამა-სახლისად და იჯდა მცხეთის ქალაქში, რომელი განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქად. მამა-სახლისის ხელ-ქვ ვითნი გამოჩენილნი პირნი წოდებოდნენ თავადებად. მამასახლისი განაგებდა ყოველსავე საქვეყნო საქმეს, უპირველესობდა ბრძოლაში, შუამდგომელობდა ურთი-ერთს განხეთქილებაში და ამშვიდებდა. ქართლოსიანნი ცხოვრობდნენ კლდეებში, მიწურს სახლებში და ქვით ნაშენს სიმაგრეებში; კაი-ხანი იმათ ქვითკირის შენობა არ იცოდნენ. ეს ხელოვნება იმათ უსწავლიათ სპარსელის ერისთავის არდამისაგან. ზნეობით ქართლოსიანნი დაბლა მდგარან: ალექსანდრე მაკედონელი მე-III საუკ. ქრისტეს წინად ქართლში შეხვედრია საზიზღარს ზნე-ჩვეულებას: ქართველნი ნათესაობას არ მისდევდნენ, იყვნენ გარყვნილნი, საჭმლად ხმარობდნენ ყოველსავე სულ-დგმულს, თვით ადამიანის მძოვრს; თაყვან-სცემდნენ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ, ნივთიერთა და პირუტყვთა. ქართლის ცხოვრება გვიამბობს ზოგიერთ უცხო-ტომთ დასახლებას საქართველოში, მაგალ. ურიებისას ნაბუქოდონოსორის ტყვეობას შემდეგ, თურ-

ქეპიასას სპარსეთის მეფის კიროსის დროს და სხ. «აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, ხოლო ოდეს შეიქორწინეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტოვეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული...» «და იყვნეს ქართლსა ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცნეს და იცოდეს ყოველთა ქართველთა, მამათა და დედათა. [5])» თარგამოსის შთამომავლობას, ესე იგი ჰაოსიანთ, ქართლოსიანთ და კავკასიელთ კაი-ხანი ურთი-ერთი კავშირი არ შეუწყვეტიათ, ერთი მეორეს შემწეობას აძლევდნენ და მტერს ერთად ებრძოდნენ. იმათნი საზოგადო მტერნი იყვნენ ხაზარნი, რომელნიც კავკასიის ჩრდილო-მხარეს ბინადრობდნენ და ნებროთიანნი ანუ სპარსნი. განსაკუთრებით იმათთვის საშიშნი ყოფილან ნებროთიანნი. ბრძოლა იმათთან თითქმის შეუწყვეტელი ყოფილა, ნებროთიანნი ცდილობდნენ არა თუ მხოლოდ თარგამოსიანთ დამონავებას, არამედ გავ-

5) ზოგიერთ ქართლის-ცხოვრების დედნებშია: «და იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა.»

რჩეულებასაც იმათ შორის სპარსულის სამოქალაქო წესისას და სარწმუნოებისას, ესე იგი ცეცხლის თაყვანისცემისას.

ვინც კი დააკვირდება ქართლის ცხოვრების თქმულებას საქართველოს დასაწყისზე, ის ადვილად იგულისხმებს იმის ზღაპრულ თვისებას. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ქართლის ცხოვრება ზოგიერთთ მიაჩნიათ ვახტანგის მიერ მოგონილ შრომად. რომ ქართლის ცხოვრება არ არის მე-XVIII საუკ. მოგონილი, ამის საბუთს თვით ეს შრომაც გვაძლევს ხელში. უძველესნი საქართველოს ხრონიკების შემადგენელნი, ქართლის ცხოვრების თქმით, არიან: მირიანის რძალი, უჯარმის დედოფალი სალომე, რომელსაც აუწერია წმინდა ნინოს მოღვაწეობა და ქართველებისაგან ქრისტეს აღსარების მიღება [6]; აბიათარ, ურიების მღვდელი და აგრეთვე ურიის დედაკაცი სიდონია, ორნივე ნინოს მოწაფენი; ამათი მოთხრობა შეიცავს იმავე საგანს [7]. მე-IV საუკ. გარაზ - ბაკურის შვილის მირვანოზის ცხოვრება აუწერია სირიულ ენაზე ქართველს ზაქარია მღვდელს

[6]) ქართლის-ცხოვრება I, 99.
[7]) იქვე, 64, 79 — 101.

და შემდეგ ქართულად უთარგმნია მაკარი მღვდელს [8]. ირაკლი იმპერატორის მიერ აბხაზეთის დაპყრობაზე 626 წ. ცნობა გამოკრებულია საეკკლესიო წიგნებიდამ [9]. ცხოვრება წმინდა აბიბოსი, მეათცამეტის მამათაგანისა, რომელნიც მე VI საუკ. შემოსულან საქართველოში, შეუდგენია ქათალიკოზს არსენის [10]. აფხაზეთის ერისთავის ლევანის დროს მე-VII საუკ. მოხსენებულია «გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით» [11]. მე-VII საუკ. ლეონტი მროველს შეუდგენია მეფე არჩილის წამება არაბთაგან, ისტორია მეფეთა და სახარების გავრცელება ნინოს მიერ, «ხოლო აწ სწერს ლეკანოზი იოანე,» დაურთავს ქართლის ცხოვრება [12]. იმავე არჩილის ცხოვრება ს დასასრულ ქართლის ცხოვრება იტყვის: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებასა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან ძმისწუ-

---

8) Hist. de la G. I, 138 n. 1.
9) Ibid., 229 n 1.
10) Ibid., 233 n. 2
11) ქართლ.-ცხოვრ., 178.
12) H. de la G, I, 253 n. 1.

ლის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისა-მან; მირიანის ძისამან, და ამიერითგან შემდგომთა ნა-თესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღვთივ განბრძნო-ბილსა» 13). რა გვარი მზრუნველობა ჰქონიათ ქართვე-ლებს საკუთარის ისტორიისათვის, ეს იქიდამაც სჩანს, რომ მე-XIII საუკ. სომხის ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, ამ ქვეყანაში ძველადვე იყო არ-ხივები, «რომელნიც იწოდებოდნენ სამეფო არხივებად, სამდივნო არხივებად და დავთრებად» 14). იმავე სტეფა-ნოსის აზრით საქართველოში ყოფილა საზოგადო სა-ქართველოს მატიანე, რომელიც «ქართლის ცხოვრებად იწოდებოდა» 15). ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით ეს „ცხოვრება" არის ის «ქართლის ცხოვრება,» რომელსაც ვახტანგ მეფეს მივაწერთ; მხოლოდ ვახტან-გისაგან შემოკრებილი, შემოწმებული და შევსებული. ამ აზრს ამტკიცებს სომხური ხრონიკა ანუ, უკეთ ვთქვათ,

13) ქართლ.-ცხოვ. 184.

14) Histoire de la Siounie, SPB., 1864, I, 221—238.

15) S-Martin, Mémoires sur l' Arménie, II, 65.

ქართული ქრონიკა სომხურ ენაზე, რომლის ერთი დედანი, გადაწერილი 1279 – 1311 წელს, უფ. ბროსსეს ეჩმიაძინის მონასტერში და თავიდამ ვიდრე დავით აღმაშენებლის სიკვდილამდე, რომლითაც თავდება, გამოწერილია, თუმცა შემოკლებით, ვახტანგის ქართლის ცხოვრებიდამ [16].

ამ გვარი საბუთები სხვაცა გვაქვს, მაგრამ ზემოდჩვენებულიც საკმარისია. შესახებ ქართლის ცხოვრების დასაწყისის ჩვენი აზრი შემდეგია. ის შედგენილია ქრისტიანის ხელით. გადაავლეთ თვალი იმის 21, 24, 39—40 სტრიქონებს, რომლებიც წარმოგვიდგენენ ქართლოსიანთაგან ღვთის დავიწყებას, ისრაელების ეგვიპტით გამოსვლას, მოგვების მისვლას იერუსალიმში, ქრისტეს შობას, ცხოვრებას და ჯვარცმას და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ გვარად წერა წარმართის მიერ შეუძლებე-

---

16) ხსენებული ქრონიკის ფრანცუზული თარგმანი Chronique Arménienne ნაბეჭდია ბროსსეს მიერ გამოცემულს Additions et Eclaircissements à l' Histoire de la Géorgie, SPB, 1851, 1—80. თვით სტეფანოსისაგან შემოტანილი იმის «სიტყვის ისტორიაში» ორბელიანთ გვარის მთამომავლობა და ცხოვრება წარმოგვიდგენს საქართველოს დასაწყისს იმავე სიტყვებით, როგორც ჩვენი ქართლის ცხოვრება.

ლი იყო. ძნელია ნამდვილად იმ დროს აღმოჩენა, როდესაც ქართლის ცხოვრების დასაწყისი უნდა იყოს შედგენილი. ჩვენის ფიქრით უეჭველია მხოლოდ, რომ ის შეუდგენიათ მაშინ, როდესაც ბერძნულ გავლენას ემონავებოდა სომხური ენა და ლიტერატურა. ეს გავლენა თვით ქართლის ცხოვრებაშიაც სჩანს. ამ შემთხვევაში, ბროსსეს შენიშვნით, არ შეიძლება განკვირვებას არ მიგცეთ ქართლის ცხოვრების მამათ-მთავართ სახელების ბერძნულმა ფორმებმა, მაგალ. თარგამ-ოს, ქართლ-ოს, მცხეთ-ოს, გარდაბ-ოს. აქ მირვანის ანუ მურვანის მაგიერ იხმარება მირვან-ოს, მურვან-ოს. ქურთისტანის მთის ქედი სახელ-წოდებულია ორეთად, რომელიც ბერძნულად ჰნიშნავს მთას. ალექსანდრე მაკედონელის გამხედრების მოთხრობაში მოხსენებულია ბერძნული სიტყვა პროტატოს, რომელთაც ქართლის ცხოვრება ბერძენთ მხედართ უწოდს 17). ეს გავლენა, როგორც ქვემო სტრიქონები დაგვარწმუნებს, მოქმედებდა საქართველოზე სომხეთით. სომხეთში გავრცელებული ყოფილა ძველადვე ორი ენა—სირიული ანუ უკედ სირიაკული და ბერძნული. სომხური ისტორიული მოთხრობები უწერიათ მე-IV

17) Hist. de la G.—Intrad. et tables, p. XXXIII

საუკუნემდე სირიელების-მარ აბას კატინას, ლერუბნას, ბარდესანს, ბერძნების—აგათანგეს და სხვ. [18]) მე-V საუკ. წმ. მესრობს შეუდგენია, მოსე ქორენელის თქმით, სომხური ანბანი და თვით ქართული ხუცური [19]). და მხოლოდ ამის შემდეგ დაუწყიათ სომხებს საკუთარს ენაზე წერა: მესროპის მოწაფეები შესდგომიან სამღთო წერილის თარგმანს ბერძნულიდამ [20]). იმათ შორის გამოჩენილი სომხის მწერალია მოსე ქორენელი, რომელსაც დაუწერია ვრცელი „ისტორია სომხეთისა", დაფუძნებული უმთავრესად ბერძნების საეკლესიო მწერლებზე და მეტადრე კესარიის ეპისკოპოსის ევსევის თქმულებაზე. მოსე ქორენელი სცხოვრობდა იმ დროს, როდესაც საქრისტიანო მემატიანენი ყველა ხალხთ გვაროტომობას იმეყარებდნენ „დაბადების" გარდამოცემაზე. ამ წყაროზე აუშენებიათ მოსე ქორენელს სომეხთ შთამომავლობა და ქართლის ცხოვრებას ქართველთ ტომის მომდინარეობა [21]).

---

[18]) Victor Langlois, Etudes sur les sources de l' Histoire d' Arménie de Moïse de Khorene—Mél. Asiat, t. IV. livr 3, p. 295.

[19]) Collect. des hist. arm. II, 162.

[20]) Mél. As , IV, livr. 3. p. 295.

[21]) Renan. Hist. des langues sémit. 27: V. Langlois, Collect., I, 16—Mél. Asiat, IV, livr. 3, 310—311.

ამ უკანასკნელს შემთხვევაში ცხადია სომხეთის მწიგნობრობის გავლენა ქართლის ცხოვრებაზე. აი ამისი უმთავრესი საბუთი. მარ აბას კატინა ამბობს: „არმენაკის მამა ჰაიკი შთამომავლობდა თორგომასაგან და იაფეტიგან“[22]), მოსე ქორენელი: „იაფეტმა შვა გომერი, გომერმა თირასი, თირასმა თორგომი, თორგომმა ჰაიკი, ჰაიკმა არმენაკი“[23]) ქართლის ცხოვრება: „თარგამოს მამა სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა იყო ძე თარშისა, ძისა იავანისა, ძისა ნოესა“[24]). შენიშნულია, რომ სომეხნი თავიანთ შთამომავლობას უკავშირებენ ნოეს თირასით, ქართველნი თარშისით, რომელიც არის იგივე თირასი და რომელსაც „დაბადება“ არ მოიხსენებს. ამასთანავე სომხების თორგომა და ქართველების თარგამოსი არის ერთი და იგივე ფორმა, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი ტომის ფორმაა თოღორმა. შენიშნულია, რომ თირასი მოგონილია სომხეთის მწერლებისაგან და მითვისებული ქართლის ცხოვრებისაგან; თვით ქართლის

---

[22]) Langlois. Collect., I, 16—17.

[23]) Ib, II, 58.

[24]) ქართლ.-ცხ., 15.

ცხოვრების პირველს შემადგენელს დაუკავშირებია ქართველთ შთამომავლობა სომხეთის შთამომავლობასთან. ამ აზრის დასამტკიცებლად ვიტყვით, რომ არც მარ აპას კატინა, არც მოსე ხორენელი არ იხსენიებენ ქართველ ტომს თორგომის შთამომავლობად; მაშასადამე თვით სომეხნი არა ჰხადიან იმათ თავიანთ მონათესავე ტომად. მათ ერთგვარ ტომობას ჰმოწმობენ მათნი მწერალნი მხოლოდ მე-XIII საუკ., ესე იგი სიუნას ეპისკოპოსი სტეფანოს ორბელიანი და ვარდან დიდი, მაგრამ ესენიც ამ თქმულებას აფუძნებენ, იმავე სიტყვით, საქართველოს ხრონიკებზე[25]) ერთი უმთავრესთა საბუთთაგანი თუ რომელი ტომი რომელ ტომთან არის ნათესავურად დაკავშირებული არის, როგორც ზემოც გვათქვამს, ლინგვისტიკური გამოკვლევა ენებისა. ლინგვისტიკის მხრივ საფუძვლიანად არის შესწავლილი მხოლოდ სომხური ენა და დასკვნილია, რომ ის წარმოსდგება იმავე არიულის ძირიდამ, რომლისაც ეკუთვნიან ზენდური, სპარსული, ოსური, ქურთული და ავღანური[26]) აქ

[25]) Hist. de la Géor. I, 16 n. 1.

[26]) Ern. Renan, Rapport sur les travaux du Conseil de la Société Asiatique pendant l' année 1867—1868 – Journal Asiatique, juillet-août 1868, p. 56, 64. Abel Hovel cque La Linquistique — Bibliotheque des sciences contemporaines Paris, 1876, p 218.

ჯერ ეს უნდა ვუჩვენოთ მკითხველს, რომ ქართული გვარის ენების გეოგრაფიული მდებარება შეიცავდა ძველად მთელს ზემო ბასსეინს მტკვრისას ღელე-მინდვრებით-ჩრდილოეთად არაგვისას, სამხრეთით ხრამისას ანუ ქციისას, დებედისას და ახსტაფისას, აღმოსავლეთით—ალაზნისას, დასავლეთით—ჭოროხისას, ჩრდილო-დასავლეთით—ბასსეინს რიონისას და იმის შტოებს ვიდრე გაგრამდე [27]). ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული ქართულის ენების გვარი, რომელსაც, ქართლის ცხოვრების აზრით, შეადგენდნენ: ახლანდელი ქართული, სვანური და ლაზური მეგრულითურთ. სვანები მკვიდრობდნენ იქვე, სადაც ცხოვრობენ ახლაც. ლაზურ ენას სჭერია მთელი შ.-ვი ზღვის პირი ყუბანიდამ მოყოლებით ვიდრე ტრაპიზონის თემამდე და თვით ტრაპიზონიც [28]) ესე იგი მთელი ის სივრცე, სადაც ჩვენ დრომდე ბინადრობდნენ ანუ ბინადრობენ ჩერქეზნი და აფხაზნი, გურულნი და ლაზნი ანუ ჭანნი, რომელნიც მეგრელებად ირიცხებიან ქართლის ცხოვრებაში [29]). ამას წინად ამ

---

[27]) Hist de la Géor.. II partie, 2 livr. — Introduction et tables. p. III.

[28]) Hist de la G., I, 18, 56.

[29]) Ibid., 56.

ენების გვარ-ტომობას უკავშირებდნენ არიულს ანუ ინდო-ევროპიულს ენებს—ზოგსა სომხურს, ზოგი სანსკრიტულს. ორივე ეს აზრი უარ ჰყვეს უკანასკნელს დროს და უფრო მაქს მიულლერის აზრს დაემყარნენ, ვითომც ქართული ენები შეადგენდნენ ტურანულის გვარის გრუპპას[30]). ეს უკანასკნელი აზრიც საკმაოდ მიაჩნიათ უფრო ლინგვისტებს, ვიდრე არხეოლოგებს. ტურანულს მომდინარეობას ქართველებისას არხეოლოგები იმაზე აფუძნებენ, რომ ტურანელნი ძველის ძველად არიანო გამოსულნი საშუალო აზიიდამ და გავრცელებულნი, ესე იგი იმ დროს, როდესაც იმათ ფიქრით ქართველი შთამომავლობა დამკვიდრებულა მცირე აზიაში[31]), როდესაც არიელნი და იმათ შორის თვით სომეხნი ჯერ არ სჩანან.

თუმცა კვლევისათვის საჭიროა უფრო ცხადი საბუთები სომხეთის მწერალთა გავლენისა ქართულის ცხოვრებაზე,—სპარსეთის გავლენას შემდეგ გამოვიკვლევთ,—აი რამდენიმე უმთავრესი საბუთი. შევუთანასწოროთ ქართულის

30) А Цагарели, О грамматической литературѣ грузинскаю языка, СПБ. 1873 стр. 63—73.

31) Maspero, Hist. anciene, 236, 238, 398.—Jules Soury, Revue des Deux Mondes, 15 oct. 1873, p. 909—910.

ცხოვრების გადმოცემა ჭაოსის დასახლებაზე მასისის ძირად და თვით ბრძოლა თარგამოსიანთა ნებროთთან მარ აბას კატინას თქმულებას იმავე საგანზე [32]) და თქვენ შესწავლად დარწმუნდებით, რომ ქართლის ცხოვრებას ეს ცნობები გამოუკრებია მარ აბას კატინას თხზულებიდამ და ეს ცნობა იმას კიდეც შეეცვლია. თვით ფარნავაზ მეფისაგან შემოღებული კერპთ გური წესდება და დამყარება სასპასპეტოსი და საერისთავოების მოგვაგონებენ ვალარშაკის მიერ დაწყობილებას სომხეთში სასატრაპოებისას [33]). როგორც ქართლის ცხოვრება, აგრეთვე მოსე ქორენელი ძველადვე უჩვენებენ არმაზის ტაძარს—პირველი მცხეთის მახლობლად, სადაც იყო ქართლოსის სასაფლავო,მეორე ანის ქალაქში, სადაც სომხეთის მეფენი არშაკუნი იმარხებოდნენ.[34]) ქართლის ცხოვრების თქმით, ქართველნი ძველად „მკვდარსა სჭამდნენ და საფლავი არა იყო". მოსე ქორენელი მკვდრის ჭამას სომხებისაგან არ

[32]) ქართლ.-ცხ., 19.—Langlois, Collect., I, 18.

[33]) ქართლ-ცხ., 31.—Collect., I, 46, II, 26.

[34]) ქართლ.-ცხ., 19, 20, 32 —Collect., II, 106.— Н. Эмина, Всеобщая исторія Асохика, Москва, 1864, стр. 262.

იხსენიებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ იგინი ჰკიშაპებს (ვეშაპებს) უმსხვერპლავდნენ ქალწულ ქალებს და უმანკო ყმაწვილებს"35). ქართლის ცხოვრების ნაამბი წმ. რიფსიმეს ძებნაზე დიოკლეტიანე იმპერატორის მიერ და ტირიდატ მეფის ეშმკად შეცვლა" გამოკრებულია აგათანგ.ს ისტორიიდამ (მე-IV. საუკ.)36).

შესაძლებელია, რომ რაიმე ისტორიული მნიშვნელობა მიეთვისოთ ქართლის ცხოვრების თქმულებებს ქართველთ მთამომავლობაზე და იმათ პირველს ისტორიაზე. ჩვენის ფიქრით, ქართლის ცხოვრების დასაწყისზე იგივე უნდა ითქვას, რაც მეცნიერს რენანს უთქვამს მოსე ქორენელზე. რენანი ამბობს: „ამ მწერლის მოთხრობა სხვა არა არის რა, როგორც უმართებულოდ არეული მოთხრობა ბიბლიისა და ელლინებისა აღმოსავლეთის ისტორიას ძველ დროებზე"37). ამ შემთხვევაში უფროსი რა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. როგორათაც გარდამოცემა ბიბლიისა და ქალდეო-ასსირიელთა, აგრე-

35) ქართლ.-ცხ.,25.—Всеобщая исторія Асохика,278

36) ქართლ-ცხ., 69, 70, 75.—Collect., II, 139—142, 150.

37) Hist des langues sémit., 42. n. 3.

თვე ძველის ელლინებისა ჩვენ ტომზე ერთი მეორეს თითქმის ეთანხმებიან; თვით ახალი არხეოლოგიური გამოკვლევა აცხოველებს ამ თქმულებას. რასაკვირველია, ბევრი დროა კიდევ საჭირო, ვიდრე უკანასკნელი სიტყვა წარმოითქმოდეს ამ საგანზე, მაგრამ ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხსენებულთ უცხო-ტომთ იციან სახელ-წოდება კოლხებისა, ტუბალისა ანუ ტიბარენებისა და მოსხებისა. ამ სახელ-წოდებათა შორის მხოლოდ კოლხიდას იხსენიებენ იშვიათად სომხეთის ძველნი მწერალნი. ქართლის ცხოვრებაში არც ერთს ამ სახელ-წოდებათაგანს არა ვპოულობთ. გარდა ამისა არც ქართლის ცხოვრებამ, არც სომხეთის მწერალთ არ იციან უძველესი საცხოვრებელი ჩვენის ტომისა, მაშინ როდესაც ამ საცხოვრებელს უჩვენებენ ქალდეო-ასსირიელნი და ელლინნი.

ჩვენ აქ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ძველი გარდამოცემა ქართლის ცხოვრებისა სრულებით ზღაპრული იყოს. ჩვენი აზრი ის არის მხოლოდ, რომ ქართლის ცხოვრების პირველი შემადგენელნი დამოსაკვებულნი ძველის სომხეთის მწერლობას; მაგრამ გარეშე ამ ზედ-მოქმედებისა ქართლის ცხოვრება არ არის მთლად უარსაყოფელი: ის წარმოგვიდგენს ზოგიერთს თქმულებას,

რომელიც ნამდვილ შემთხვევას შეიცავს. ამ გვარნი შემთხვევანი არიან: დასახლება საქართველოში სხვა და სხვა უცხო-ტომთა, მაგალ. ურიათა, თურქთა და ელლინთა; აგრეთვე ხაზართ ბრძოლა და იმათგან დასახლება ოსებისა ჩრდილო-კავკაზად. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ურიანი ძველის-ძველადვე უნდა იყვნენ ამ მხარეში დასახლებულნი, როგორც ამას ჰმოწმობენ ისტორიული და არხეოლოგიური საბუთები [38]. ზემოხსენებულთ თურქთ შთამომავლობად ჰხადიან ორბელინთ გვარს [39]) ელლინების კოლონიებზე ჩვენ მხარეში ამას წინად გვქონდა საუბარი, მაშასადამე ამ შემთხვევაში ეჭვს ადგილი აღარა აქვს. აქ მხოლოდ დავურთავთ, რომ როგორც ქართლის ცხოვრება ჰმოწმობს, ბერძენნი და ქართველნი ურთიერთ-შორის ყოფილან დაკავშირებულნი მეგობრულად და პირველნი უკანასკნელთ ბრძოლაშიაც

---

38) მაგალ. ერთი ქვა ებრაულის წარწერით, რომელიც მცხეთის სამთავროს სასაფლაოზე იპოვეს და რომელიც, როგორც გვარწმუნებენ, ეკუთვნის 589 წელს ქრისტეს წინად. Дм. Бакрадзе, О до—исторической археологіи, стр. 37. —ქართლ.-ცხ., 25.

39) Hist. de la Siounie, I, 210—212.

ესმარებოდნენ [40]). ესეც უნდა ვთქვათ, რომ ორიენტალისტი ჟიულ სენ-მარტენი დიდს ისტორიულ მნიშვნელობას მისთვისებს ჩვენ გარდამოცემას ბერძნებზე. იმის სიტყვით, „ბერძნების მეისტორიეთ არ დაუტოვებიათ არავითარი ცნობა, რომ იმათ კოლონიებს შავის ზღვის პირად ჰქონიყოთ ბრძოლა კავკასიელებთან. მხოლოდ ქართლის ცხოვრებისაგანა გვაქვს გარდამოცემული ეს ცნობა, რომელიც წარჩინებული და უეჭველი ჭეშმარიტება არის“[41]). ამგვარსავე მნიშვნელობას მისთვისებენ ევროპიელნი მეცნიერნი თვით იმ გარდამოცემას ქართლის ცხოვრებისას, რომელიც შეეხება ხაზარებს და ოსებს [42]).

ქართლის-ცხოვრების თქმით, „მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლა ნათესავსა ლეკისათა და კავკასიოსთა: ესე თარგამოსიანნი ყოველნი მას ჟამსა იყვნეს მშვიდობით, სიყვარულსა ერთმანეთისასა; ხოლო

---

[40]) ქართლ.-ცხ., 23 შენიშვ. 8.

[41]) Mém. sur l' Arm., II, 190 n.-e.

[42]) Dubois de Montp., Voyage, II, 25—26; IV, 354—362.—V. de S-Mart., Recherches, 149—152.

შვილთა ზღუდა კავკასიისთა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისი, ეზრახნეს ესე აქვსთავე ნათესავთა თარგამოსიანთა და ითხოვეს შველა ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი და გარდავლეს მთა კავკასია და მოსტყუევნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი და აღაშენეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა და წარმოვიდეს. ამისსა შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე და დაემორჩილნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა და წარმოიძღვნეს იგი და გამოვლეს ზღვის-კარი რომელსაც აწ ჰქვიან დარუბანდი. ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვი ხაზართა. წარტყუევნეს ქვეყანანი თარგამოსიანთანი და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოეთისანი. ხოლო დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარისისა, სამშვილდე და მტკვრის-ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი. და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის-კარი, დარუბანდი და არაგვის-კარი, რომელ არს დარიალა და განამრავლეს ხაზართა გამოსვლა და ტყუევნა მათი, და ვერღარა წინა-აღუდგეს და მიერიდგან იქმნეს ყოველნი თარ-

გამოსციანნი მოხსარკე ხაზართა. ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოსტყუვენა ქვეყანანი, რომელნი ზემოდ დაგვიწერია, და გარდავლო მთა კავკასია, და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა მისსა ტყვე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქვეყანა კავკასიის ნაწილი ლომეკის მდინარისა დასავლეთა, დასავლეთამდე მთისა და დაეშენა. უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოსნი და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. და დურძუკ, უწარჩინებულესი იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი, და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა.

„ხოლო მასვე გზობასა მისცა მამის ძმის-წულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით ზღვიდგან დარუბანდისით მდინარემდე ლომეკისა, და მისცა ტყვე რანისა და მოვაკანისა და ეშენა იგი მუნ, რომელ ნაწილი იყო ლეკანისა. ხოზანიკ, რომელი უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისათა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ხოზანიხეთი.[43]“.

---

43) ქართლის-ცხოვრება, I, 21—23.

ხაზარნი ეკუთნოდნენ ძველადვე გრცლად გავრცელებულს საშუალო აზიაში თურანის მოდგმას ანუ ნათესავობას, რომელსაც შეადგენდნენ ოთხნი უმთავრესნი ტომნი: თუნგუზნი, მონგოლნი, თურქნი და ფინნი. თუნგუზნი იყვნენ გაბნეულნი ჩინეთის საზღვრით ჩრდილო-მხარეს ვიდრე ციმბირამდე. მონგოლნი თავდაპირველად ცხოვრობდნენ ბაიკალის ტბის მახლობლად და ციმბირის აღმოსავლეთის ნაწილში, ვიდრე ჩინგიზ-ხანმა მე-XIII საუკ. ქრისტეს შობის შემდეგ მთელი მონგოლის ნათესავობა ერთად შემოჰკრიბა და მონგოლის სამეფო დააწესა. თურქნი ბინადრობდნენ ალტაის მთიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე. ფინნი ანუ ჭუდნი იმყოფებოდნენ ურალის მთებში, ამისთვისაც ფინნურს ენას ურალური ენა ეწოდა. ის სივრცე, რომელიც იმათ ეჭირათ, იყო: კასპიის ზღვისა, ვოლგისა და ტანაისის კიდეები ბალტიის ზღვამდე [44]). ფინნურის ტომის შტოს შეადგენდნენ, სხვათა შორის ბულგარნი, ვენგრნი და ხაზარნი.

---

[44]) Наука объ языкѣ Макса Мюллера, 225—229,239,303. Lebeau, Hist. du Bas-Emp., IV 60 note 2.

აღმოსავლეთის ისტორიკოსების თქმით, ხაზართ დასაწყისი იკარგება დროთა წყვდიადში. იმათი წინა-პარი ხაზარი, შვილი იაფეტისა და ძმა თურქისა, დამკვიდრებულა ვოლგის მდინარეზე. ხაზართ შთამომავლობა თვით სომხეთის მწერალთ აზრით უძველესის დროიდამ მომდინარეობს 45). ზოგნი მწერალნი იმათ უწოდებენ სკვათებად 46), ზოგნი—თავრო-სკვითებად 47), ზოგნი—თურქებად 48). ხაზარნი გავრცელებულან დაღისტნის საზღვრიდამ მოყოლებული კავკასის ჩრდილოედ ვიდრე შავ-ზღვამდე და თავრო-ხერსონამდე, ანუ ახლანდელს ყირიმამდე. იმათი მთავარი იწოდებოდა ხახანად. ხაზარნი ყოფილან დაყოფილნი მრავალ მუხლებად 49) და ძველს ეპოხებში შეადგენდნენ უძლიერეს ტომს.

ევროპის მეცნიერნი ხაზართ კვალს ეძიებენ თვით კავკაზში. ჟან-სენ-მარტენის თქმით დაღისტნის ავარები, იმათის მონათესავე დიდოს ტომით, არიან ხა-

45) Hist. du Pas-Emp, XI, 115 n 2, 116.
46) Hist. du Bas-Emp, IV, 61—65.
47) Ibid., XI, 115.
48) Ibid, 115 n. 2.
49) Ibid., XI, 116.

ზარნი ანუ ჴუნნი: „ზოგიერთნი მწერალნი, ამბობს სენ-მარტენი, რომელთაც ავართ ისტორია გამოუკვლევიათ, იმათ შორის დეგინი, ლებოთ რიცხვში გაძლიერებულ ტომად ავარებს მოიხსენიებენ. კლაპროტს შეუნიშნავს კავკაზის ავარებში მრავალი სახელ-წოდება, რომელიც ხშირად ყოფილა ხმარებული დუნაის ჴუნნებში და პან-ნონიის ავარებში. კავკაზის ავარნი განსხვავებულნი არიან ლეკებში: ესენი ხმარობენ ენას, რომელიც ლეკურს არ მიემსგავსება 50); ცხოვრობენ ხეობებში და ამ ხეობებს ჰსაზღვრავენ—ჩრდილოეთით კავკაზი, დასავლეთით ჩეჩნე-ბი და აღმოსავლეთით ტარკოვი შამხალისა. სომეხნი და ქართველნი ავარიას უწოდებენ ხუნზახად. ადგილობრივ იმას ჰქვიან ჴუნნის მიწა. შესაძლებელია, რომ ეს ტომი მომდინარეობდეს იმ კიდარიტის ჴუნებთაგან, რომელთაც პროკოპი და მოსე ქორენელი მოიხსენებენ კავკაზის და-სავლეთად ანუ კასპიის ზღვის მახლობლად. ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ის ნაწილი გუნგრიისა, რომელიც ოდესმე თურქის ტომს კომანებს სჭერიათ, სახელ-წოდე-

---

50) ავარული ენა და სხვა ლეკური ენები აკადემიის ლინგვისტი-კურის გამოკვლევით შეადგენს მონათესავე ენებს.

ბულა აგრეთვე გუნ-საგად[51]). სენ-მარტენიც ამტკიცებს, ვითომც ერეკლე იმპერატორის დროს მე-VI საუკ. დაღისტანი ჰუნნებს სჭეროდათ[52]). კლასსონს შემოაქვს თავის თხზულებაში კავკასზე რეინეგსისაგან შენიშნული ლეკების გარდამოცემა, ვითომც იმათნი უძველესნი წინაპარნი მოსულიყვნენ ინდოეთიდამ და ჯერ შირვანში დასახლებულიყვნენ, მასუკან ჩრდილო-კავკასიის მხარეებში, ვითომც შემდეგ ისინი ხაზარებს შეეჭყლიტოთ მთაში და თვითონ დაეჭირნათ ნაწილი იმათის ადგილებისა[53]).— ხაზართ შთამომავლობადვე სთვლიან ჩერქეზებს. ლებო ამას დარწმუნებით ამბობს. იმის სიტყვით, ხაზარნი ყოფილან დაყოფილნი რამდენსამე შტოდ. იმათში ერთი

---

[51]) Hist. du Bas-Emp., VI., 460 n. 2. IX, 404 n. 1-Зап. Кавк. Отд. Русс. Геогр. Общ. кн. VII, Смѣсь, стр. 28. ამ წიგნში გრიცუკისა და ბიბლიოგრაფიის აღწერა (გვერ. 51-52) ყარა-ქიროვს აგარველების ფინნურს შთამომავლობას და ამასთანავე ამტკიცებს, იმათის ენის მოწმობით, რომ ისინი მეგრელ ნათესავნი იყვნენ და დიალ დიდ-ხნის მოსულნი არიან ჩრდილოეთით

[52]) Lebeau. XI, 104 n. 1.

[53]) D' Ohsson, Des peuples du Caucase, Paris, 1828, p. 5.

შტო ყაზარდაც თურმე იწოდებოდა. ლებო ამ აზრს აფუძნებს კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვაზე. პორფიროგენეტი გვიამბობს, რომ ხაზართ—ყაზარდოელებმა თავისი სახელი გადასცესო ამ მხარეს, რომელიც ჩერქეზეთის აღმოსავლეთად მდებარეობსო. სენ-მარტენი ლებოს აზრს არც უარ-ჰყოფს, არც ითვისებს; ის მხოლოდ ვერ იჯერებს, რომ ვიზანტიელების ყაზარდას ჰქონდეს რაიმე დამოკიდებულება ჩერქეზების ყაზარდოსთან, რადგანაც ჩერქეზის ტომი ფინნებთ მონათესავე ტომი არ არისო [54]).

ახლა ჩვენ შეგვიძლიან ქართლის-ცხოვრების თქმულებას ხაზარებზე ძალა მივცეთ. ზოგიერთთაგან მიღებული აზრი, ვითომც ხაზარნი გამოჩნდნენ ქრისტეს შემდეგ და ვითომც იმ დროს, რომელსაც ვუჩვენებთ, ხაზარნი კი არა, არამედ სკვითნი შეადგენდნენ ისტორიულ მომქმედს ტომს, უსაფუძვლოა. ან ვინ იყვნენ სკვითნი? მართალის მომატებული ნაწილი სკვითებისა ინდო-ევროპიელნი არიან, ესე იგი -გეთნი-ან გოთნი, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სკვითებადვე ირიცხებიან ზოგ-

[54]) Hist. du Bas-Emp., XI, 117 n. 1 et. 2.

გიერთნი ნომადნი ტომნი, რომელნიც მოძრაობდნენ იმ სივრცეზე, სადაც სხვა და სხვა დროს თურანელებს და არიელებს ბატონობით და რომელნიც სხვა და სხვა მოდგმას ეკუთვნიან 55). ზოგნი მწერალნი სკვითებად სახელ-სდებენ თვით ხაზარებს. პოტოცკი ამტკიცებს, რომ კატიარის ტომი, რომელსაც ჰეროდოტი სკვითებად უჩვენებს იქ, სადაც ქართლის-ცხოვრება ასახელებს ხაზარებს, ყოფილან ხაზარნი. კატიარების მეზობლებად იგივე ჰეროდოტი უჩვენებს იმავე მოდგმის ტომს ბასილიანებს, ბერძნულად სამეფო სკვითებს. მოსე ქორენელი სარმატიაში პოულობს ხაზირებს და ბარსელიანებს 56). ერთის სიტყვით, ქართლის-ცხოვრების თქმულება ხაზარებზე, ჩვენის ფიქრით, ეჭვგარეთ უნდა იყოს.

ბევრით ადრე იმ დროზე, რომელსაც ქართლის-ცხოვრება აგვიწერს, ის უჩვენებს ეგრისის საზღვრად მცირე-ხაზარიის მდინარეს, ესე იგი ახლანდელს ყუბანს. ამ აზრის თანახმაა თვით ჰეროდოტი 57), ის ლომეკის, შემდეგ თერგის, და ვოლგას შუა მდებარე სივრცეს სა-

55) Fr. Lenormant, Man. d' Hist. II, 462—476 Hovelacque. La Linguistique, 144—145.

56) Collect II, 114.—Hérodote, IV, 220—225.

57) ქართლ.-ცხოვრ. I, 17.—Hérodote, IV 225.

ხელს-სდებს დიდ-ხაზარეთად 58). ხაზარნი, ქართლის-ცხოვრების თქმით, თვით საქართველოშიაც ყოფილან დასახლებულნი და იმათი ენა ქართველებს სცოდნიათ 59). ქართლის-ცხოვრება ხაზარებს ასახელებს ლეკანის სამფლობელოში, სახელდობ ლეკანის აღმოსავლეთს მხარეში 60). აქ ჩვენ უნდა დავურთოთ, რომ მე-X საუკ. არაბული გეოგრაფი მასსუდი ჩერქეზებს უწოდს ხაზრებად, ხაზრანებად 61). დიუბუას სიტყვით ჩერქეზის ტომა იყოფა ოთხ შტოდ: ადიგე, ყაბარდო, ბჟაზა და აფხაზი. იმათ ენებში შეინიშნება საზოგადო ფესვი და ფორმები, რომელნიც აღმოაჩენენ ფინნურის ენის სისტემის მსგავსებას, სახელდობრ ოგულურისას და ოსტიაკურისას, რომელნიც ციმბირში არიან გავრცელებულნი. თვით ჩერქეზების ყოფა-ცხოვრების წესი ძველს ფინნებს მოგვაგონებს 62). მართალია თუ არა დიუბუას აზრი, ვითომც

---

58) ქართ. ცხ., I. 17.
59) იქვე, 26.
60) იქვე, 23.
61) Massoudi, Descript. du Cauc.—Journ d'une résidence en Circassie par Bell, I, p. LXIX.
62) Dubois Voyage. I 102, 114.

გრამმატიკული ფორმები ჩერქეზულისა და ლეკურისა ფინნურს ენას ეკუთნოდეს, ამაზე ახლა ვერას გიტყვით დარწმუნებით, რადგანაც ლეკური (ავარული) და ჩერქეზული ენები ამ მხრით გამოკვლეულნი არ არიან.

ქართლის-ცხოვრების მოთხრობა ხაზართ გავლაზე ზღვის-კარით და იმათგან დატყვევება სომეხთა და ქართველთა, რანელთა და მოვაკანელთა, დიუბუას სიტყვით, სრულებით ეთანხმება ჰეროდოტის ნაამბობს სკვითების გალაშქრებაზე ამ მხარეებში. «როდესაც სკვითნი სდევნიდნენ კიმმერიელებს — ამბობს ჰეროდოტი — კიმმერიელებმა მიჰმართეს შავის-ზღვის ნაპირ აფხაზეთს და კოლხიდას, ხოლო სკვითებმა, (ანუ ქართველების ხაზარებმა) განვლეს კავკასი, რომელიც იმათ მარჯვნივ მდებარებდა, გაიარეს დერბენდი და აქედამ დაესხნენ აზიას დასავლეთისას და დაიმონავეს ისა 28 წლის განმავლობაში, ესე იგი 633 წლიდამ 605 წლამდე ქრისტეს წინად. ქართლის ცხოვრება ამტკიცებს ერთს შემთხვევას, რომელიც ამ გარემოებაზეა დამოკიდებული და რომელიც გადმოგვცეს ბერძნებმა, ეს შემთხვევა არის სკვითებისაგან მიდიელთ კოლონიების გადმოსახლება კავკასიის ჩრდილო-მხარეს.»

«როდესაც სკვითების ანუ ხაზარების მეფე პირვე-ლად დაეცა კავკასიის სამხრეთად მდებარე ქვეყნებს და აოხრა იგინი, მაშინ იმან შემდეგ უგუ-ქჩეგისა თავის შვილს უობოსს დაუმკვიდრა ქართველთ-სომეხთ ტყვენი იმ ადგილებითურთ, რომელნიც თერგის დასავლეთად მდებარებენ კავკასიის კიდემდე. უობოსის შთამომავალთაგან და ამ ახალთ მოსახლეთაგან წარმოსდგნენ ოსნი ანუ ოსეთის მცხოვრებნი. ამას გვიამბობს ქართლის-ცხოვრება; ამასვე გვიამბობს დიოდორე სიცილიელი, როდესაც ის ამბობს, რომ სკვითებმა მიდიელნი გადმოასახლესო სარმატიაში, რომელიც კავკასიის ჩრდილო-მხარეს მდებარებს. ამ მადიურს კოლონიას შეადგენდნენ ნესტორის იაზები და საშუალო საუკუნოების ალანები [63]).»

იაზები ანუ ალანნი, რომელთაც დიუბუა მოიხსენებს, ცნობილნი არიან ძველადვე. ალანები ისე ძლიერნი და გავრცელებულნი იყვნენ, რომ იმათ ეპყრათ მთელი მხა-რეები შავის-ზღვისა და კასპიის-ზღვის მორის, ჩრდი-

[63]) Dubois, Voyage, II, p 26—28. —იხილე აგრეთვე Hérodote, IV, 219—223.—F. Lenorm., II, 349—351, 388.

ლოეთით და აღმოსავლეთით. პტოლომეს დროს, I საუკუნის გასულს, ალანებს ეჭირათ აღმოსავლეთი აზიისა და იმათვე სახელ-სდებს ალანიის მთებად იმ მთებს, რომელნიც აზიის შუა-გულამდე მიემართებიან და რომელნიც, როგორც ამბობენ, უდრიდნენ ახლანდელს ალთაის მთებს. ალანებს იხსენიებენ თვით ჩინელნი. ესენი იმათ იქვე ასახლებენ, ესე იგი კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთს მხარეებში. იმათის თქმულებით, ალანნი იყვნენ ხომალდნი და შემძლე ტომნი. საბერძნეთისა, რომისა და სომხეთის მწერალნი თანახმად ჰმოწმობენ, რომ ქრისტეს შემდეგ ოთხის საუკ. განმავლობაში ალანნი იყვნენ ყველა ტომებზე უშემძლებელესნი და ცხოვრობდნენ ვრცელს ვაკე—მინდვრებში, რომელნიც მდებარებენ კავკასიის ჩრდილოეთად, შავსა და კასპიის ზღვას შუა, აოხრებდნენ ყველა ადგილებს ვიდრე მეოტიდის ზღვამდე და კიმმერიას ბოსფორამდე, გადიოდნენ კავკასიით მიდიისა და სომხეთის ასაკლებად. ჩინელნი იმათ ჰუნნებად უწოდებენ. მაგრამ იმათი აგებულება ინდო-ევროპიულს შთამომავლობას მოგვაგონებს. ალანნი იყვნენ ტანოვანნი; სახით გარგად მოწყობილნი, ფერით თეთრნი, ხასიათით ამაყნი; მკვირცხლნი და ცხენოსნობის მოყვა-

რენი. ალანნი ყოფა-ცხოვრებით ჰუნნებს მიემსგავსებოდნენ. ალანნი მოძრაობდნენ ჯგუფ-ჯგუფად უდაბურებში და ცხოვრობდნენ ხის ქერქით მოფარდულს ურმებში ანუ კიბიტკებში. ალანნი შესდგებოდნენ იქ, სადაც ბირუტყვისთვის სასარგებლო საძოვარს ჰპოებდნენ. ისინი ისე შემოჰკრებდნენ ურმებს, რომ იმრგვლივ ზღუდეს შეადგენდნენ. ეს იყო იმათი სიმაგრე და ქალაქი. აქ ბინადრობდნენ ვიდრე საძოვარი მოისპობოდა. მუდამ შეიარაღებულნი ისინი იყვნენ გართულნი ნადირობაში და სამხედრო დროს გატარებაში. უმთავრესი იმათი ხელობა იყო ბრძოლა: მტრის ხელით სიკვდილი თვითოეულს იმათგანს სასიქადულო საქმედ მიაჩნდა. ალანნი თაყვანს-სცემდნენ მარსს, რომლის წარმომადგენელად ჰქონდათ მიწაში ჩარჭობილი ხმალი. ალანნი ყველანი კეთილ-შობილებად ირიცხებოდნენ. იმათში მონაობა არ იყო: ისინი მონებად იმსახურებდნენ ომში ტყვედ დაჭერილს და იმის შთამომავალს. ალანების უფროსნი სახელ-იწოდებოდნენ მსაჯულებად. მსაჯულის ღირსება ეკუთნოდა იმას, ვინც უაღმატებულესად განვითარებული იყო მეომრობაში.

შემდეგ ჭუნნების დასახლებისა ბასკირის მხარეში იმათ დაესხნენ უცხო ტომნი, რომელნიც დასავლეთის საჲთაროდამ იძროდნენ; თვით ჭუნნები შეირყნენ და ალანებს მიაწვნენ. ეს იყო I საუკ. ქრისტეს წინ, ალანნი იძლივნენ და ზოგნი მეოტიის ზღვისკენ და დუნაის მდინარისკენ მიილტვნენ, ზოგნი კავკასიის პირად შემოჯგუბდნენ და თვით ჩრდილო კავკასიის ხეობებში შეფარდნენ. ამ დროდამ აქ დიდ ხეობას უცხო-ტომთ უწოდეს ალანეთის კარად, ქართველებმა დარი-ალად, დარი-ალანად. იმათ ჭყვანდათ საკუთარი მთავრები. მე-XIII საუკ. მონგოლებმა ბატუ-ხანის დროს და მასუკან ყაბარდოელებმა ისინი ვაკე-მინდვრებიდამ განდევნეს და სრულებით შეჭყლიტეს კავკასიის მთებში, სადაც აქამომდე ცხოვრობენ. ამ დროს უნდა იყვნენ ისინი გადმოსახლებულნი საქართველოს მხრივ მდებარე მთის ხეობებში 64). ამ ალანთ ადგილ-სადგომს ჩვენ ქართველები ვუწოდთ ოსეთად, თვით იმათ ოსებად. ისინი არიან ძველის აღმოსავლეთის მწერლების აზნი, პტოლომეს და სტრაბონის აზიანები, ჩინელთ აზიები ანუ უზი-უნები. თვით ოსების საკუთარი სახელწოდება გვიმტკიცებს ამას: ოსები უწოდებენ თავიანთ

---

64) ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია, გვ. 461.

თავს ირონებად, თავიანთ ადგილ-სადგომს ირონისტანად. ირონი იყო ძველი სახელ-წოდება მიდიისა და მიდიის მცხოვრებლებისა 65).—ოსების ყოფა-ცხოვრების განხილვაში და იმათ ენის გამოკვლევაში შესულან რამდენნიმე გამოჩენილნი მწერალნი: პოტოცკი, კლაპროტი დიუბუა დე მონპერე, შეგრენი, ოსურის გრამმატიკის შემადგენელი, როზენი და ჰაქსტჰაუზენი, რომელნიც ცხადად ჰმოწმობენ ოსების ნათესავურს დამოკიდებულებას მიდიელებთან, სპარსებთან და ნემცებთან 66). იმათ გამოკვლევით, ოსები სახის-მოყვანილობით, ხასიათით და ჩვეულობით ახლაც წარმოგვიდგენენ დიდს მსგავსებას ალანებთან და თვით ზოგი-ერთ აწინდელ გერმანიელ ტომებთან. ოსური ენა, ლინგვისტის შიერნის სიტყვით, ამტკიცებს ინდო-გერმანიულ ნათესავობას, თუმცა უფრო სპარსულთან არის დაახლოებული 67). დიუბუა ალექსან-

---

65) Hist. du Bas-Emp, IV, 77—85.—Dubois II, 28.—Rech., 150, 189, 191.

66) Rech..., 150 n. I.—Hovelacque La Linquistique, 230—231.

67) Барона Гекстгаузена, Закавказскій край. Спб., 1857 г., II, 113.

დრე გუმბოლდტთან მიწერილს 24 სეკტ. 1839 წიგნში ამტკიცებს, რომ ოსური ენა არისო მიდო-სპარსულის ენის შტო და ევროპიულს ენებში უფრო ახლოაო და-თიშურთან, ლითვინურთან, ლივურთან და კურულთან. ამ ტომით შუა-მდგომელობით შეერთებულნი არიანო ერ-თი მეორესთან გერმანიული და სლავიანური ენები [68]. ჰეკსტგაუზენის შენიშვნით, დაწყნარებული ოსის საუ-ბარი, რომელიც სხვა კავკასიელთ მოსაუბრობას არ მი-ემსგავსება, თვით სიტყვის წარმოთქმის თვისება და ხმა მოგვაგონებენ ნემეცურ ენას, სახელდობრ ჩრდილო-ნემე-ცურს, ასე რომ ცოტა მოშორებით თქვენ გგონიათ, რომ ქვემო-საქსონური გლეხის ლაპარაკი მოგესმით და მხოლოდ სიშორის გამო არ გესმით სიტყვები [69]. ჰეკსტგაუზენი ფიქრობს, რომ ოსები უნდა მომდინა-რეობდნენო იმ გოთებთაგან და გერმანიელთაგან, რომ-ელნიც შემდეგ დაძლევისა ჰუნნებთაგან კავკასიის მთებში შეხიზნულანო [70].

---

[68]) Тамъ же, 124.
[69]) Тамъ же, 115.
[70]) Тамъ же, 117.

ქართლის-ცხოვრებაში ღირს-სახსოვარი შემთხვევა არის, სხვათა შორის, თურქების კოლონიის მოსვლა საქართველოში. ამ შემთხვევასთან აქვს დამოკიდებულობა ისტორიას ორბელიანთ გვარისას. ქართლის ცხოვრება ორბელიანთ დასაწყისზე არას ამბობს; ამას გვიამბობს მხოლოდ სტეფანე ორბელიანი. იმისი თქმულებას ორბელიანთ მოსვლაზე საქართველოში თითქმის ეთანხმება ქართლის-ცხოვრებისაგან გარდამოცემულს ფაქტს თურქების მოსვლაზე: ორბელიანთ გვარი დიდ გამოჩენილ გვარად იხსენიება ჩვენს ისტორიაში. ის არის უძველესი ყველა ახლანდელს ქართულს გვარებში. ორბელიანთ სახლის მემატიანე სტეფანე ორბელიანი ყოფილა საქართველოს ათაბაგის ტარსაიჭის შვილი, შობილა სომხურს სარწმუნოებაში მე-XIII საუკუნის ნახევარს და მიცვლილა სიუნის მიტროპოლიტად 1304 წელს. სტეფანე არის განვითარებული სომხეთის მწერალი: ის სახელ-განთქმულა სხვა და სხვა გვარის მწერლობით და უფრო სომხეთის რუმის სიუნის ისტორიით, რომელიც უფ. ბროსსეს გამოუცია 1864—1866 წელს, ორ წიგნად, ფრანციულს ენაზე და რომელიც წარმოგვიდგენს გრცელს,

და სვინიდისიანს, აღწერას სიუნის გეოგრაფიისას და ისტორიისას. ამ წიგნში ჩვენთვის ყურადღების ღირსია განსაკუთრებით ორბელიანთ სახლის ისტორია. ეს ნაწილი შეიცავს: ბროსსეს Histoire de la Siounie-ში 63 გვერდს (I, 209—272) და სენ-მარტენის Mémoires-ში სომხური ტექსტით 118 გვერდს (II, 57—175). აქ სტეფანე ჯერ მოკლედ გვიამბობს, ქართლის-ცხოვრების თანახმად, საქართველოს პირველ-დასაწყისს და შემდეგ სპარსეთის მეფის ქაიხოსროს დროდამ იწყობს ორბელიანთ გვარ-ტომობას.

„ამ დროს—იტყვის სტეფანე,—მოხდა დიდი განხეთქილება და საშინელი ბრძოლა ჯენასტანის (ჩინეთის) სამეფოში; რომელიც მდებარეობს ხალანდრების ქვეყნის აღმოსავლეთად, ხაზარებისა და ჭუნნების საზღვრად, ვიდრე ემაუსის მთამდე. როდესაც მეფე ჯენბაკური მიცვალილა, სამეფო სახლის წევრებში ატეხილა ურთიერთი ბრძოლა; ვინც იმათში ძლეულა, ისინი ლტოლვილ ქმნილან; იმათი წინამძღომელი ყოფილა ახოვანი და გამბედავი, ძლიერი და ნიჭიერი ყმაწვილი კაცი. იმას შემოუკრებია თავისი მეგობრები და თავისი სპა, მოუ-

ტუკანის სამეფო საუნჯე, შემდეგ ძველანი ამხედრებულან და მსწრაფლ გასულან. ისინი უშიშრად შესულან დარიალის კარით ქართლში და გამოსცხადებიან მცხეთის ტანუტარს (ჩვენებურად მამასახლისს). ტანუტარი ყოფილა დიდს მწუხარებაში ქვეყნის შევიწროების გამო სპარსთაგან. იმათ ასე უთქვამთ ტანუტარისთვის და უმთავრესის პირებისთვის: „ჩვენ ვართ ჩინეთის სამეფოს სახლის წულნი; ჩვენ დავშორდით ჩვენ ძმებს და აქ იმ განძრახვით მოვედით, რომ თქვენის ქვეყნის სიმაგრეებს შევეფარდნეთ. ჩვენ გვსურს ან დავრჩეთ სპარსეთის სამფლობელოში, ან მივმართოთ საბერძნეთის მეფეს. მიგვიღეთ და მოგვანიჭეთ თავის-საფარი ადგილი. ჩვენ დაგვემკვიდრებით აქ და თქვენ თქვენთა მტანჯველთაგან განგათავისუფლებთ. თუ არა ჩვენ შევუდგებით ჩვენს ცზას და ღმერთი ჩვენი იქნება შემწე ჩვენი“. უმთავრესნი ტანუტარნი, კმაყოფილნი დარჩენილან იმათ ახოვანებით; ახალ-მოსულთათჳის შეუმზადებიათ გრძელი ნადიმი და მიუციათ დიდი პატივი, —ნიშნად განსაკუთრებითის მეგობრობისა იმათთვის დაუმკვიდრებიათ სადგომად და დასაცველად ქართლოსისაგან აშენებული შეუვალი ციხე

ორბეთი; მიუციათ აგრეთვე სამკვიდრო-მკვიდროდ მრავალი თემი, დიდ-ძალი სოფლები და სიმაგრეები. დაკმაყოფილებულნი ისინი დამყარებულან ორბეთში და ამ ციხის გამო შემდეგ სახელ-წოდებულან ორბელებად, ესე იგი ორბეთუთ-ციხებად, რადგანაც ქართველებში ჩვეულებად არის, რომ აქ გვთილ-შობილნი ირქმევენ იმ ადგილების სახელს, სადაც ისინი ცხოვრობენ... ეს გვარი ასლა, იწოდება ორბელიანად, ძველად კი იწოდებოდა ჯენეუქად, ესე იგი ჯენსასტიქად ანუ ჩინელებად.

ვიდრე ეს ასე იყო, ორბელიანთ შემოიკრიბეს სპები, დაიხსნეს საქართველოს შემწირველნი, ატრნეს იგინი, განდევნეს მტერნი მათნი, სპარსნი, და აღადგინეს აქ მშვიდობა. შემდეგში იმათ მიენიჭათ საქართველოს სახლის სპარაპეტობა და მხედართ უფროსობა. პირველმა საქართველოს მეფემ ფარნავაზმა უმეტესად დააჯილდოვა იგინი, ასე რომ მთელს მხარეში არავინ იყო მათი ტოლი, შემდეგ მეფისა.

ყოველივე ეს ცნობა—დაურთავს სტეფანე—თუმცა ჩვენ გვქონდეთ ქართულ მატიანეში, მაგრამ არევით, რადგანაც გიორგი მეფის შურის-მიებამ აღმოფხვრა.

ორბელიანთ გვარი საქართველოში და მისში თვით იმათი სახელი ისტორიაში, ყველა წყაროებში და გვარ-სიებში. ჩვენ გამოვიძიეთ და მხოლოდ ეს მცირე რაიმე მოვიპოვეთ. ჩვენ დავეკითხენით მცოდნე პირთ, აქა-იქ გაბნეულ წყაროებს, რომელნიც კი უბედურებას გადა-ურჩნენ და აგრეთვე გვარის გარდამოცემას. რადგანაც ჭეშმარიტი ძველი თქმულება ორბელიანთ ნათესავის მხნეო-ბაზე და იმათს დიდ მოღვაწეობაზე შესახებ მთელის საქართველოს სახლისა გარევნილი ყოფილა ქართულ მატიანეში, რომელსაც ქართლის ცხოვრებად უწოდებენ, ამისთვის ჩვენ ნამდვილი ამბავი ვერა ვცანით. ჩვენ ვწერთ როგორც გვფიქრობთ. ჩვენ აქ საქმის გარემოება ასე შემოგვაქვს, როგორც ამოგვიკითხავს სომხურს წყარო-ებში და ორბელიანთ გვარის ამოწყვეტას ასე წარმო-ვადგენთ, როგორც ნაამბობია მხიტარ ანელის ხანებულ ისტორიაში 1).

---

¹) Hist. de la Siounie, I, 209—212.—Mém. sur l' Arm., II, 57—65. მხიტარი ცხოვრობდა მე-XII საუკ. ამას შეუდგენია თქმულება სომხეთზე, საქართვე-ლოზე და სპარსეთზე, რომელიც საუბედუროდ დაკარგულა და მხოლოდ ზოგიერთის ადგილს ამ თქმულებისას ხვდებიან მო-უღწევია მე-XIV საუკ. მწერლის გარდასაც ისტორიაში. (Hist. de la S., I, 212 n. 2.—Mém. sur l' Arm., I, 201 n. 25).

სტეფანეს თქმულება აქ ჩვენ განგებ გამოვწერეთ თითქმის სიტყვა სიტყვით: როგორც ეს გამონაწერი, აგრეთვე მთელი სიუნის ისტორია ცხადად ჰმოწმობენ ამას წინად ჩვენგან წარმოთქმულს აზრს ქართლის ცხოვრებაზე. რომ სტეფანე ცხოვრობდა მე-XIII საუკ., რომ ის არის ავტორი „სიუნის ისტორიისა", რომ ამ ისტორიას შეუცვლელად მოუღწევია ჩვენამდე, ამაზე ეჭვი არც არა ვის ჰქონია, არც არა ვის აქვს.... სტეფანეს წიგნში მრავალი ფაქტია დიაღ ძვირფასი: ის შინაურს ქართულს ცხოვრებასაც შეეხება და მომატებულის ფაქტებით თვით ქართლის ცხოვრებას ეთანხმება. სტეფანეს მეთორმეტის და მეცამეტის საუკუნის საქართველოს აღწერილამ სჩანს, როგორც ეს ზემოდ მოვიხსენეთ, რომ ქართველებს თავისი არხივები მველადვე ჰქონიათ, რომ ისინი იწოდებოდნენ ხან სამეფო არხივებად, ხან სამღვდელო არხივებად და დავთრებად, სადაც სხვა და სხვა გვარები და მონასტრები ჩაწერილნი ყოფილან. სჩანს აგრეთვე, რომ იმ დროებში და ადრევეც მეფეთ ჩვეულებად ჰქონიათ დიპლომებს დასასხლებულის სოფლებით და ციხეებით

კერძო პირთა საშვილი-შვილოდ 2), და მონასტრებისა 3) გუჯრებით და სიგელებით, რომელნიც მეფეების ბეჭდებით უთუოდან შემოწმებულნი 4); მაშინაც ჰქონიათ დიდებულთ ანუ თავად-აზნაურთ 5) ციხესი-მაგრეები 6) და გვარის სამარხი მონასტრები 7). მაშინაც ჰყოლიათ დიდებულთ აზნაურები 8). მაშინაც იზრდებოდა გვარის ღირსება სისხლით 9), რომელიც ვრცლად არის მოხსენებული ვახტანგის სჯულში.

როგორც ჩვენ ვნახეთ, ორბელიანთ შთამომავლობა, სტეფანეს თქმით, ჩინეთიდამ მომდინარებს. ეს აზრი მი-

---

2) Ibid. 216, 228, 231, 238, 235 —Mém. sur l' Armén. II, 111, 139, 147, 149.

3) Hist. de la Sioun. I, 237.

4) Mém. II, 63, 79, 103, 107, 111, 137.—H. de la S. I, 221, 231.—H. de la Géor., I, 241, 243, 301, 315, 325.

5) Hist. de la Sioun. I, 214 et note.

6) Ibid, 231.

7) Ibid, 215, 233.

8) Mèm., II. 69.

9) Hist. de la Sioun. I, 231.

დებულა ყოფილა საქართველოში 10). თვით სენ-მარტენი ამ აზრისა არის: ამას ამტკიცებს ის თავის მშვენიერს განსილვაში ორბელიანთ გვარის შთამომავლობაზე და სხვა ჩინელთ კოლონიების დამყარებაზე სომხეთში და საქართველოში" რომელიც იმას ჩაურთავს თავის Mémoires-ში, II, 15—55. ქართლის ცხოვრება ორბელიანთ გვარტომობაზე, როგორც ვთქვით, არას ამბობს. ის მოიხსენებს მხოლოდ თურქების მოსვლას საქართველოში, სადაც იმათ ის ამკვიდრებს სარკინეთში. ამ საგანზე უფ. ბროსსე სწერს: „ორბელიანნი არიან მოსულნი იმ მხარიდამ, რომელსაც უწოდებენ სომეხნი ჭენასტანად, სპარსნი ჩინად, ანუ ჩინასტანად; არაბნი სინად, სირიელნი ცინესტანად; ევროპიელნი Chine-ად. აქ ნამდვილი ჩინეთი კი არ იგულისხმება, არამედ ერთი იმ მხარეთაგანი, რომელნიც დასავლეთად მდებარებენ, ესე იგი თურქისტანი, თოხურისტანი და ტრანს-ოქსანი, ჩინეთის ქვეშევრდომნი და ამისგამო სინეთად წოდებულნი. სომხის მწერალნი, რომელთაც უფრო სუსტი ცნობა

---

10) Mém., II., 91.—Hist de la Sioun., I, 215.

ჭქონიათ, ვიდრე მუსულმანის მწერლებს, ზემო აზიის ისტორიაზე, სახელ-წოდებას ჯენისას ანუ ჩანეთისას ავრცელებენ თვით ხაზარეთამდე, რომელიც მდებარებდა მდინარე—ურალის სამხრეთად.

როდის შემოსულან საქართველოში თურქის თავადნი, რომელნიც შემდეგ წოდებულან ორბელიანებად ანუ ჯამბაკურ-ორბელიანებად, ამაზე სწორე ცნობას არც ერთს ისტორიაში არა ვპოულობთ. ეს კია, ნამდვილი გამოკვლეული, რომ მამიკონები მოსულან სომხეთში მე-III საუკუნის ნახევარს ქრისტეს შემდეგ. ორბელიანებზე (თურქებზე) ქართლის ცხოვრების თქმულება ისე ყრუდ არის მოხსენებული, რომ ეს შემოსვლა უნდა მომხდარიყო I-ის საუკუნის შორის ქრისტეს შემდეგ და მე-V ანუ მეVI საუკ. შორის ქრისტეს წინად. არც რიცხვი სახლთა 11); არც რიცხვი გადმოსახლე-

---

11) ვახუშტის ისტორიაში ნაჩვენებია 2,800 სახლი; ქართლის ცხოვრებაში 28; ამ უკანასკნელის რუმიანცოვის დედანში 28,000 (Hist. de la G, I, 30 note 2) სომხური ხრონიკა, რომელიც როგორც მოვიხსენეთ, მე-XIII საუკუნეზე ადრე გადმოწერილია ქართლის ცხოვრებიდამ, ქართლის ცხოვრების თანახმად უჩვენებს 28 სახლს (Chronique armén. Addit. et Éclairciss, 1851, 6).

ბულთა, არც იმათი გზა არ ვიცით. შესაძლებელია, რომ საქართველოს მოაწყდა ორ-გვარი ემიგრაცია თურქებისა ანუ ჩინელებისა: ერთი ჩრდილო-გზით, მეორე კასპიის ზღვით. ეს ამბავი დაშთენილა მხოლოდ ზეპირ-სიტყვიერს გარდამოცემაში. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მესამე საუკუნეში, მაშინ, როდესაც შინაურ აღრეულობას ჩინეთის თურქისტანისას განუდევნია მამიკონები სპარსეთში და შემდეგ სომხეთში, ორბელიანთ წინა-პარნი შემოსულან კასპიის ზღვით და მტკვრით ქართველების ქვეყანაში. შემდეგ თითქმის მთელის ორბელიანთ გვარის ამოწყვეტისა 1177 წელს, თამარ დედოფლის მამის გიორგის მეფობაში, ანუ ამ გვარის აღდგინების დროდამ გიორგი-ლაშას მეფობაში, ორბელიანი იყოფებიან ორ შტოდ: ქართველთ ორბელიანებად და სიუნელთ ორბელიანებად. ამათში მხოლოდ ქართველთ ორბელიანებში სახელ-იწოდებიან ჯამბაკურიანანებად ანუ, უკეთ ვთქვათ, ჯან—ბაკურიანებად, რომლისაც პირველი მარცვალი შეადგენს სომხურის ჩინების სახელს. მეორე ნაწილი კი ამ სიტყვისა, რომლის გამოკვლევა მე ვერ შევიძელ, ასეა განმარტული პროტიესა-

გან იმის საუცხოვო წიგნში Livre de Marco-Polo, p. 452: პოტიეს სიტყვით, ფაგური არის ტიტული სამხრეთ-ჩინეთის მეფისა; ეს სიტყვა წარმომდგარა ბაგანიდამ (богъ რუსული), რომელიც სანსკრიტულ ენაზე ჰნიშნავს უზენაეს არსებას.... ფაგურიდამ შობილა სიტყვა ბაგური და რუსული богдаханъ სხვა არა არის რა, როგორც თარგმანი ჩინურის „ცის-შვილისა". ეს განმარტება, ჩემის აზრით—ასრულებს ბროსსე,—დიაღ საფუძვლიანია.—აქ სიუნის ორბელიანებზე ეს უნდა ვთქვათ, რომ ახლა იმათ უწოდებენ ჟაფლანიანებად, ჟაფლანიშვილებად; ეს სიტყვა წარმომდგარა თურქულის ჟაფლანიდან კი არა (ჟაფლანი—გეფსვია), არამედ სომხურის ჟაფანიდან, რომელიც არის ძველი სახელი ბასკის სამეფოის. 12).

12) Hist. de la Siounie, I, 181.

# IV

სპარსეთის გავლენა საქართველოზე.—მეფე ფარნავაზი.—იმის დროის ბერძნები და სომხეთი.—არშაკიდების დინასტია სომხეთში და საქართველოში.—პონტოს მეფე მითრიდატე დიდი.—მითრიდატე ებრძვის რომაელებს.—რომის მხედართ-მთავარი პომპეი საქართველოში.

სპარსეთის გავლენას მკვლად საქართველოზე ამ გვარად წარმოგვიდგენს ქართლის ცხოვრება. „....განძლიერდეს სპარსნი, ნათესავნი ნებროთისნი და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, აფრიდონ, „რომელმან შეკრა აჟდაჰაკ ბევრასფი, გველთა უფალი და დააბა მთასა ზედა, რომელ არს გარეთ შეუვალი.» ესე ვითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. ამან წარმოგზავნა ქართლსა ერის-თავი თვისი, სჯითა დიდითა, რომელსა ერქვა არდამ, შვილი ნებროთის ნათესავთა... ამან არდამ ერის-თავმან აღაშენა ქალაქი ზღვის-კარს და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების «დახშა კარი,» და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირით. და აქამომდე არ იყო ქართლსა შო-

ნა საქმე ქვით-გირისა. ამის გამო დაისწავლეს ქვით-გირა... და ქრისთავობდა მრავალთა წელთა. ხოლო ოდეს განუყო აზრიდონ ყოველი ქვეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, მასვე ხვდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქვა იარედ. ხოლო შემდგომად აღდამ ქრისთავისა გარდაიცვალნეს ქრისთავნი; მიერიდგან ეცალო იქნეს ძენი აზრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთარს და მოკლეს ორთა ძმათა იარედ ძმა მათი. მაშინ მოკვეს ყამი მარჯვე ქართლოსიანთა.... ბერძენთასა [1]. ხოლო ეგრის წყლის ქვემოთ დარჩათ ბერძენთა. რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა ეზრახნეს ოვსთა, გარდმოიყვანნეს ოსნი და ჭპოვებს ქრის-თავი სპარსა გელსა გარე და გნისობად და

---

[1] აქ ქართლის-ცხოვრების დედნებში აკლია რამდენიმე ფრაზა, რომელიაც ამოვგებ მხოლოდ ხუმაისხუცოვის მეშვეობის დედანში: ,,და შეეწიეს ბერძენნიცა და მოკლეს ქრისთავი სპარსთა და ყოველი მხედრობა მათი გარდაწყვიტეს, და განთავისუფლდა. სპარსთაგან საქართველო, და აქცნდათ მმართებლად მამასახლისნი თვისნი; და იყოფოდეს მეერთებით ყოველნი განზრახვისა და საქმესა შინა." (ქართლ.-ცხოვრ. I, 24, შენიშვნა.)

მოკლეს იგი და განათავისუფლეს ქართველნი. ხოლო რანი და ჰერეთი დარჩა სპარსთა. და შემდგომად ამისსა მრავალთა წელიწადთა, კვალად განძლიერდეს სპარსნი და განდევნეს ძე სპარსთა, რომელსა ერქუა ქეკაპოს. იყო კაცი ვინმე მას ჟამსა ლეკეთს მგრძნობელი, ნათესავი ჩანიხიზსი და მან გრძნებითა თვისითა დააბრმო ქეკაპოს მეფე და სპა მისი, და ვერ შევიდა ლეკეთს: უკ-მოიქცა და მაშინღა განუნათლდა თვალები. ამან ქეკაპოს მეფემ კვალად მოხარკნე ჰყვნა ქართველნი და წარვიდა....

და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა უცალო იქმნა ქეკაპოს მეფე სპარსთა, რამეთუ იყო ბრძოლა თურქთა. პოვეს ჟამი მარჯვე სომეხთა და ქართველთა და განუდგეს სპარსთა და განამაგრეს ციხენი და ქალაქნი მათნი, და შეიერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი. შემდგომად ამისსა რაოდენმე წელიწადთა გამოგზავნა ქექაპოს სპარსთა მეფემან, ძე მისი, რომელსა ერქვა ფარშოროტ, სპითა დიდითა, სომეხთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა ზედა. ხოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი, მიეგებნეს და

ეწყვნეს არდაბადგანსა; სძლეს და ხოცეს ფარშოროტ და მოსპეს სპა მისი. შემდგომად ამისსა მცირედთა წელი-წადთა გვარად მოვზავნა აზნავე ქაგაპოს ძის-წული მისი, ძე შიროშ-ბედნიერისა, რომელი მოიკლა თურქთა, გა-თარცა წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხოვრებასა, არა ყოველი მართალი, არამედ უმრავლესი ტყუილი. წარე-მართა ესე ძე შიომისა, სახელით ქაისოსრო. გარა წი-ნააღუდგნეს მას სომეხნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი, და დაუტევნა ერისთავნი და აღაშენა ადრიადაგანნი სახ-ლი სალოცავი სჯულისა მათისა და წარვიდა“ [1].

ამ ცნობების წყაროდ ქართლის-ცხოვრებას ჰქონ. ა, როგორც თვით ის იტყვის, სპარსეთის ისტორია. ეს ის წყარო უნდა იყოს, რომელსაცა მე-XI საუკ. ქრისტეს შემდეგ სპარსეთის პოეტს ფერდუსის შეუდგენია ევრო-პელთ მეცნიერთაგან კარგად ცნობილი ისტორია სპარ-სეთის მეფეების ანუ შაჰ-ნამე [2]. შაჰ-ნამე და ქართლის

---

1) ქართლ.-ცხ. I, 23—25.

2) ევროპელებს, ბროსეს შაჰ-ნამე თურმე ქართული როს-ტომიანი (ქართლ.-ცხ. 1854, ნაწ II, გვ. XIV). თუ ეს ასეა, კარგი იქნებოდა, რომ ის დაიბეჭდოს.

ცხოვრება თითქმის თანახმად გვიამბობენ ძველს სპარსულ გარდამოცემას. ეს გარდამოცემა არის, ჩვენის აზრით, მალკოლმის სპარსეთის ისტორიაში გარკვეული წიგნი დაბისტანი. დაბისტანს თავის მხრით ხელთ-მძღვანელად ჰქონია ძველი ფეჰლევური მანუსკრიპტი და ზეპირ-სიტყვიერნი გარდამოცემანი, რომელნიც დაბისტანის ავტორისთვის მოჰამედ—ფანისთვის უამბნიათ ზოროასტრიზე წინა-სარწმუნოების აღმსარებელთ. დაბისტანი სპარსეთის ისტორიას უკავშირებს ინდოეთის ისტორიას [1]. აქ სპარსეთის გამოხატულებაში ღირს-შესანიშნავია როგორც ზნეობა და ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა, აგრეთვე იმისი სარწმუნოებრივი წეს-დებულება ზოროასტრის წინად, რომელიც ერთი და იგივე თურმე იყო სპარსეთში და ინდოეთში: როგორც იქ, აგრეთვე აქ ხორცის ჭამება საშინლად აკრძალული ყოფილა [2]. ზოროასტრი ცხოვრობდა მე-XXV—XXVI საუკ.

---

[1] Malcolm, Histoire de la Perse 1821, I, 267—269. იხილე აგრეთვე Langlès, Voyage de Chardin en Perse, Paris, 1811, IV, 256; x, 15[illegible] et suiv.

[2] Hist. de la Perse, I, 273, 282—283.

ქრისტეს წინ. იმისგან შემოღებული აღსარება იყო ცეცხლის თაყვანის-ცემა. [1] საფუძველი ამ აღსარებისა ზოროასტრმა თავდა პირველად დასდო იმ მხარეში, რომელსაც შემდეგ დაერქვა ადერბიდაგანი. (ფეჰლევურს ენაზე azerbijan ჰნიშნავს ცეცხლის სახლს). აქ იყო განთქმული ცეცხლის თაყვანის-საცემი ტაძარი, რომელიც სახელ-იწოდებოდა ადერგოშასპად. აქედამ იმან ის მთელს სპარსეთში გაავრცელა [2]. აქედამვე ცდილობდნენ შემდეგ იმის გავრცელებას თვით სომხეთში და საქართველოში.— დაბისტანი ახლანდელის კაცობრიობის წინა-პარად ჰხადის მაჰ-აბადს, ეგვიპტელების ბელს, ინდოელების ბადისს, რომელიც თავის სახლობით პირველის ციკლის აღსასრულს გადარჩენია და იმის მრავალ-რიცხვს შთამომავალობას ადგილ სადგომად მღვიმეები და კლდეები ჰქონია [3]. ბევრით ადრე ქრისტეს შობამდე, სპარსეთის მეფეს ჯემშიდს, ფეშ-დადიანის დინასტიიდამ, პირველად

[1] Lenorm, Man d' Hist. II, 307.

[2] Hist. de la Perse, I 83—85.—Mém. sur l' Arm II, 192 n a.

[3] Hist. de la Perse, I, 12—14.

დაუყვია სპარსეთის მცხოვრებნი ოთხ წოდებად: პირვე-
ლის კეთილ-მორწმუნენი და სარწმუნოების მიმყოლნი,
რომელთაც ვალად სდებიათ სჯულის მცნება ქრისადმი;
მეორეს მწერალნი: ესენი, თურმე შეადგენდნენ სახელმწი-
ფო რჯულებს და სახელმწიფო ანგარიშს; მესამეს მხედრო-
ბა, მეოთხე-ვაჭრები და მუშა-ხალხი [1]. ეს წესი ჯემ-
შიდს გამოუტანია ინდოეთიდამ [2]. ქართლის-ცხოვრე-
ბაში მოხსენებული აფრიდონ გმირი, რომელსაც «გველ-
-უფალი, ბევრასპ ჯაჭვით შეუკრავს და მთაზე დაუბამს,»
სპარსეთის გარდამოცემით, ყოფილა ჯემშიდის შვილი
ფერიდუნ, ხოლო გველთ უფალი ყოფილა ზოჰაქი, სა-
ხელ-წოდებული აგრეთვე აჟდაჰაკად, ესე იგი დრაკონად [3],
ჩვენებურად, გვქვათ: გველეშაპად. იმ მთას, სადაც ის
შემწყვდეული თურმე იყო, სახელ-სდებენ ილბურზად, თე-
ჰერანის მახლობლად მდებარე მთის ზურგს [4]. ჩვენი აღ-
რიდი არის იარეჯი, ძე ფერიდუნისა [5]. ქეკაოს ლე-

[1] Ibid, 24-25.
[2] Ibid., 270
[3] Mém. sur l' Arm., II. 190 n. a. და b.
[4] Hist. de la Perse, I. 35
[5] Mém. sur l' Arm., II, 190 n. c.

კეთში მგრძნობელისაგან დაბრმავებული არის ქაი-კაოსი ანუ ქიასკარი, რომელიც ცხოვრობდა მე VII საუკ. ქრისტეს მოსვლამდე. ქიასკარი გაემართა მაზენდარანის დასამონავებლად, მაგრამ სეფიდ-დევმა, მაზენდარანის მეფის მოწვევით, ის დააბრმავა და ციხეში დაატუსაღა [1]. —სპარსეთის ისტორიის პირველ-დაწყებაში დევებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ინდოეთის ბრამანები იმათ აღიარებენ ღმერთებად, სპარსები—უკეთურ სულებად. ისინი ცხოვრობდენ კლდეებში და მთებში [2], სახელდობრ კაფის მთაში, რომელიც დედა-მიწის შუა-ადგილას მდებარეობდა და საიდამაც ქვეყანას მოაოხრებდნენ [3].

სპარსეთის გავლენას ქართველების ხასიათზე და ყოფა-ცხოვრებაზედაც უმოქმედნია. მომეტებული ნაწილი სახელებისა, რომელთაც დაბისტანში და შაჰ-ნამეში აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, ესე იგი, როსტომ, მანუჩარ, ქაიხოსრო, ზურაბ, ბარამ და სხ. თვით საქართველოს

---

[1] Ibid. p 191 n. A.—Hist. de la Perse, I, 48—50.

[2] Монс. Хор. Ист. Арм. 256—322.

[3] Hist. de la Perse, I, 115.

-ყველადვე მითვისებული აქვს და აქამომდე იხმარება. უწარჩინებულეთ პირთ შვილების აღზრდა უცხო ოჯახებში ჩვეულებედ ყოფილა სპარსეთში [1]. ეს ჩვეულება მიუღიათ სომხეთშიაც და საქართველოშიაც [2]. ქართულნი წოდებანი, როგორც იმათ სტრაბონი აგვიწერს, ჯემშიდის კასტებს მოგვაგონებენ. სპასპეტი, რომელიც ფარნაოზ მეფის დრომდე მერვე ერისთავად ირიცხებოდა, იყო სპარსული სიპაჰ-ბედი, გადმოთარგმანებით ჩვენ ენაზე მხედართ-წინამძღომელი [3]. ერთგვარი სისხლის სამართალი, რომელსაც ძველად სპარსეთში ვპოულობთ და რომელიც თვით უძველესს ინდოეთის პოემაში რამაიანაშია მოხსენებული და მითვისებული ელლინთაგან, და გერმანიელთაგან, ყოფილა ცეცხლით თავის გამართლება [4]. ეს სამართალი ჩვენც მიგვითვისებია ისე, რომ

[1]. Ibid 55.

[2] Ист. Арм. 294.—Hist de la Géor, I, 48, 84, 290.

[3] Mém. sur l' Arm. I, 298. n. I

[4] Дм. Бакрадзе, Археологическое Путешествіе по Гуріи и Адчарѣ, Спб., 1878, стр. 159—161. Hist. de la Perse, I, 56.

ვახტანგ მეფეს თავის სჯულში ჩაურთავს. ეს არის „მდუღარით ანუ შანთით თავის გამართლება. ძველი საქართველოს სარწმუნოებაც სპარსულის ბეჭდით ყოფილა ალბეჭდილი: ქართლის-ცხოვრების და სომხეთის არმაზი არის სპარსების ორმუზდი, „წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა." ჩვენ გვყოლია სპარსულნი მოგვნი, „მზის მსახურნი." ჩვენის ხალხის წარმოდგენაში აქამომდე გავრცელებულია დევი, რომელიც ამ სახელითვე ისსენიება. აქ მრავალ ზღაპარს საგნად აქვს ელვარე თვალებიანი, მრავალ-თავებიანი გველეშაპი, დაბისტანის ზოჰაქი ანუ დრაკონი, მთაზე დაბმული. ეს ზღაპარი ჩვენ მოგვაგონებს სომხების ლეგენდას არტავაზზე, ქართველების თქმულებას ამირანზე. სპარსულს ზღაპრულ გარდამოცემაში არიმანი ანუ ამირანი იყო მაცდური სული, წინააღმდეგი ორმუზდისა და მეფე დევებისა. ეს ლეგენდა ჩვენში იგივეა ახლა, რაც სომხეთში ყოფილა მე-V საუკ. მოსე ქორენელი ამბობს არტავაზზე: „მოხუცნი დედა-კაცნი იტყვიან, ვითომც არტავაზი რკინის ჯაჭვით შეკრული, შემწყვდეული იყოს კლდის ქვაბში, გა-

თუმც ორი ძაღლი შეუსუსტებლად ჰღრღნიდნენ ჯაჭვს და არტავაზი ცდილობდეს ჰკაბიდამ გამოვიდეს, და ჰქვეყანას ხელთ მიუღოს, ვითომც მჭედლების კვერის დარტყმით ჯაჭვი ისევ ისე მაგრდებოდეს. ამისთვისაც თვით ჩვენ დროს—დაუმატებს ქორენელი—მრავალნი მჭედელნი ამ ლეგენდის მიხედვით სცემენ კვერს სამჭედლოში, რომ არტავაზის ჯაჭვი შემაგრდეს [1]. ეს ლეგენდა ოსებსაცა ჰქვთ. ოსების წარმოდგენით ერთი მძიმედ შეჯაჭვული უფრობილი შემჭვალულია იალბუზის კლდეში და იმის გულ-მუცელს სჭამს ავი ძერა [2]. როგორც სომხური ლეგენდა არტავაზზე და ქართველებისა ამირანზე, აგრეთვე ოსების ზღაპარი წარმოგვიდგენენ ძველს ელლინურს თქმულებას პრომეტეოზზე, რომელიც ელლინების გამოხატულებით ყოფილა ძე იაფეტისა და მამა დევკალიონისა და რომელიც იუპიტერს კავკასზე მიუ-

[1] Исторія Арм., 130.

[2] Дубровина, Исторія войны и владычества русскихъ на Кавказѣ 1871. Спб., I. 326—329. სხვანები ამირანს იცნობენ მოხადირეთ, რომელიც მეგობრულად ყოფილა გამოხული. (Зап. Кавк. отд. Русс. Геогр. общ. кн. VII, Путешествіе Радде, стр. 133).

ლურსმავს და აქ იმისთვის მიუჩენია ძერა იმის გულ-ღვიძლის ამოსაჭმელად. ასე დასუსჯია იუპიტერს პრომეტეოსი ამისთვის, რომ იმას მზისთვის ჩამოუტაცნია ზეციური ცეცხლი, რომელიც ადამიანთათვის მიუცია.

იმ დროს, როდესაც სპარსეთის გავლენა და საბერძნეთის გავლენა საქართველოში ერთი მეორეს ებრძოდნენ, ჩვენ ქვეყანაში, ქართლის ცხოვრების თქმით, პირველად დაფუძნა მეფობა ფარნავაზმა. ფარნავაზი მეფობდა 302 წლიდამ 237 წლამდე ქრისტეს წინ. ვიდრე ფარნავაზი მეფედ დაჯდებოდა, იმან დიდი სამსახური თურმე უყვენა საქართველოს: მოსპო აქ უცხო—ტომთ ბძანებლობა და სრული თავისუფლება მიანიჭა თავის მამულს. ეს უცხო—ტომთ ბძანებლობა შეუდგა საქართველოს დაპყრას ალექსანდრე მაკედონელის მიერ. „ალექსანდრე მაკედონელი, ამბობს ქართლის ცხოვრება, რომელმაც დაიპყრა ყოველნი კიდენ ქვეყნისანი, გამოვიდა დასავლეთით, შევიდა სამხრეთით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდა მოვლნო კავკასზნი და მოვიდა ქართლად. აქ ჰპოვნა ციხე—ქალაქნი შუა ქართლი—სადაც ჰპოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი..., იმან განუყო ლაშქარი თვისი და

ყოველთა ციხე—ქალაქთა მოადგინნა; თვით დადგა მცხე-თას და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოდ და ქვემოდ, და თვით დადგა ქსანსაზედა... მტკვრის—ციხესა და თუხარისსა არა ბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხვანი ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექვსი თვე. ხოლო სარკინელთა თურქთაგანთა აგინეს მეფესა... მაშინ ალექსანდრემ მოიცვა ქალაქი სარკინე და ვერა სადით განერა ერთიცა კაცი... მან მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და დაატყვევნა და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი და დაუტევა მათზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისა, ნათესავი მისი, ქვეყანით მაკედონით. და მისცა ასი ათასი კაცი ქვეყანით რომით, რომელთა ჰქვიან ფროტატოს. ესე ფროტატოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, ჭირთებოდეს ქვეყანასა რომისასა, და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა; და დაუტევა ქართლს ერის—თავად აზონ პატრიკი და მისთანა სპანი იგი მპყრობლად ქართლისა და უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატივსცემდენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა. ხოლო ამან აზონმან მოარღვივნა ზღუ-

დენი ქალაქისა მცხეთისა სათუუმძღლითურთ და დაუტევ-ნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნიც მოხდგმიდეს შორის ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი და ერ-თი ციხე დასასრულსა არმაზის ცხვირისასა, და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა: მეოთხე ციხე დასავლეთ, მცხე-თა მტკვარსა ზედა. და ესენი მოსტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა, და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მო-არღვივნა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ბერდუჯის მდინარიდგან ვიდრე ზღვამდე სპერისა. დაიპყრნა ქართლსა ზედა გურისიცა და მოხარ-გე ჰყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი [1]."

ფარნავაზი იყო მამით ქართველი, შთამომავალი უფროსის მისა მცხეთოსისა, დედით სპარსი ისპაჰანი-დამ; ის იყო ძმის-წული სამარასი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს მამა—სახლობდა მცხეთა-ში და თავის ძმითურთ, ფარნავაზის მამით, მოიკლა ალექსანდრესაგან. სამის წლის ფარნავაზი დედამ შეხ-ხიზნა კავკაზის მთაში და იქ აღზარდა; შემდეგ ისევ

[1] ქართლის-ცხოვრება, I, 27—28.

მცხეთას მიჰმართა. ფარნავაზ იყო გონიერი, შემმართებელი, მხედარი და დახელოვნებული მონადირე. აზონის შიშის გამო ის კაი-ხანი ჰფარავდა თავისს ღირსებას. აზონმა იცნა ფარნავაზი და „შეიყვარა კიდეც იგი მონადირობისათვის." დედა ფარნაოზისა აზონს შიშით უმზერდა და დაიყოლია შვილი, თავის ძმებთან წასვლაზე, ისპაჰანში. თუმცა ფარნავაზს „ჭირ—უჩნდა დატევება საყოფლისა მამათა მისთასა," მაგრამ ერთმა წინასწარ—მაუწყებელმა სიზმარმა სრულებით გაჰფანტა იმისი ნისლით მოცული ფიქრი. „ეს არს—სთქვა იმან—მე წარვალ ასპანს და მუნ სიკეთესა მოვეცემი." ამ ჟამად, როდესაც ის მარტო ნადირობდა დილმის ველში და ისრით დაჰკოდილს ირემს სდევნიდა, ფარნავაზი მიაწყდა, მწუხრის დროს, ერთს ძველადვე ქვით ამოქოლილს კლდის—ქვაბს. ფარნაოზმა გამოაღვია კარი და შევიდა შიგნით. აქ ჰპოვა „მიუწდომელი განძი, ოქრო—ვერცხლი და სამსახურებელი, ოქროსი და ვერცხლისა მიუწდომელი," განცვიფრებულმა ფარნავაზმა მოიგონა თავისი სიზმარი და აცნობა დედას ორის დითურთ. მოვიდნენ სამნივე ღამე სახედრებით და ჯორჯლებით, ჭიწყეს

განძის გამოღებაჲ? გათხრისას კვალად აღმოჩნდიან კარი ქვაბისა მის და ეგრეთ გამოკრიბეს იგი ხუთ დამეს და დაიგულეს სიმარჯვესა მათსა."

მაშინ ფარნავაზმა წარუგზავნა მონა ეგრისის მთავრობელს ქუჯს: „მე ვარ — შეუთვალა ქუჯს — ნათესავი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა, და ძმის — წული სამარა მამასახლისისა; და არს ჩემთან ხვასტაგი დიდ — ძალი; აწ ინებე რათა მით ხვასტაგითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩვენ ძმა, და ვიხმაროთ ხვასტაგი იგი ორთავე: გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონს ერის — თავს და სვემან ჩვენმან გვიცეს ჩვენ ძლევა კეთილი." მიწყნული ფარნავაზი ფარულად გაეგზავნა დედით და დებით, და თან წაიღო განძი. შემდეგ რჩევისა, ფარნავაზმა მოიწვია ოს — ლეკნი, რომელნიც მტრობით შესცქეროდნენ აზონს ხარკის გამო; შემოიკრიბა ეგრისით ურიცხვი სპა და გაელაშქრა. „აზონმაც მოიწვია თავისი სპა; შემოიკრიბა ათ-ასი რჩეული რომთაგანნი, რომელთა ბოროტი წაეკიდებოდა აზონისგან; განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს: თვით სპანი, რომელ დარჩენილ იყვნეს, ვერდ-

რა მიენდო მათ, რამეთუ ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა. ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი, და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა."—მეორე წელს აზონი საბერძნეთით მოწვეულის ახალის სპით გაელაშქრა ფარნავაზზე. ფარნავაზმა ქუჯისა, ოსებისა და ანტიოქოზის სომეხთ ერისთავთ შეწევნით სრულებით სძლია ბერძნებს არტანის ნაქალაქევს, „რომელსა ერქვა ქაჯთა—ქალაქი, რომელ არს ჭური." აზონი მოიკლა; ურიცხვი მისი სპა მოისრა და დატყვევებულ იქმნა. ფარნავაზმა წარმოსტყვენა საზღვარი საბერძნეთისა, და დაიპყრა კლარჯეთი, შემოვიდა მცხეთას დიდის სიხარულით, და სიმდიდრესა მისსა ზედა დაერთო ხვასტაგი აზონისაცა და იქმნა სიმდიდრე გარდარეული."

«განამრავლნა ფარნავაზ ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერის-თავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვის ერის-თავად, და მისცა მცირით მთიდგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღვამდე, რიონს

ზემოთ. ამანვე ფარნავაზ აღუშენნა ორნი ციხენი, შო-
რაპანი და დიმნა. მეორე გაგზავნა კახეთისა ერის-თავად,
და მისცა არაგვითგან ვიდრე ჴერეთამდე, რომელ არს
კახეთი და კუხეთი. მესამე გაგზავნა ხუნანისა ერის-თა-
ვად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტბილი-
სამდე და გაჩიანამდის, რომელ არს გარდაბანი. მეოთხე
გაგზავნა სამშვილდეს ერის-თავად, და მისცა სკვირეთი-
სა მდინარიდგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და
აბოცი. მეხუთე გაგზავნა წუნდას ერის-თავად, და ფანა-
ვარითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, რომელ არს ჯავა-
ხეთი, კოლა და არტანი. მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერის-
თავად, და მისცა ტაშის-კარიდგან ვიდრე არსიანთამდის
ნოსტის თავითგან ზღვამდის, რომელ არს სამცხე და
აჭარა. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად, და
მისცა არსიანითგან ვიდრე ზღვამდე, და ქუჯი იყო ერის-
თავი. მერვე დაადგინა სპასპეტად და მისცა ტბილისიდგან
და არაგვიდგან ვიდრე ტაშის-კარამდე და ფანავარამდე,
რომელ არს შიდა-ქართლი. ესე სპასპეტი ყოვლადვე წი-
ნაშე მეფისა მთავრობდის, განაგებდის ყოველთა ერის-
თავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქვეშე ადგილთა

და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათ-ასის თავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდა ხარკი სამეფო და საერისთავო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ, მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა. ფარნავაზმა მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი, მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი მოოხრებულნი ალექსანდრესაგან, და მან აღაშენა იგინი, და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა ფარნავაზისა ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს იგინი უფლისგან რომთასა. ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესე არს არმაზი და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურები დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა. ოც და-შვიდის წლისა მეფე იქმნა და სამოც-და-ხუთის წელს მეფობდა ნებიერად და მსახურებდა იგი ანტიოქოსსა, მეფესა ასურასტანისასა. ყოველნი დღენი მისნი, რაი დაჰყო, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი სოფლო თუენი გაზაფხულისანი და სთვლისი არის-ნა დაყვნის მცხეთას სამე-

ფოსა, და თუენი ზამთრისანი დაყგნის გაჩიანთა; ხოლო თუენი ზაფხულისანი წუნდას; და ყამითი-ყამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე დაშლილი. ხოლო რომნი იგი ათ-ასნი მხედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, იგინი განჰყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისა მხნედ იქმნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაური [1].

ჩვენ მკითხველს ყოველთვის თვალ წინ უნდა ჰქონდეს, რომ ძველს თქმულებაში ნამდვილი შემთხვევა და ზღაპრული ამბავი ერთმანეთში არეულია. ამ აზრს ცხადად ჰმოწმობს ის ფაქტები, რომელნიც საქართველოს ისტორიის პირველ-დაწყებაში გამოვიკვლიეთ. ამ აზრსვე ამტკიცებს ქართლის-ცხოვრების სურათი ალექსანდრე მაკედონელისა და თვით ფარნავაზ მეფისა.—არ არის თითქმის არც ერთი ტომი აზიაში, რომ ალექსანდრეს ანუ ისკანდერს არ იხსენიებდეს თავის მატიანეში. ქართ-

---

[1]) ქართლ.-ცხ. I, 28—32.

დის ცხოვრების სიტყვით, მთელი კავკასიის სამხრე—მხარეები დაიპყრა თვით ალექსანდრემ, თუმცა ამ საგანზე არც კვინტე კურცი, არც არრიანი სრულებით არას ამბობენ [1]. საიდამ და როგორ მიუთვისებიათ ქართველებს ეს თქმულება, ჩვენ არ ვიცით. უეჭველია მხოლოდ, რომ ჩვენ ტომში ის ძველადვე გავრცელებული. მეექვსე საუკ. იოანე ზედაძნელი, შიო მღვიმელის ცხოვრებაში ალექსანდრეს უწოდებს საქართველოში დარწმუნებით იტყვის [2]. ამასაც ამბობენ, ვითომც ალექსანდრეს მთელი ხმელეთი დაეპყრას ქართველების შემწეობით. მეთორმეტე საუკ. დავით აღმაშენებლის ბიოგრაფი ჩამოსთვლის სხვა და სხვა მხარეს, რომელიც მაკედონელს დაუპყრია და დასასრულ ამბობს: „მან მოკლო ყოველი ქვეყანა და ქმნა რა იგი ქმნა და თუ არა ქართველითა სპითა ვერცარა ალექსანდრე იქმოდა კარგსა“ [3]. ალექსანდრეს ცხოვრებას, იმისი მოღვაწეობა, ყოველივე იმისი ფესვს გ-

[1] Dubois, Vojage, II, 31.
[2] Hist de la Géor., I, 33 n 6.
[3] ქართლის ცხოვ. I, გვ 260.

დადგმა დაწვრილებით არის გამოკვლეული, და თუმცა ჩვენ მხარეში ის არ ყოფილა, მაგრამ შემდეგი ფაქტე-ბიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ალექსანდრემ დაი-მონავა მეომარნი ტომნი, რომელნიც კასპიის ზღვის სამხრეთად ცხოვრობდნენ მთებში და აქ გასჭრა გზები, რომლითაც უნდოდა დაეკავშირებინა ერთი მეორესთან საშუალო აზიის აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდი-ლოეთი და სამხრეთი [1]. მცირე—აზიაში ალექსანდრემ გაჰკვეთა თავრის მთა, დაიპყრა სხვათა შორის კილიკია და შეკრიბა კილიკიის ქალაქში ტარსში [2]; დაიპყრა აგრე-თვე ბერძნების კოლონია მილეტი, რომელსაც ეპყრა შავის ზღვის პირად გაშენებული კოლონიები [3]. ალექსან-დრემ გაგზავნა, სტრაბონის სიტყვით, თავისი მხედართ-უფროსი მემნონი ისპირატის ოქროს მადნის დასაჭერად ჰისპირატიდა ქსალიან ჭოროხის ხეობის ისპირს, სადაც აქამომდე სხვა და სხვა მადნები თურმე იპოვება [4]. გარდა-

[1] Шлоссера, Всемiрная Исторiя, 1861, II, 344—345

[2] V. S—Mart., Hist. des découv géogr. II, p. 343

[3] Ibid. II, 340.

[4] S—Mart., Mém. sur l' Arm., I, 69.

ამისა, ქვეყანის საზღვრად კასპიის ზღვაზე იყო განსაკუთრებით მიქცეული ალექსანდრეს ყურადღება. იმ დროს ფიქრობდნენ, ვითომც კასპიის ზღვა შეადგენდა ჩრდილო-ოკეანის ნაწილს და ალექსანდრეს ჰსურდა გამოეკვლია იმისი ნაპირები და სავაჭრო გზები გაეხსნა იმის მოსაზღვრე ტომებში. იმან გაიჩინა კასპიის ზღვაზე ფლოტი, რომელსაც უნდა შეეტყო დაკავშირებულია თუ არა კასპიის ზღვა ოკეანთან შავის ზღვის შემწეობით და ანუ სხვა ზღვეების შუამავლობით ინდოეთთან. ამ გვარად მოიყვანეს ცნობაში ჯერ კასპიის ზღვის სამხრეთი ნაპირები, შემდეგ აღმოსავლეთი კიდეები იაქსარტის მდინარემდე, მასუკან დასავლეთი ნაპირები საფობანისმდე ანუ დერბენტამდე, რომლის დაფუძნებასაც ზოგნი ალექსანდრეს მიაწერენ და თვით ადგილობრივი თქმულება დერბენტის ძველს ზღუდეს აქამომდე ალექსანდრეს სახელს უწოდს [1].

---

[1] Montesqieu, Esprit des Iois, 1860, p. 283—297. Кн. Баратова, Исторія Грузіи, тетрадь первая. 1865 г., 22—23.

შემდეგ ამისა შესაძლებელია სომხეთისა და საქართველოს დაჭერა ალექსანდრეს ჯარისაგან და არა თვით ალექსანდრესაგან. ამის დასამტკიცებლად ბროსსე უჩვენებს ფრანციზულის ქართლის-ცხოვრების შენიშვნაში სომხურს ენაზე ბერძნულისა და ლათინურის წყაროებიდამ შედგენილს ალექსანდრეს ცხოვრებას, რომელიც ვენეციაში გამოუციათ 1842 წელს. ამ წიგნში ალექსანდრე სწერს თავის დედას ოლიმპიადას: „..... აქედამ ჩვენ გავემგზავრენით და მივადექით კლდე ქვაბებს, სადაც მე გამოვაჭრევინე სახსოვრად როგორათაც ჩემი სახელი, და სახელები ჩემგან დამონავებულის ბესსისა, არივარდანის და მაზაკის მეფეებისა, აგრეთვე სახელები მეფეებისა მარსთა, სომეხთა, იბერთა და ყოველთა სპარსთა, რომელთაც დიდი დარიოსი ბრძანებლობდა[1]. სომხეთის დაჭერა ალექსანდრესაგან სომხას

[1] Hist de la Géor I, 35 note 6. გარდა ამისა მარ-აბას გადმოცემა მოგვითხრობს, ვითომც დარიოსის საფლავის მიტრიდატის (მირდატის) შთამომავალნი გუშარეანნი ალექსანდრეს დაედგინოს [illegible] ამ [illegible] რომელნიც მაგის [illegible] სახლობდნენ. Langlois, Collect. I, 49—50.

მატიანეს სიტყვით უეჭველი საქმეა. იმის თქმით სომხის მეფე ვაჰე, ძე ვანისა, უკანასკნელი ჰაოსის სახლის წევრი, მოიკლა, როდესაც ის ალექსანდრეს ებრძოდა და ალექსანდრემ თავის მოადგილედ სომხეთში დანიშნა სპარსი მითრანესზი[1]. ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრე ყველა იმისგან დამონავებულს მხარეებში თავის მოადგილეებს ჰნიშნავდა[2]. — მაშასადამე სომხეთის მატიანეს თქმულება, რომელსაც ჩვენ აქ ვუჩვენებთ, სიმართლეზე ახლოა.... რაც ალექსანდრესაგან სომხეთის შემოსევა, იგივე უნდა შემთხვევიყო თვით საქართველოს. ამაში ჩვენ ეჭვი არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ქართლის-ცხოვრების აზონი ეჭვ ქვეშ გვყავს. აზონი მოგვაგონებს იმ იაზონს, რომელიც ზღაპრულს დროებაში არგონავტების ხომალდით კოლხიდაში შემოსულა. ამითი ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ალექსანდრეს არა ჰყოლოდეს თავისი მოადგილე საქართველოში, როგორც სომხეთში, როგორც სხვაგან. ამას დავუმატავთ აქ, რომ აზონ ერქვა იმას თუ არა, ეს

---

1 S—Mart., Mém. sur l' Arm. I, 285—286.

2 Шлоссера, Всемірн. Исторія, II, 348.

სულ ყრთია. თვით იმის მოქმედებაში, როგორც ამას ქართლის-ცხოვრება გვიამბობს, ისტორიულ წინაადმდეგობას ჩვენ არა ვხედავთ. აზონის პატრიკიობა და ასი ათასის ჯარის მიცემა იმისთვის ალექსანდრესაგან გი ცრუ-თქმულებაა: პატრიკიობა ჯერ არ იყო: ეს მოხელეობა ეკუთვნის რომაის იმპერიის უკანასკნელს დროებს; ის შემოდის კონსტანტინე იმპერატორის დროს მე-IV საუკუნის დამდეგს ქრისტეს შობის შემდეგ [1]. და თვით ჩვენში პირველად პატრიკად იხსენიება მთავარი სტეფანოსი [2]. იყვნენ თუ არა ალექსანდრეს სამსახურში რომაელნი, ჩვენ არ ვიცით. ასი ათასის ჯარის მიცემა აზო-

---

[1] Hist de la Géor. I, 35 n. 6. Littré, Dictionnaire de la langue française, p. 1008.

[2] Hist de la Géor. I. სტეფანოსს პატრიკად მოიხსენებს წარწერა ჯვარის მონასტრის მცხეთის მახლობლად. Barthol., Lettres numism., 48, planche III.—ეს შემოხვევა გვარწმუნებს, რომ ჩვენი მატიანე ალექსანდრე მაკედონელზე უნდა იყოს შეცდომილი ან სტეფანოსის დროს, ან შემდეგ როდესაც პატრიკობის ხმარება საქართველოში თითქმის ჩვეულებად შემოდის.

ნისთვის ალექსანდრეს არ შეეძლო მაშინ, როდესაც თვითონაც სპარსეთთან საომრად საბერძნეთიდამ გამოვიდა 34 ათასის ქვეითის ჯარით და 4 ათასის ცხენოსნის მხედრობით[1].

თვით ფარნავაზ მეფეზე ჩვენ არ შეგვიძლიან დაჭეშმარიტებით ვთქვათ, ნამდვილი ისტორიული პირია ის თუ არა. ჩვენ ამაზე გარდა ქართლის-ცხოვრებისა სხვა დასამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს, თუმცა ჩვენ ჩვენის მხრით არ ვეჭვნეულობთ იმის სინამდვილეზე. ფარნავაზად სახელ-წოდებულნი პირნი იხსენებიან როგორათაც ბერძნულს მატიანეში [2], აგრეთვე სომხის ისტორიაში. ეს უკანასკნელი ჰაოსიანთ დინასტიის მეფეების რიცხვში უჩვენებს ორს ფარნავაზს: პირველი მეფობდა მე-VII საუკ., მეორე მე-V საუკ. გასულს ქრისტეს წინად [3]. ჩვენ ვეჭვნეულობთ საქართველოს ფარნა-

---

[1] Дрепера, Исторiя умст. разв. Европы, I.146

[2] Plutarque, Vie des hommes illustrs. Paris, 1858, IV, 438, 442, 480.

[3] Hist. de la Géor. I, 37 n. I. Mém sur l' Arm. I, 408. ლანგლუა ფიქრობს, რომ ფსევდო-ისტორიკოსისაგან ხსენებული ფარნავაზი, რომელიც ნაბუქოდონოსორის [illegible], უნდა იყოს ქართველების ფარნავაზი. Collect, I, 198.

გაზისაგან შემოტანილს წეს-დებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როგორც სამოქალაქო და სამხედრო წყობილება, როგორც სარწმუნოების რიგი, თვით კერპი არმაზი ძველადვე უნდა იყვნენ დამყარებულნი ჩვენ ქვეყანაში. ასეა ყველა ტომის ისტორიაში, რომ ერთს დროს და ერთს რომელსამე ზღაპრულს თუ ისტორიულ პირს ხალხის თქმულება მიაწერს სხვა და სხვა დროს მიღებულს მოქმედებას, სხვა და სხვა პირთ მოღვაწეობას. მოვიგონოთ ქართული მხედრული: ქართლის-ცხოვრების თქმით მხედრული შემოღებულია ფარნავაზისაგან, თუმცა ჩვენ ზემოდ წარმოვთქვით ჩვენი აზრი, რომ ის ფარნავაზზე ბევრით გვიან შემოდის ხმარებაში. განსაკუთრებითი ყურადღება ახალ მეცნიერთაგან მიქცეული ფარნავაზის ცხოვრებაში მოხსენებულს დიღმის კლდე-ქვაბში ნაპოვნს ხვასტაკზე. ფარნავაზ ასე შეუთვლის ქუჯს: „და არს ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი, გიხმართ ხვასტაგი იგი ორთავე.“ ქუჯი უპასუხებს: „ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა და ხვასტაგებითა შენითა განგვიმრავლე სპასი შენი[1].“

[1] ქართლის-ცხოვრება, I გვ. 30.

სომხურს ქრონიკაში, რომელიც, როგორც გვითქვამს, ქართლის-ცხოვრებიდამ არის ძველადვე გამოწერილი, ნათქვამია: „არის ჩემ-თანა დიდძალი ვერძი... ვერძით შენით განვამრავლოთ საჴანი“ [1]. ევროპიელნი ნუმიზმატნი, რომელნიც ძველის ქართულის მანეთების განხილვაში შესულან, ამტკიცებენ, ვითომც ხვასტაგად იგულისხმებოდა ვერცხლის ფული [2]; ვითომც ახლაც მთიულნი ქართველნი ხვასტაგად ფულს უწოდებენ. საქართველოში დროითი დრომდე ჩვენ გვპოულობთ სხვა-და სხვა გვარ მანეთებს: იმათში უმეტესია ათინაში მოჭედილი მანეთები, რომელთაც ეწოდება დარიქი, დრაჰმა და

---

[1] Chronique armén. Addit. et Eclaircis., 1851, p. 8.

[2] ამ აზრს ეწინააღმდეგება როგორც ქართლის-ცხოვრება (ქართლის-ცხოვრება I, 48), აგრეთვე ახალი არქეოლოგიური გამოკვლევა, რადგანაც სულ ძველად ალებ-მიცემობაში ფულის მაგიერ იხმარებოდა ცხვარი საქონელი; ამისაგან წარმომდგარა ფულის მნიშვნელობის ლათინური სიტყვა pecunia (Diction. des antiq. qrecques et romaines, 454—455). ახლა აგრეთვე ლათინურ ენ. ბიბლიაში Liber Génesis, XXIII, 9, 13.

ოქროთი დრაქმა; ვპოულობთ აგრეთვე ალექსანდრე მაკე-დონელის მანეთებს. უმრავლესი ძველ მანეთებში არის პატარა ვერცხლის ფული, რომელსაც კოლხიდის მანეთს უწოდებენ: ერთს იმის მხარეზეა გამოჭრილი დედაკაცის თავი ეგვიპტურის თავ-სახურით, მეორეზეა ხარის თავი. წარწერა იმას აქვს ბერძნულად: მო(მოსხოსი (?) სხვა მა-ნეთების წარწერა არის: დიოსკურია, კოლხიდა... ამტ-კიცებენ, რომ ფარნავაზის დროს და წინათაც საქართვე-ლოს თავისი მანეთები არა ჰქონია, რომ აქ იხმარებოდა ბერძნული მანეთები, რომელნიც შავის ზღვის პირზე მოთესლეს კოლონიებში იჭედებოდნენ. ამ მანათებთაგანი თურმე იყო ფარნავაზის ჩვასტაგი [1].

ღირს საცნობელი ფარნავაზის ცხოვრებაში საგანია საქართველოს დაყოფა საერისთავოებად, რომელიც, ქარ-თლის-ცხოვრების თქმით იყო ცხრა და ვახუშტის შე-მოწმებით ათი [2]. ამ შემთხვევაში ქართლის-ცხოვრება

---

[1] Brosset, Revue de numismatique géorgienne. Spb., 1847, 15 –16. Lanqlois, Essai de classification des suites monét. de la Géorgie, 1860 11—13 Mél Asiat., IV, livr. 2, 160—161.

[2] Hist. de la Geor. I, 42 n 2.

სრულებით ეთანხმება ჩვენის ტომის გეოგრაფიულს და ეთნოგრაფიულს დანაწილებას, ამ ბუნებითს თვისებაზე იყო შემდეგშიაც დაარსებული საქართველოს პოლიტიკური და შინაგანი დაყოფა... შემდეგ, როგორც ამას თავის ადგილს ვუჩვენებთ, საერისთავოები უფრო და უფრო დამყარდა, რიცხვი იმათი გამრავლდა. პირველ ერისთავად ანუ სპასპეტად ყოველთვის იყო ქართლის-ერისთავი, რომელიც განაგებდა ეგრისის საზღვარს აქეთ, ესე იგი „ტაშის-კარისა, ფარავნისა და ლიხის მთას შუავით არაგვ-თფილისამდე [1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მგელადვე უნდა იყოს მთელი საქართველო დაყოფილი ოთხ სადროშოდ, რომელსაც ვახუშტი მოიხსენებს თავის გეოგრაფიაში. იმის სიტყვით „წინა მებრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხის-ჯავრელნი და ახალ-ციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითის რომელნი ეპყრათ. ხოლო მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ იქითი აფხაზ-ჯიქეთურთ. ხოლო

[1] Hist. de la Geor., I, 42. ვახუშტის გეოგრაფ. აღწერა. საქართველ., 276.

მემარცხნეთ მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ჭკრ-გასნი. ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი კპყრნენ მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა-რიგ მიიყვანიან, ვითარ ამჟობინის მეფე ანუ სპასალარი [1]." იმ დროს, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, ქართლის-ცხოვრების თქმით, ქართველებად იწოდებიან აწინდელნი მესხნი, ქართლელნი და კახელნი. იმერეთის სახელი ჯერ არ არის ხმარებაში. სიტყვა ლიხთ-იმერი, ლიხთ-ამერი, ანუ იმერნი და ამერნი პირველად იხმარება მე-XII საუკ. გიორგი მეფის დროს [2]. ისინი იწოდებიან ხან ეგრისელებად, ხან მეგრელებად. მესხი თუმცა იხსენიება, მაგრამ ჯერ ისიც საზოგადოდ არ იხმარება [3]. ლაზნი ანუ ჭანნი ამ სახელითვე არიან ძველადვე ცნობილნი; ტრაპიზონი, ქართლის-ცხოვრების თქმით, იყო დასახლებული მეგრელთაგან, ესე იგი აწინდელთა ჭანთაგან, რომელნიც მეგრელ-

---

[1] იქვე, 34.

[2] Hist. de la Géor. I, 388.

[3] Ibid 56, 59, 61, 69, 74, 264.

ნივე არიან [1]. სუანეთი სვანეთადვე იხსენება. სვანეთი შეადგენდა სამთავრობულოს ეგრისის მთავრისასა. ანდრია მოციქულის დროს აქ მთავრობდა დედა-კაცი [2]. საზოგადოდ უნდა ვიქვსთ, რომ ახლანდელი ქართლი ძველ დროს იწოდება შიდა-ქართლად, შიდა-ქალაქად, ზედა-სოფლად. შემდეგ იხმარება: ზემო-ქვეყანა, ქვემო-ქვეყანა. პირველი ჰნიშნავდა მთელ ქართლს, რომელიც ბოლოს ზემო-ქართლად და ქვემო-ქართლად დაიყო; მეორე ჰნიშნავდა იმერეთს სამეგრელოითურთ [3].—ფარნავაზის დროს მოხსენებულნი „ოთხნი ციხენი, რომელნიც მოსდებმიდეს პირსა ქართლისასა," როგორც ბროსსეს საფუძვლიანად შეუნიშნავს, არიან ოთხნი საქართველოს შესავალნი ყოპანი [4], რომელთაც თვით სტრაბონი აგვიწერს და რომელნიც ჩვენ ამას წინად ვრცლად გამოვიკვლიეთ. ქართლის-ცხოვრების თქმულება, ვითომც — ქართული აზნაური წარმომდგარიყოს აზონის სახელისაგან, ცრუ-

[1] Ibid 101, 264, 307.

[2] Ibid 40, 44, 61, 183.

[3] Ibid, 42, 64, 65, 71. 204, 248, 301, 311 n 5.

[4] Ibid., 34 n. 5.

თქმულებაა. ახლა გამოკვლეულია, რომ ამ სიტყვის ნამდვილი ფესვი არის სომხური აზნივ-განთქმული, განვითარებული, აზნოვაკან-კეთილ შობილი [1]. ამისთვისაც სიტყვა აზნაური თვით ქართულს სამღვთო-წერილს ენაზე ჰნიშნავს თავისუფალს [2], როგორც სომხურს ენაზე აზატი [3].

აქ არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ ის დამოკიდებულობა, რომელიც საქართველოს ფარნავაზის დროს და შემდეგ ჰქონდა ბერძნებთან და სირიის მეფეებთან. ჩვენ კიდეც ვიცით ბერძნების წყაროებიდამ, რომ ძველადვე ბერძნებს ეჭირათ მთელი შავის-ზღვის პირები, რომ საქართველოს მხრივ იმათ კოლონიებს შეადგენდნენ ფაზისი, ჰერაკლეა, დიოსკურია, ტორიკოსი, ბატა და სხ. ბერძნების ცნობას ამ საგანზე ქართლის-ცხოვრებაც ეთანხმება. ვნახოთ რას ამბობს ის ნამდვილ

[1] S-Mart., Mém. sur l' Arm. II, 200 n. 1. Hist de la Géor II, Introd. et tables, XXIV.

[2] ქართ. ცხოვ. III, 8.

[3] Исторія Арменіи, 313.

სულ მკვლად იმას ქართლის-ცხოვრება მოიხსენებს ბევ-რით ადრე ფარნავაზზე, როდესაც ქართლოსიანნი სპარ-სეთის გავლენას ებრძვიან. იმასვე უჩვენებს ის შემდეგაც. მკვლად სპარსებთან ბრძოლაში, ქართლის ცხოვრების თქმით, „შეეწიეს ბერძენნი ქართლოსიანთა და მოკლეს ერის-თავი სპარსთა... ხოლო ეგრის წყლის ქვემოდ დარ-ჩათ ბერძენთა." ფარნავაზმა აზონის დამარცხების შემ-დეგ „მოსტყუენა საზღვარი საბერძნეთისა და დაიპყრა კლარჯეთი... ხოლო ეგრისის წყალს ქვემოდ დარჩათ ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებ-ბეს გარდგომა ბერძენთა[1]. გარზა-ბაქარის დროს, რო-მელიც მეფობდა მე-IV საუკ. გასულს და რომელიცა იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა.... განუდგეს მას კლარ-ჯნი და მიერთვნეს ბერძენთა და: დაჰპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვიდგან არსიანთამ-დე და დარჩა გარზა—ბაქარს ქართლი, თვინიერ კლარ-ჯეთისა, და ჭყრეთი და ეგრისი[2]." „მირდატ მეფე

---

[1] ქართლ.-ცხოვრ. I, 310.

[2] იქვე, გვ. 105—106.

(408—410) ბერძენთაგან ემიებდა კლარჯეთს, საზღვართა ქართლისათა[1], ვახტანგ გორგასლანის მეფობაში (446—499) „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის წყალს ქვემოდ კერძი ყოველი, დაიმყრეს ქვემოდ ეგრის წყლიდგან ვიდრე ციხე—გოჯამდე[2]... „და უკუ—სცა კეისარმან საზღვარი ქართლისანი, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვიდგან ვიდრე არსიანთამდე და ხევნი, რომელნი მოსდგანან ლადოთა: და გამოიყვანა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქვეყანა ზღვის პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და ჰრქვა: ესე ეგრის წყლიდგან ვიდრე მდინარემდე მცირისა—ხაზარეთისა, ესე საზღვარი არს საბერძნეთისა, ალექსანდრობიდგან, რომელი აწ შენ მოგიღია მკლავითა ჩვენგან. აწ იგი უკუ—მომეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩვენსა, მაშინ მოგცე მისგან ქვეყანა, და დაუწერა ეგრის—წყალსა და კლისურსა შუა ქვეყანაი. ზღვითკერძ და სხვაი აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ

[1] იქვე, გვ. 107.
[2] იქვე, გვ. 112.

ბერძენთა“ [1]. ადარნასეს დროს (919 – 939) „ქვაბლად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა [2].“

ბერძნების თქმულებას რომ არ მოეღწია ჩვენამდე იმათ კოლონიებზე შავის ზღვის პირად, მაშინაც აქ ქართლის—ცხოვრების ცნობებზე ეჭვი არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა ამიტომ, რომ აქამომდე დაცული ადგილობრივ ძველი ნანგრევები ჰმოწმობენ ქართლის—ცხოვრების ნაამბობს. ეს ნანგრევები ჩვენ ამას წინათაც მოვიხსენეთ: ისინი არიან გაბნეულნი აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და თვით ზემო—იმერეთში. ისინივე ამტკიცებენ ბერძნების ხან—გრძლივს მფლობელობას შავის ზღვის პირად. კლარჯეთი და მთელი მხარე ეგრისის (ენგურის) წყალს ქვემოდ ვიდრე მდინარემდე მცირე—ხაზარეთისა (ყუბანისა) შეადგენდნენ ზღვის პირა ადგილებს, ბერძნების სამფლობელოს. გახუშტის თქმით,

---

[1] იქვე, გვ. 132.

[2] ქართ.-ცხ., გვ. 168.

კლარჯეთს ჰსაზღვრავდა: აღმოსავლით მთა, რომელი განსწვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა ზღვამდე, სამხრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა, დასავლით მთა აზრუმ—ბასიანს შორის განწვლილი ზღვამდე და ჩრდილოთ შავი ზღვა. არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფოჩრხა, ბაიბურდი და ჭანეთი. უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე. გარნა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან—ღრანტო—ღრილოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან. რამეთუ მთა—ბარი ახლოარებს კარეთ, ყამისა ანუ ნახევარ—ყამისა საყალსა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის—ხილი და ყოველნი ნაყოფნი"[1]. აქედამ სჩანს, რომ კლარჯეთს ჰსაზღვრავდნენ ერთის მხრით მდინარე ჭოროხი, მეორეს მხრით შავი ზღვა, არც ქართლოსის დროს, არც შემდეგ, როდესაც საქართველო ორჯელ დაიყო, ვიდრე ფარნავაზამდე, კლარჯეთი არ არის მოხსენებული საქართველოს სამფლობელოდ [2]. კლარჯეთის

---

[1] ვახუშტ., გეოგრაფ. აღწ. საქართ. გვ. 72.

[2] ვახუშტ. გეოგრ. გვ. 72 Hist. de la Géor., I, p. 39 n. 1.

საზღვრიდამ ეგრისამდე მდებარეებს რამოდენიმე სივრცე, რომელიც არ არის ბერძნების ხელში ნაჩვენები ქართლის-ცხოვრებისაგან, მაგრამ უეჭველია, ისიც იმათ ეჭირათ; ამ სივრცეზე იყო იმათი კოლონია ფაზისი. დროითი დრომდე გხედავთ, რომ ბერძნებს თავისა მფლობელობა შორის შეაქვთ საქართველოშია; ერთის მხრით არსიანთამდე, რომელიც მდებარეობდა მაგმეთისა და ყველის შორის[1], მეორის მხრით ციხე—გოჯამდე (ანუ ქუჯის—ციხემდე), რომელიც იყო აწინდელი ნაქალაქევი [2], და ლადოსა ანუ ფერსათის მთამდე. როდესაც შემთხვევას მოუღობდნენ ქართველები, ისინი ყოველთვის ებრძოდნენ ბერძნებს თავიანთ საზღვრების გამო. ესეც არ უნდა დავივიწყოთ აქ, რომ ქართველების დამოკიდებულობა ბერძნებთან საზოგადოდ კეთილი დამოკიდებულობა იყო. ისინი ერთმანეთთან მშვიდობიანათ იყვნენ. ეს სჩანს თვით ქართლის—ცხოვრებიდამ: ბერძნები შეეწეობას აძლევდნენ იმათ მეფეებს სპარსების წინაამდეგ; ფარნავაზის დროს ეგ-

---

[1] ვახუშტ. გეოგ. გვ. 94

[2] Hist de la Géor., I, p 150 ი 3.

რისის მცხოვრებნი უარ-ჰყოფენ კავშირის მოკვეთას ბერძნებთან; გარზა—ბაქარის მეფობაში კლარჯნი, შეჭირვებულნი თავიანთ მეფისგან, განუდგებიან იმას და მიერთვიან ბერძნებს....

ქართლის-ცხოვრება იტყვის, რომ ვიდრე ფარნავაზი აზონს შეებმოდა, იმან „წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურისტანისა და წარსცა ძღვენი დიდ-ძალი და აღუთქვა მას მსახურება და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა; ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღვენი მისი და უწოდა შვილად თვისად და წარმოსცა გვირგვინი და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდენ ფარნავაზს [1]..." „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოსისნი სომხითით [2]." „სამოც-და-ხუთის წელს მეფობდა ფარნავაზ ნებიერად და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურისტანისასა [3]..." ამ გვარად დამოკიდებულება თურმე ჰქონდათ ანტიოქთან შემდეგაც

[1] ქართლ.-ცხოვრ., გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 31.

[3] იქვე, გვ. 32.

ფარნავაზის მოადგილე—მეფეებს, საურმაგს და მირვანს:
„საურმაგ ძე ფარნავაზისა და მირვან ნებროთიდი მსა-
ხურებდნენ მეფესა ასურისტანელთასა“.[4] აი ქართლის-
ცხოვრების ნამდვილი სიტყვები. თუ ფარნავაზმა გაან-
თავისუფლა საქართველო აზონისაგან ასურისტანის მე-
ფის შემწეობით, თუ ანტიოქმავე დაადგა იმას გვირ-
გვინი და თუ, როგორც ფარნავაზი, აგრეთვე იმისნი
ორნი მოადგილენი მსახურებდნენ ასურისტანის მეფეს,
ცხადია, საქართველო იყო სრულიად სირიის ბძანებლო-
ბას ქვეშ.

ასურისტანი, ანუ შამი, სირია მეტად შემდგარი
იყო სამის ნაწილით. პირველი ანუ ნამდვილი სირია მდე-
ბარებდა ჩრდილოეთით, მეორე ანუ ფინიკია—შუა—გუ-
ლად, მესამე ანუ პალესტინა—სამხრეთად. აქ უმთავ-
რეს ქალაქებად ითვლებოდნენ დამასკი, ანტიოქია, ტირი
და სიდონი. დასახელებული სემიტის გვარ-ტომთაგან სი-
რია იყო თავ და პირველად დაგლეჯილი რამდენსამე ხალ-
ხებად, რომელნიც მუდამ ერთი მეორეს ებრძოდნენ. სი-

---

[4] იქვე, გვ. 33, 34.

რია დაიმონავეს ჯერ ასირიის მეფეებმა, მასუკან სპარსებმა, ბოლოს ალექსანდრე-მაკედონელმა და ალექსანდრეს შემდეგ ის ეპყრათ გაყოლებით იმის მოადგილეებს ლაომედონს, ანტიგონს, პტოლომეს და სელევკს ნიკატორს, რომელმაც იპსის ბრძოლის შემდეგ (301 წელს ქრ. წინ) ის სრულებით მიითვისა. სელევკმა დააფუძნა სირიის სამეფო, დაიჭირა მთელი მცირე-აზია, პონტი, სომხეთი, გაავრცელა თავისი სამფლობელო ჩრდილოეთით იაქსარტის მდინარემდე, აღმოსავლეთით ინდოეთამდე. უპირველესი ქალაქები იმის დროს და იმის მოადგილე—სელევკიდების მეფობაში იყო—ანტიოქია და სელევკია ტიგრის მდინარეზე; დედა—ქალაქად კი ითვლებოდა ანტიოქია. სელევკს შეჰქონდა ყოველს თავის სამფლობელოში ბერძნული განათლება და ზნეობა [1]. სელევკმა გაიჩინა კასპიის ზღვაზე თავისი ფლოტი; ეს ფლოტი მიანდო პეტროკლეს, რომელსაც უნდა გამოეკვლია კასპიის ზღვის კიდეები. ახლად—აღმოჩენილს ამ ზღვის ნაწილს დაერქვა სელევკის ზღვა. სელევკს ჰქონდა ჰაზ-

[1] Шлоссера, Всемірн. ист. III, 1—9.

რი, რომ კასპიის ზღვა და შავი ზღვა შეერთებიანა არხით. ამ მზადებაში ის მოკლეს 250 წლის პართიელებმა, რომელნიც კასპიის ზღვის სამხრეთ—აღმოსავლეთად ცხოვრობდნენ და 193—190 წლის რომაელები დაესხნენ სირიას და დასცეს ისა. 64 წლის ქრისტეს წინად სირია რომის პროვინციად შეიქნა. პირველ საუკუნეში აქ გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება და ანტიოქია პატრიარქის სატახტო ქალაქად დაიდვა.

ფარნავაზის მეფობის განმავლობაში სირიაში მეფობდნენ სელევკი ნიკატორი და ანტიოქი პირველი. ეს ის დრო იყო, როდესაც სირია უაღმატებულად ჰყვაოდა და შეძლებლობდა. ცხადია, რომ ქართლის-ცხოვრების თქმულებას კითომც «ანტიოქოს უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდნენ ფარნავაზსა» რომ „ფარნავაზი, საურმაგი და მირდატი მსახურებდენ მეფესა ასურასტანელისასა“ ნამდვილი შემთხვევა არის. აქ ესეც უნდა მხედველობაში გვქონდეთ, რომ სელევკიდების დროს დაწყობილი დამოკიდებულება როგორც სომხეთში, აგრეთვე საქართველოში ჩვენ არ ვიცით რა გვარი იყო, ამაზე ფაქტები არა გვაქვს. ამას კი ვერ უარ-ვყოფთ.

რომ თუმცა პოლიტიკური როლი სირიას დიდ-ხანს არა ჰქონია, მაგრამ იმის სწავლა—ხელოვნებას კარ-ხანი უმოქმედნია სომხეთშიდაც და საქართველოშიდაც. ამას გვიმოწმებს შემდეგის დროების ისტორიული საბუთები. ჩვენ ვიცით, მაგალითებრ; რომ ვიდრე წმინდა მესრობი სომხურს ანბანს შეადგენდა, სომხეთში შემოღებული იყო სირიული ანბანი; რომ ყოველი განმანათლებელნი მოძღვარნი, მე-IV საუკუნის დამდეგიდამ მე-V საუკუნეს გასვლამდე იყვნენ სირიელნი; რომ ქრისტიანობა სომხეთში გაავრცელეს სირიელებმა; რომ იმათვე დააფუძნეს აქ მონასტრები და საეპისკოპოზო ტაძრები. თავდა-პირველად თვით ბიბლია სომხეთში სირიულ ენაზე იხმარებოდა, წირვა-ლოცვა ამ ენაზედვე იყო, თუმცა ხალხს სირიული არ ესმოდა [1]. ჩვენ ვიცით, რომ ვიდრე საქართველოში საქათალიკოზო დაწესდებოდა, მე-V საუკ. გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის ანუ სირიის სამწყსოს და

---

[1] S—Mart Mém. sur l' Arm. I, 10—12, 305—306.—Lebeau, Histoire du Bas-Emp., V, 318—320.

ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ-მთავარი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქისაგან ამოირჩეოდა და გამოიგზავნებოდა აქ [1]. ვიცით აგრეთვე, ვინ იყვნენ ათ—ცამეტნი მამანი, რომელნიც ფარსმან მეფის დროს, მე-VI საუკუნეში, შემოვიდნენ საქართველოში, დაემყარნენ სხვა და სხვა ადგილებში, დააწყვეს მონასტრები და უდაბნოება და გაავრცელეს ქრისტეს აღსარება: ისინი იყვნენ სირიელები [2]. იმათვე დააფუძნეს საქართველოში ქრონიკონი 532 წლოვანი [3].

ფარნავაზის შემდეგ დაჯდა მეფედ იმისი შვილი საურმაგი. ქართლის ერისთავებმა განიზრახეს იმისი სიკვდილი, „რადგანაც—სთქვეს იმათ—არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვემსახურეთ ნათესავსა ჩვენსა." საურმაგი ფარულად განივლტო დურძუკეთს, დედის ძმებთან. თან ჰყვანდა დედა, დურძუკელი, ნათესავი კავკასიოსა. „მაშინ

[1] Hist. de la Géor. I, 192 n. 2; II, 2-livr., 432.

[2] ibid, I, 202—216, Addit. et Eclaircis., 125—132.

[3] Bullet. de l' Acad, XXII, 464, 471.

რომთა იგი აზნაურნი მივიდეს დურძუკეთსავე და რქუეს საურმაგს: „დიდი კეთილი დგას ჩუენზედა მამისა შენისა, ამისთვის ვართ ჩუენ მტკიცე ერთგულობასა შენსა." საურმაგი ეზრახა თავისს მამის დის წულს, ოსეთის მეფესს, შემოიკრიბა დურძუკეთი, დაიპყრა ქართლი, მოსრნა განდგომილნი, რომელთა შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი, წარჩინებულ ჰყვნა აზნაურნი, განამრავლნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასიისნი, რომელნიცა ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქვეყნისა და ვერღარა უტყუენდა დურძუკეთი. საურმაგმა წარმოიყვანნა ყოველთა კავკასიისა ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ჰყვნა და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად დიდებულნი და დაჯდა მცხეთას და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა და ქართლისათა. და მან შექმნა ორნი კერპნი, აინანა და დანანა და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა, და მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა." საურმაგს ჰყვანდა ცოლად სპარსი, ბარდავულის ერისთავის ასული,

რომელმაც შობა მხოლოდ ორი ქალი: ერთს იმათგანს შეუღლდა ქუჯის შვილი, მეორეს მირვან სპარსი, ნებროთიდის შთამომავალი, და თვით საურმაგის ცოლის ნათესავი. საურმაგმა იშვილა მირვანი და მისცა იმას ქალაქი გაჩიანი და საერისთავო სამშვილდისა, რომელიც შეადგენდა ფარნავაზის დაყოფით მეოთხე საერისთავოს, რომლის დედა—ციხე სახელ-იწოდებოდა სამშვილდედ ანუ ორბეთად და მდებარეობდა ქციის მდინარეზე. ამ საერისთავოს შეადგენდნენ—შემდეგში საბარათიანო, დმანის—ხევი, სკვირეთი; თრიალეთი, უწღი გაჩიოსი; გარდაბანს ზევითი; ამან გაჩიოს, ძემან ქართლოსისმან აღაშენა ქალაქი გაჩიანი, ანუ სანადირო—ქალაქი.“ სამშვილდის საერისთავოს ესაზღვრავდა: მდინარე სკვირეთი ანუ მაშავერა გადრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი [1]. როგორც ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ, ორბეთით სახელ—იწოდა თურქების გოლოთნის ორბელიანებად...

საურმაგი მოკვდა და 162 წელს დაჯდა ტახტზე ნებროთიდი მირვანი. „მირვანი იყო, იტყვის ქართლის-

---

[1] ვახუშტ., გეოგრაფია, 166, 178—Hist. de la Géor., I, p. 22, n 5.

ცხოვრება, ტანით სრული, მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქველი. იმის მეფობაში დურძუკთ დაიწყეს სიყვარული ფარნავაზისა და საურმაგისა, გარდამოვიდეს დურძუკეთს მეფენი, გაუერთდნენ ჯ როკლეთს მყოფთ კავკასიანთ, მოსტყვენეს კახეთი და ბაზალეთი, მდებარე კავკასის მთის გულში, ქსნის—ხევის საზღვრად [1]. დურძუკნი იყვნენ წინა—პარნი აწინდელის ქისტებისა, ინგუშებისა და ღლიღველებისა, რომელნიც ერთს ნათესაობას შეადგენენ და საუბრობენ ერთს ენაზე. იმათი ენა, ამტკიცებენ, თუმცა განსხვავდება სხვა კავკასიელთ ენაში, მაგრამ დიდად ემსგავსება ლეკების ენას, მეტადრე ყაზი—ყუმუხურს და ავარულს [2]. ქისტებიც არიან ის თუშნი, რომელნიც წოვაღებად იწოდებიან. დურძუკნი ცხოვრობდნენ იქვე, სადაც ახლა ცხოვრობენ ინგუშნი და ღლიღველნი [3]. დურძუკთ პირველ წინა-პრად

---

[1] ვახუშტი, გეოგრ., 220.

[2] Klaproth Voyage au Mont Caucase, t II, p 45 351, 354.

[3] Wakhoucth, Description géogr de la Géor. p 454—458. იმისავე Carte générale des pays Géorg.

ქართლის-ცხოვრება უწუნებს თარგმანსს. ის იტყვის: „დურძუკი ძე ტირეთისა უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი." როდესაც თარგამოსიანნი ხაზართ ებრძოდნენ, მაშინ დურძუკსიც ჰშველოდნენ იმათ [1]. დურძუკნი იყვნენ გამოჩენილნი და ძლიერი ტომი კავკასიელთ ტომებში; ფარნავაზ მეფეს ჰყვანდა ცოლი დურძუკელთა, დედა საურმაგ მეფისა... შემდეგ დურძუკელთ აშლის „მირვან მეფემ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, შემოკრიბნა ყოველნი სპანი, მხედარნი და ქვეითნი; ყოველნი კავკასიანნი იყვნეს სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა მირვანისასა. შემოკრიბნა ესე ყოველნი და წარემართა დურძუკეთს, შემრნეს დურძუკნიცა და დაუდგეს სიმაგრეთა ზედა გარდასავალთა გზასა ... იქმნა ბრძოლა ძლიერი... და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი. უკანასკნელ იძლივნეს დურძუკნი და ივლტოდეს..., და შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი და შეაბნა კარნი ქვით-

[1] გახუშტ., გეოგრ., 220.

კირითა და უწოდა სახელად დარუბალ..... შეიყვარეს იგი ყოველთა მკვიდრთა ქართლისათა და მსახურებდა იგი მეფესა ასურისტანელთასა. მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს, რომელსა ერქვა არშაკ. ეზრახა მირვანს არშაკ და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისასა, არშაკს. მოკვდა მირვან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ.“ (112 წელს).

„ამან ფარნაჯომ უმეტა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და შექმნა კერპი სახელით ზადენ. ამისა შემდეგად შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის-მსახურნი და მოგვნი და დასხნეს იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგვთა, და იწყო ცხადად გმობა კერპთა; ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქვნდათ კერპთა მიმართ. მაშინ შეითქვნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და ჰრქვეს: „მეფე ჩვენი გარდასხდა სჯულთა მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა. შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღა-

რა დიდს არს იგი მეფედ ჩვენად. მოგკლეთ ძე შენი არშაკი, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა მეფეთა ჩვენთა, გვაშველე ძალი შენი და გაოტოთ ფარნაჯომ შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკი და დედოფლად ჩვენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა. მაშინ სთნდა სომეხთ მეფესა განზრახვა ესე ... და იგი ყოვლითა ძალითა მისითა წარემართა ქართლს. ხოლო ფარანჯომ მეფემან მოუწოდა სპარსთა, შემოკრიბნა ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი, განდგომილნი მოეგებნეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრიბნა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა. იქმნა მათ შორის ტაშირს ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი. იძლია და მოიკლა ფარნაჯომ, და მოსრნეს სპა მისი, ხოლო ძე ფარნაჯომისა მირვან წელიწდისა ერთისა ყრმა წარიყვანა მამა-მძუძემან მისმან და ილტოდა სპარსეთს."

„ხოლო სომეხთა მეფემან მოსცა ძე თვისი არშაკ (93 წელს) და დაიპყრა ყოველი ქართლი და მეფობდა ნებიერად, და უმ. ტა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს მოამტკიცნეს ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა

წუნდას. მოკვდა არშაკ და მეფე იქმნა ძე მისი არტაგ (181 წელს) [1]."

ასე დამყარდა საქართველოში დინასტია არსაკიდებისა ანუ არშაკიდებისა. არშაკიდები აღმოჩნდნენ პირველად პართიაში, შემდეგ გავრცელდნენ სომხეთში და სომხეთიდამ საქართველოში. ერთ დროს არშაკიდები ისე ძლიერნი იყვნენ და ისეთ როლს თამაშობდნენ მსოფლიო ისტორიაში, რომ არ შეიძლება არ შევჩერდეთ იმათზე .... გასაოცარს სახელოვანს წარმოგვიდგენს ის ეპოქა, რომელსაც ჩვენ შევეხებით. ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე ასვლიდამ 336 წელს ქრისტეს წინად, ვიდრე 65 წლამდე ქრისტეს შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაიპყრეს აზია, სულ ორმა საუკუნომ გაიარა. ამ მოკლე ჟამს აზიის პოლიტიკური მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ალექსანდრეს სიცოცხლეში დაფუძნდა დიდი მაკედონიის იმპერია, რომელმაც ჩანთქა სპარსეთი, ინდოეთი და მცირე აზია; მოკვდა ალექსანდრე და ეს იმპერია ჩაიშალა. აღყვავდა სელევკიდების სამფლობელო

[1] ქართლის ცხოვრება გვ. 33—35.

სირია; სირიამ დაჰფარა თითქმის მთელი მაკედონიის იმპერია. დაეცა სირია და გამძლიერდა პართია არშაკიდების ხელში. ამან თავისი მხრით დაამხო სირია და დაიჭირა იმისი ადგილი. ამ დროს განმავლობაში ერთხანს თვით სომხეთმაც აღმოიჩინა თავისი ძალი. მასუკან გამძლიერდა დიდი მითრიდატის დროს პონტის სამფლობელო, რომელიც კაი ხანი რომის ძალას ებრძოდა და დასასრულ რომმა დასცა პონტო და გაავრცელა თავისი საზღვრები. არ ვიცით ნამდვილად რომლის ნათესავის ფესვიდამ მომდინარეობდა პართიელების ტომი, რომელსაც არშაკიდები ეკუთნოდნენ. ზოგნი იტყვიან, ვითომც პართიელები შეადგენდნენ ინდო-ევროპიის ანუ სპარსის შტოს, ზოგი—თურანის ანუ თურქების მოდგმას [1]. პართიელები ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთად. იმათი მხარე, რომელსაც ახლა აღმოსავლეთის ტომნი უწოდებენ არაკ-აჯემს, შეადგენდა ხრიოკს და უწყლო ადგილს, აქა-იქ უტყო—მთიანს. პართიელები ხასიათით იყვნენ თავხედნი, მტაცებელნი,

---

[1] Malcolm, Hist. de la Perse, I, 362—363; Шлоссера Всемір. ист. I, стр. 121.

კელურნი ვაჟკაცნი, ერთი მეორესთან მუდამ მებრძოლნი. ისინი ცხოვრობდნენ გაცალკევებით, ჯგუფ-ჯგუფად; მოძრაობდნენ, მთა ბარობდნენ. პართიელნი მხოლოდ მაშინ შემოიკრებდნენ თავს, როდესაც საზოგადო განსაცდელს რასმე შეეჯახებოდნენ. პართიელებმა უფრო მაშინ აღმოიჩინეს თავისი ძალა, როდესაც სელევკიდების სამეფო სისუსტეში შევიდა 2 1/2 საუკუნის წინ ქრისტეს შობამდე. პართიის მეფემ არშაკმა განდევნა პართიიდამ სელევკიდება. როდესაც სირიის მეფე ანტიოქი მეორე მოკლულ იქმნა და სირია აირია, მაშინ სელევკიდების ძალა სრულებით დაეცა და პართიის სამეფო დამყარდა. არშაკიდებმა დაიპყრეს ვრცელი ადგილი, ევფრატის მდინარიდამ ინდის მდინარემდე, ესე იგი: მესოპოტამია, ბაბილონი, მიდია, ადარბედაგანი, სუზიანა, სპარსეთი, ჰირკანია და ყარამანია. პართია თავის მხრით დაემხო მხოლოდ მე-III საუკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ, როდესაც როგორც ამას თავის ადგილს ვუჩვენებთ, სპარსეთში გაძლიერდა ახალი დინასტია, ესე იგი დინასტია სასანიდებისა. ევფრატიდამ ვიდრე ინდოეთამდე არშაკიდებმა აღმოფხვრეს კვალი ბერძნულის განათლებისა.

არშაკიდები მიტრიდატ პარკელის მეფის დროდამ (150 წ. ქრ. წინ) ცხოვრობდნენ ზამთარ ქ. ქტეზიფონში, ზაფხულ სხვა და სხვა ადგილს, მოძატებულად კი მიდიის ქალაქში ეკბატანაში [1]. მიტრიდატ პირველმა დაიპყრათვით სომხეთი და 149. წელს მეფედ აქ დასვა თავისი უმცროსი ძმა ვაღარშაკი პირველი, რომელმაც დააფუძნა სომხეთის არშაკიდების დინასტია. დედა-ქალაქად ვაღარშაკმა ამოირჩია ქალაქი ნიზიბი ანუ მეცფინი ჩრდილო მესოპოტამიაში. ეს ვაღარშაკი დიდად განთქმულია სომხის ისტორიაში. იმან დაიპყრა პონტის ქალდეა და ლაზისტანი, მაკედონელის მოკავშირენი, მთიან-ტყიანი ტაიკი, ანუ ქართველების თაოს-კარი იმან დააწესა საზაფხულო დროს გასატარებლად და სანადირო ადგილად; შემოიყვანა თავის ბატონობას ქვეშ კავკაზის ტომნი და დასდო იმათ ხარკი; დანიშნა თავისი მოადგილეები ალოვკანში ანუ ალბანიაში, გუგარკში ანუ ჩვენ სომხეთში. გუგარელნი, მოსე ქორენელის სიტყვით, მომდინარებენ იმ

---

[1] Шлоссера Вс., ист., 25—27. Chevalier Chardin, Voyage en Perse, II., 369—370.

მირდატისაგან, რომელიც დარეხის მოადგილე იყო და რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაედგინა ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულთ იბერიელთ გამგედ. ვაჭარშაგის სასარგებლოდ ისე არავის უღვაწნია, როგორც ილჯაჰა „მეფილე და ბრძენია“ შამბუ ბაგარატმა. ბაგარატი იყო ურიათაგანი, მოსეს სჯულის აღმსარებელი. ის მორჩილი მიემხრო ვაჭარშაგს, ამისთვის მიღებულ იქმნა სასახლეში, და სამსახურისა მებრ დაიჯილდოვა. ის შეიქმნა მეფის მოადგილედ და თერთმეტი ათასის ჯარის წინამძღოლად სომხეთის დასავლეთის საზღვრებში, იქა სადაც, მოსეს სიტყვით, სომხური ენა აღარ ისმოდა. ბაგარატს სხვა უმაღლესი ღირსებაც მიენიჭა: ის გახდა ასპეტი ანუ სპათა უფროსი; მხოლოდ იმას შეეძლო მემკვიდრეობით გვირგვინის დადგენა მეფის თავზე; მხოლოდ ბაგრატს ჰქონდა ნება სასახლეში წარდგენის დროს შემოერტყა სარტყელი სამ რიგის მარგალიტით მორთული. თვით შინაგანი სომხეთის წყობილებას ვაჭარშაგმა თვითონ დააწყო. იმან დასდო კანონად, რომ ერთ-ერთი მეფის შვილი იმყოფებოდეს მეფესთან მემკვიდრეობის მისაღებად და დანარჩენი ვაჟები და ქალები კი ცხოვ-

რომლნენ გვარის საუფლო მამულში. ვაჭარშაგმა აამენა არმავირის ქალაქში ტაძარი და აქ აღმართა სტატუები მზისა, მთვარისა და თავის წინა-პართა; ტაძრის მსახურთ მიაგო დიდი პატივი და შეჰრიცხა იგინი პირველ გვართ რიგში; დაადგინა მსაჯულნი სასახლეში, ქალაქებში და სოფლებში; სამეფო პალატისთვის დაამყარა რიგი შემოსვლისა და გასვლისა, სადღესასწაულო დღეებისა და ნადიმობისა. იმან განაწესა ოთხგვარი სპა სასახლის დასაცველად. ეს სპანი იყვნენ შემდგარნი შეიარაღებულთ პირთაგან, რომელნიც ჰაოსისგან მომდინარეობდნენ და საშკილიშვილოდ ჰფლობდნენ სოფლებს და დაბებს. „არ ვიცით, ამბობს მოსე, ამოიხოცაო თუ არა ძველი მთამომავლობა, ანუ აშლილობის გამო ამოწყვეტილ იქმნა და ამ სპათა ნაცვლად შესდგნენო სხვანი სასახლის სპანი. ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვთქვათ, რომ პირველნი სპათა რიგნი მომდინარეობდნენო მეფეების სახლიდამ, მსგავსად იბერიელთ სეფე-წულთა“. ეს სეფე-წულნი თვით ქართლის-ცხოვრებაშიაც იხსენებიან [1].

ვაჭარშაგმა იმეფა 22 წელი და შემდეგ გამეფდა იმისი შვილი არშაკი. პირველი, რომელიც ცამეტის წლის

[1] Исторія Арменіи 79—87. Hist. de la Géor. t. I, p. 159, 228, 430 და п. 3.

განმავლობაში ისე განითქვა, როგორც ვაჭარშაკი. იმან დაამშვიდა მრავალნი ტომნი კავკასიისანი, რომელნიც ეძიებდნენ განთავისუფლებას სომხეთის მეფის ბძანებლობისაგან. შემდეგ არშაკისა დაჯდა მეფედ ძე არშაკისა არდაშეზი პირველი. ამ არდაშეზის ძე იყო ის არშაკი, რომელიც ქართველებმა გამოსთხოვეს თავიანთ მეფედ და რომელმაც დააფუძნა საქართველოში არშაკიდების დინასტია. თუ დასაჯერებელია ვისთვისმე სომხის ისტორიის თქმულება, არდაშეზმა დაიმონავა მთელი მცირე აზია, განვლო ეგეის ზღვა და შევიდა ჯარით საბერძნეთში. აქ ის მოიკლა თავისავე კაცისაგან. არდაშეზმა დასტოვა მცირე წლოვანი შვილი ტიგრანი მეორე, რომელიც რამდენიმე დრო პართიელების ბძანებლობას ქვეშ იმყოფებოდა. ტიგრანმა მალე მოიპოვა თავისუფლება. იმის დროს სომხეთმა დაიჭირა ადგილი უპირველესის აზიის სახელმწიფოების რიცხვში. ტიგრანმა დაიპყრა სირია და მრავალი თემი მცირე აზიისა, დაეცა არშაკიდების შტოს, რომელიც სპარსეთში მეფობდა. მესოპოტამია, ადიაბენი და ადარბედაგანი იმის ხელში ჩაცვივდნენ. იმან სპარსების მეფეების შემდეგ პირველმა მიითვისა ტიტული: მეფეთ-მეფე. გაამაყებულმა თავის ძლევაწარმატებით ტიგრანმა მიჰკვერძა პონტის მეფეს

მიტრიდატს, როგორსაც მიტრიდატი რომაელებს ებრძოდა [1].

რომაელნი პირველად გაერივნენ მცირე აზიის საქმეებში სირიის მეხუთე მეფის ანტიოქის დროს, რომელიც ჰფლობდა მომატებულ ნაწილს მცირე-აზიისას ინდიდამ ხმელთაშუა ზღვამდე. ამ ჟამად ღირს-შესანიშნავს სამთავროებს მცირე-აზიისას შეადგენდნენ: ბითინია, პაფლაგონია, პონტი, პერგამი, გალატი, დასახლებული ახლად მოსულთას ინდო-ევროპიულის ახჟ ტევტონურის ტომისაგან, კაპპადოკია და სხვ. შემთხვევა შემოსვლისა მცირე-აზიაში რომაელებს თვით ანტიოქმა მისცა. ანტიოქი ცდილობდა, რომ ეგვიპტის მცირე წლოვანის მეფის პტოლომე ეპიფანისთვის აეცილებინა რომაელების გამგეობა და თავისი გავლენა გაევრცელებინა ეგვიპტეზე. რომაელები და ანტიოქი შეიბრძოლნენ. რომაელებმა სძლიეს 190 წელს ქრისტეს წინად და ანტიოქს ჩამოართვეს ნაწილი მცირე-აზიისა, რომელიც ტავრის მთას იქით მდებარებდა. ვინ-

---

[1] S-Martin, Mém sur l' Arménie, I, 290—292. Шлоссера Всемір. ист. IV, 26

რე რომის კომმისარები დაბოლოებდნენ ამ საქმეს ან-
ტიოქთან კონსული მანლი თავის ჯარით შევიდა მცირე-
აზიის შუა-გულში და აქ შეება ანტიოქის მოკავშირე
გალატებს[1]. აქ რომაელები შეეჯახნენ პონტოს მეფეს
მითრიდატ მეექვსეს.

პონტს ესაზღვრება: ჩრდილოეთით პონტის ზღვა,
აღმოსავლეთით საქართველოს ჭოროხი და სომხეთი, დასავ-
ლეთით-პაფლაგონია, სამხრეთით-კაპპადოკია. პონტში
მდებარეობდნენ სხვათა შორის ბერძნის ქალაქები ამასია,
ტრაპიზონი, კერასუნი, თემის-კირო და ნეოკესარია.
პონტში ცხოვრობდნენ სხვა და სხვა ტომნი. პონტის
მეფეები თავიანთ შთამომავლობას აწარმოებდნენ სპარ-
სეთის მეფის კიროსისაგან და უფრო მითრიდატებად
იწოდებოდნენ. ისინი თავდაპირველად სპარსეთის ბრძა-
ნებლობას ქვეშ იყვნენ და იმის სატრაპიას შეადგენდნენ.
მითრიდატებმა დაიპყრეს ბერძნული ქალაქები და თავის
სამფლობელოში გააერთიანეს ბერძნული განათლება და
ყოფა-ცხოვრება, დაიმორჩილეს ადგილობრივნი მთის ტომ-
ნი—ტიბარენნი, ხალიბნი, და სხ. მე-II საუკუნის დამდეგს
ქრისტეს წინად ფარნაკ პირველმა, შვილმა მითრიდატ

---

[1] V. de S—Mart. Hist., des découv., II, 348, 351—354.

მეფობისას, დაიპყრა აღყვავებული და მშვიდობით დასახლებული ბერძნის ქალაქი სინოპი, რომელიც დედაქალაქად დაწესდა. სინოპის ფლოტი მიტრიდატეებმა შეისაკუთრეს. სინოპი იმათ ხელში უფრო აღყვავდა და შეიმკო სხვა და სხვა არხიტექტურის ნაწარმოებით. პონტის სამეფო უდიდესად გაძლიერდა I საუკუნის დამდეგ ქრისტეს წინ ფარნაკ პირველის შვილის-შვილის მიტრიდატ დიდის დროს [1]. მიტრიდატი ეომა რომაელებს ოც-და-ათი წელი. სულლა, ლუკულლი და პომპეი ერთი მეორის შემდეგ ებრძოდნენ იმას რომის ძალით და თუმცა მიტრიდატი რამდენჯერმე იძლია, მაგრამ მაინც არა ჰკარგავდა თავის ხასიათის ძალას და ახოვანებას. იმისი მძვინვარე სიძულვილი რომაელებისადმი ძლევის შემდეგ უფრო აღვიძებდა იმის ენერგიას და აძლიერებდა იმისის ღონის-ძიების წყაროს. მიტრიდატის მოკავშირენი იყვნენ: იმისი სიძე, სომხეთის მეფე ტიგრანი, იბერიის მეფე არშაგის შვილი არტაგი, რომაელების ორ-ტოგოსი და ალბანიის ორაზესი. ამ დროს მიტრიდატს ეპყრა კოლხიდა, საიდამაც იმას გამოჰქონდა თავის ფლო-

[1] Шлоссера, Всемірн. ист. III, 12—13.

ტისთვის სახმარი ხე—ტყე და რომაის მმართველებად ჰყავნდა თავისნი ერთგულნი კაცნი. იმათ შორის იხსე-ნიება სტრატონიკის ბამა მოაფარნი. მიტრიდატი ჰფლობ-და აგრეთვე უმეტეს ნაწილს აფხაზეთისას და ჩერქე-ზეთისას. ამასვე ექვემდებარებოდა ბოსფორი, რომელიც იმას დაუთმო ფერიზად მესამემ, რადგანაც ფერიზადმა ვერ შესძლო ბოსფორის შემაგრება, რომელსაც იმას სკვი-თები დაესხნენ. მიტრიდატმა დაამშვიდა სკვითები. სამმა ხან-გრძლივმა შებრძოლებამ რომაელებთან არ მისცა მიტრიდატს წარმატება. 65 წელს მიტრიდატი კიდევ შეუდგა ბრძოლას და კიდევ იძლია: აქ იმან დაჰკარგა 10,000 კაცი და თვით მცირე ჯარით გაილტო და მიჰმართა თავის სიძეს ტიგრანს. ტიგრანმა ის არ შეიწყ-ნარა. მაშინ მიტრიდატი ეფრატის კიდიდამ გაემგზავრა კოლხიდისკენ, რომელსაც განაგებდა ათალი. აქ იმან დაჰყო ზამთარი დიოსკურიაში, საიდამაც ბოსფორში გას-ვლა განიზრახა. პომპეი შევიდა კოლხიდაში, მაგრამ მიტრიდატს ვერა სძლია გზას შუშას გაღმა და დასტოვა ადგილობრივ. პომპეიმ დაჰქსაქსა მიტრიდატის მოკავში-რენი. ათალი დაიჭირა და კოლხიდის განმგედ არისტარ-ქი დასვა. ამ დროს იბერიის მეფემ არტაგმა და ალბა-ნიის მეფემ ორაზესმა შეკრიბეს 75,000 ჯარი მტკვრის

პარალ. ეს ცნობა მიიღო პომპეიმ, როდესაც ის არგონავტების ექსპედიციის და ოქროს რუნის ისტორიის გამოძიებაში იყო. პომპეიმ სწრაფად მიჰმართა სამშობლოსკენ. არ ვიცით რა გზას დაადგა ისა, ვიცით მხოლოდ, რომ პომპეიმ გაიარა ხიდი მტკვარზე ვიდრე მდინარის შეებმოდა. შეშინებულნი მკვიდრნი მიეფარნენ ტყეს; პომპეიმ შემოარტყა იმათ ჯარი, მისცა ცეცხლი ტყეს და ამოჰხოცა ვინც კი ხელში ჩაუვარდა. მეფეები დამარცხდნენ და მიეცნენ პომპეის, რომელმაც იმათ წაართვა დიდი ხარჯი ამანათეებით. რომაელების ჯარი დაბრუნდა დიდ-ძალის ტყვებით დატვირთული [1]. მითრიდატის შვილი ფარნაკ რომაელების დაემხრა და რომის მოწყალებით ბოსფორის მფლობელი შეიქნა [2] პონტი, ბითინია და ნაწილი კილიკიისა რომის პროვინციებად შეირაცხნენ. ეს იყო 65 წელს. ამ გვარად შეიცვალა სამ გალატიის 25 და კაპპადოკიის 17 წელს [3].

პომპეის ცნობები და მოქმედება როგორიც მცირე-აზიაში, აგრეთვე იმის გარეთ აღწერილია პლუტარ-

---

[1] Dubois, Voyage II, 44–47.
[2] Шлоссера, Всеміри. ист. IV, 35, 36.
[3] Hist des découv, II, 362, 363.

სიკვდილს, რომელიც 48 წელს ქრისტეს შობის წინ იყვა. რადგანაც აქ ჩვენთვის ღირს-საცნობელია მხოლოდ ის ფაქტები, რომელნიც შეეხებიან პომპეის მოლაპარაკებას სომხეთში და საქართველოში, ამასთან ჩვენ მხოლოდ იმათ მოვიყვანთ მკითხველის ყურადღებას. ჩვენ მხარეზე პლუტარხს თავისი ცნობა გამოუყენებია თეოფანესის წერილებიდამ, რომელიც პომპეის თერძე დაჰყვებოდა [1]. აქ არ შეიძლება არ შევდგეთ ერთ ფაქტზე. როგორც პლუტარხი, აგრეთვე სხვა რომაელების დროის მწერლები, რომელნიც ჩვენს მხარეს შეეხებიან, თითქმის ყველანი ბერძნები იყვნენ. უკეთესნი იმათში არიან: სხიმნუსა და სტრაბონი, რომელნიც ცხოვრობდნენ ქრისტეს წინად უკანასკნელის საუკუნის გასულს და პირველის საუკუნის დამდეგს და რომელთაც გადმოგვცეს: პირველმა აღწერა პონტოს ზღვის პირისა ფაზისიდამ ბოსფორამდე [2], მეორემ—მთელი სურათი კავკასისა და იმის ტომებისა; ქრისტეს შემდეგ მწერალნი—II-სა საუკუნისა აპპიანე, VI-სა პროკოპი იყვნენ აგრეთვე ბერძნები. ძველს ავტორებში

---

[1] Lebeau, Hist. du B—Emp , III, 381, n. 2.
[2] Hist. des découv., II, 368.

დიდს-სახსოვარი ჩვენთვის რომაელთ მწერალთაგანი არის მხოლოდ ტაციტი, უკეთესი და განკითარებული ყველა იმათ ისტორიკოსებში. ის ცხოვრობდა I საუკუნის ნახევარს ქრისტეს. შობამდე და იმან გადმოგვცა რამდენიმე სურათი ჩვენს მხარეზე.

როგორც ვთქვით, მიტრიდატი პომპეიმ სამუდამოდ დასცა და გაემგზავრა სომხეთისაკენ თავის სიძესთან ტიგრანთან. ტიგრანმა არა თუ არ შეიწყნარა ისა, ასი ტალანტიც [1] დაუნიშნა ჯილდოდ ვინც მიტრიდატს მოჰკლავდა და იმის თავს იმას წარუდგენდა. ეს იყო მიზეზი, პლუტარხის სიტყვით, რომ ბედ-კრულმა მიტრიდატმა ეფრატის მდინარის სათავე გაიარა და საჩქაროდ მიჰმართა კოლხიდას. პომპეი შევიდა სომხეთში; აქ ის მიიწვია ტიგრან-მეფეს შვილმა ყმაწვილმა ტიგრანმა და თვითონაც მიეგება იმას არაქსის მდინარეზე. არაქს, ამბობს პლუტარხი, იქვე აქვს თავისი სათავე, საიდამაც ეფრატი გამომდინარებს, თუმცა ის აღმოსავლეთის მხრივ მიემართება და კასპიის ზღვაში ჩადის. ტიგრან-

[1] თვითო ტალანტი შეადგენდა ჩვენებურად 135 თუმანს თეთრ ფულს.

მეფემ თავის დედა-ქალაქის კარი რომაელების ჯარს გაუღო და პომპეის მიჰმართა თავის დასაკვრელად. როდესაც ის რომაელების სანგარს მიუახლოვდა ცხენით, მაშინ ლიკტორებმა უბძანეს იმას, რომ ცხენიდამ გადმომხტარიყო, რადგანაც აქამომდე მაგალითი არ ყოფილაო, რომ მხედარს ვისმეს გაებედნოსო იმათ ბანაკში შესვლა. ტიგრანი ბძანებას დაემორჩილდა. გარდა ამისა იმან მოიხსნა ხმალი და გადასცა ლიკტორებს. წარუდგა რა პომპეის იმან აიხადა გვირგვინი, დასდო პომპეის ფეხ-ქვეშ, დაემხო დედა-მიწას და მიიწია პომპეის მუხლზე საამბოროდ. პომპეიმ ის წამოაყენა და თავის კარავში მიიწვია. პომპეი ტიგრანს დაჰპირდა ისევ იმ ადგილებს, რაც იმას აქამომდე სჭერიყო, თვით შვილს დაუნიშნა სოფენის სამფლობელო, მაგრამ ამასთანავე მოსთხოვა ხუთი ათასი ტალანტი (თითქმის ცხრა მილიონ ნახევარი მანეთი თეთრი). დამშვიდებულმა ტიგრანმა მიიღო ეს ბძანება და გარდა ამისა აღუთქვა თვითოეულს იმის ჯარის კაცს თუმანზე მეტი, თვითოეულს ცენტურიონს ოც-და-ორ თუმან ნახევარი, თვითოეულს ტრიბუნს თვითო ტალანტი. უმაწვილი ტიგრანი არ დარჩა კმაყოფილი. როდესაც პომპეიმ მამა-შვილი საუზმეზე მიიწვია, იმან უპა-

სთქვა: არც შენა ხარო საჭირო და არც შენი მოწყალე-ბაო. პომპეიმ ის შეაბორკილებინა და თავის სატრიუმ-ფოდ დანიშნა.[1] თვით იბერიის მეფემ მიართო პომპეის მძიმე ოქროსი საწოლი და საჯდომი [illegible] თავის ერთგულობის ნიშნად[2].

„პომპეიმ დასტოვა — განაგრძობს პლუტარხი — აფ-რანიუსი სომხეთის მცველად და თვითონ მიტრიდატის კვალს შეუდგა. ამისი გზა გადიოდა იმ ტომთ საშუალ, რომელნიც კავკასიის გარეშემო ცხოვრობდნენ. იმათ შო-რის უფრო შემძლენი არიან ალბანელნი და იბერნი. იბერნი ჰფლობენ მთელს სივრცეს მოსხის მთებამდე და პონტამდე; ალბანელნი მკვიდრობენ აღმოსავლეთად და კასპიის ზღვის მხრივ. ალბანელებმა ჯერ მისცეს გზა, რომე-ლიც პომპეიმ იმათ მოსთხოვა, შემდეგ კი, ზამთარმა რომ აქ იმისი ჯარი შეაყენა, ბარბაროსებმა ისარგებლეს იმ შე-მთხვევით, როდესაც რომაელები სატურნალიო დღეობას უქმობდნენ. ალბანელნი იყვნენ 40 ათასს კაცამდე. იმათ

[1] Plutarque, Vie des hommes illustrs, trad. par Alexis Pierron. Paris, 1858, III, 155—157.
[2] Ibid., 161.

განვლებს კირნუსი (კირუსი ანუ მტკვარი), რომელსაც სათავე აქვს იბერიის მთებში და რომელიც იერთებს თუ არა სომხეთიდამ მომდინარე არაქს, თორმეტის შესართავით ჩადის კასპიის ზღვაში. ზოგნი იტყვიან, ვითომც კირუსს არ შეერთდებოდეს არაქსი, რომ არაქსი ცალკე მიმდინარეობდეს კირნუსის მახლობლად და ცალკე იმავე ზღვაში ჩადიოდეს. პომპეის შეეძლო მტრისთვის გასაგალი შეეკრა; მაგრამ იმან მისცა გზა, მასუკან ის უცებ დაეცა ალბანელებს და გაფანტა ისინი დიდის ზიანით. ალბანიის მეფემ მოციქულების პირით პომპეის შენდობა მოსთხოვა; პომპეიმ მიიღო თხოვნა და შემდეგ მიჰმართა იბერიელებს, რომელნიც ისე მრავალნი იყვნენ, როგორც ალბანელნი, თუმცა ამ უკანასკნელთ ახოვანებით ხლემატებოდნენ; იბერთ დიდი სურვილი ჰქონდათ მიტრიდატისთვის სამსახური მიეგოთ და პომპეი განედევნეთ. იბერნი არას დროს არ ყოფილან არც მიდიელების და არც სპარსების ქვეშევრდომნი; თვით მაკედონიის იმპერიას არა ჰქონია იმათზე ბატონობა..., პომპეიმ სძლია იმათ დიდს ომში, მოუკლა ცხრა ათასი კაცი და ათი ათასზე მომატებული დასტყვევა. შემდეგ ის იბერიიდამ

მსწრაფლ გავიდა კოლხიდაში, სადაც ფაზის სართავის მახლობლად იმას შეუერთდა სერვილიუსი თავის ფლოტით, რომელთაც ის პონტის ზღვას იცავდა“.

„დევნა მიტრიდატისა, რომელიც ბოსფორისა და მეოტიდის ტბის ტომებს შეეფარა, დიდ დაბრკოლებული საქმე იყო. ამასთანავე პომპეის აცნობეს, რომ ალბანელნი ხელახლად აჯანყდნენ. ის დაბრუნდა და კიდევ გავიდა კირნუსს, თუმცა მომატებულის ბრკოლვით და შიშით: აქ ბარბაროსებს ნაპირები დიდად თურმე გაემაგრებინათ; გაღმა მდინარისა დიდი გზა თურმე იყო; გასავალი ხრიაკს და უწყალო მხარეში. პომპეიმ გაამსებინა ათი-ათასი ტიკი და ჯარი გაიყვანა პირის-პირ მტკვრისა, რომელიც საბრძოლად იდგა აბასის წყლის კიდეზე. ალბანელებს ჰყვანდათ აქ 60 ათასი ქვეითი ჯარი, 12 ათასი ცხენოსანი. მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი; მომატებული იმათგანი ბირუტყვის ტყავით იყო მოსილი. იმათ ბძანებლობდა მეფის ძმა სახელად კოხისი. ასტუდა თუ არა ბრძოლა კოხისი მსწრაფლ მიივლტო პომპეისთან და მიახალა იმას ისარი, რომელიც მხოლოდ შეეხო იმის ჯავშანს. პომპეიმ თავის

მხრით სტყორცნა კოხისს ისარი და მოკლა ისა. ამბობენ, ვითომც ამაზონები წამოსულიყვნენ იმ მთიდამ, რომელიც თერმოდონის მდინარის მახლობლად მდებარებს და ბარბაროსების წყობაში იბრძოდნენ. მართლა და როდესაც ბრძოლის შემდეგ რომაელებმა მკვდრები გაცარცვეს, იმათ გვამებზე ჰპოვეს ამაზონების ფარები და ფეხ-საცმელები; მაგრამ არ შეუნიშნავთ კი არც ერთის დედა-კაცის გვამი. ამაზონები მკვიდრობენ კავკაზის მხარეში, რომელიც ჰირკანიას დასცქერის. ისინი არ არიან ალბანელების მოსაზღვრენი, რადგანაც იმათ ჰყოფენ გეტები და ლეგები; ისინი ყოველ-წლივ ორის თვის განმავლობაში უერთდებიან ამ ორ ტომს თერმოდონის ნაპირზე; გადის გასვლის შემდეგ ისინი შედიან ისევ თავიანთ ქვეყანაში, სადაც სრულებით მარტო ცხოვრობენ და აქ არავითარი დამოკიდებულობა არა არის რა იმათსა და მამა-კაცებს შორის.“

ამ ბრძოლის შემდეგ პომპეიმ მიჰმართა ჰირკანიისკენ და კასპიის ზღვისკენ. იმან დაჰყო გზაზე მხოლოდ სამი დღე; მაგრამ აქ ის მიაწყდა მრავალ-ძალს შხამიან

გველებს[1], რომელნიც ამ მხარეებში იპოვებიან. ამისგამო ის ისევ შაჰ-იქცა და მცირე-სომხეთში შევიდა[2]…. გასოცარი იყო პომპეის ტრიუმფი იმის შესვლის დროს რომში. მთელი რომი შეიძრა და სადღესასწაულოდ შეიმოსა. პომპეის წინ მიჰქონდათ ოქმები, რომლებშიაც იხსენებოდა ძლეული ქვეყნები, პონტი, სომხეთი, კაპპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხიდა, იბერია, ალბანია, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკია, პალესტინა, ურიასტანი, არაბისტანი…. მოიხსენებოდა აგრეთვე, რომ ამ ქვეყნებში პომპეიმ აიღო 1000 ციხე-სიმაგრე და 300 ქალაქამდე, მოუღო ზღვის მეკობრეებს 800 გემი და გააშენა 39 ქალაქი, დაცლილი მცხოვრებთაგან. ამასთანავე ოქმები ამბობდნენ, რომ საზოგადო შემოსავალი, რომელიც პომპეის წინად შეადგენდა 50 მილიონს დრაქმას, იმის ძლევა-მოსილის მოქმედებით ავიდა 80 მილიონამდე და 500 დრაქმამდე; რომ გარდა ამისა იმან

[1] ეს ადგილი უნდა იყოს მუღანი, რომელმაც აქამომდე მრავალი შხამიანი გველი იცის (Броневскаго Новѣйшія извѣстія о Кавказѣ. II, 272—275)

[2] Plutarque .. III, 157—159.

შეჰმატა რომის საზინას მოჭედილის ფულით—თუ ოქროსა და ვერცხლის ნივთეულებით—20 ათასი ტა-ლანტი. ტყვენი, რომელნიც ტრიუმფს შეადგენდნენ, იყვნენ: მეკობართ უფროსთ გარდა, სომხეთის მეფის ტიგრანის შვილი თავის ცოლით და ქალით, ზოზიმე, მოხუცას ტიგრანის ცოლი, ურიების მეფე არისტობული, მიტრიდატის და ძ ხუთი შვილი, სკვითების დედა-კაცნი, და ამანათები ალბანელებისა, იბერიელებისა და კომმაგენის მეფისა [1].

აქ სტატიის შესავსებლად საჭიროდ ვხდით ორიოდე სიტყვაც დავურთოთ. ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ, რომ სულ ძველად ჩვენის ქვეყნის სახელ-წოდება იბერია არ იხმარებოდა არც უცხო-ტომთაგან, არც ჩვენ წინა-მართაგან. ის იხსენება მხოლოდ იმ დროიდამ, როდესაც რომაელები შემოვიდნენ ჩვენს მხარეში მიტრიდატთან საბრძოლველად. საკუთრივ ამ დროიდამ იხმარება ის საზოგადოდ როგორც რომაელებისაგან, აგრეთვე ბერძნებისაგან. სჩანსო, ამბობს გივანე სენ-მარტენი, რომ რომაელებმა ჰპოვეს იბერია თვით საქართველოში და აქედამ გაარცე-

[1] Plutarque... III 169—170.

ლეს იმის გარეთ[1]. პომპეის დროდამდე შეიძინეს იმათ დაწვრილებითი ცნობა იმ დიდ სააღებ-მიცემო გზაზე, რომელიც ინდოეთიდამ კასპიის ზღვით პონტოს ზღვის მხარეს მისდევდა. დაასრულა თუ არა თავისი ომიანობა პომპეიმ წარგზავნა სხვა და სხვა მხარეს მცოდნენი და გამოცდილნი პირნი, რომელთაც უნდა შეეგროვებინათ ამ საგნის შესახები ფაქტები. ჩვენ ეს გზა ზემოდ აღწერილი გვაქვს, ამისთვის იმაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; მხოლოდ დავუმატავთ, რომ პლინის თქმით, (ცხოვრობდა პირველს საუკ. ქრისტეს შემდეგ.), ინდოეთის სავაჭრო, რომელიც ვითომც ნავებით მიდიოდა სურიუმდე ანუ სურამამდე, სურამიდამ აქლემებით და ცხენებით გადადიოდა სარაპანამდე, საიდამაც ისევ ნავებით მიემგზავრებოდა ზღვამდე.... პლინი ამბობს აგრეთვე, რომ რომაელების აღებ-მიცემობა სარაპანში ვაჭრებს აჯილდოებდათ ასის სარგებლით ასზე, მაგრამ ჩივის, რომ ეს

---

[1] Recherchee... 63, 64.

აღებ-მიცემობა მეტად იზიდავდა აქ ოქროს და ვერცხლს, ასე რომ უოველ-წლივ რომი ას მილიონს სესტერციის [1] ჰგზავნიდა სარაპანში [2].

---

[1] $22\frac{1}{2}$ მილიონ ფრანკს. ფრანკი უდრის 5 შაურს.

[2] Броневскаго Новѣйшія изв. о Кавказѣ I, 223-241.